

ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური ზედამხედველობა



კვლევითი ანგარიში



COMMISSIONER
FOR HUMAN RIGHTS

COMMISSAIRE AUX
DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ეროვნული უსაფრთხოების
სამსახურების
დემოკრატიული და ეფექტური
ზედამხედველობა

კვლევითი ანგარიში გამოცემულია
ევროპის საბჭოს
ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ

წინამდებარე ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია ავტორი და არ წარმოადგენს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

მოცემული დოკუმენტის მთლიანი ან ნაწილობრივი გამრავლების ან თარგმანის შესახებ მოთხოვნისთვის უნდა მიმართოთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 სტრასბურგი სედექსი ან publishing@coe.int). ყველა სხვა კორესპონდენცია წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარმოებდეს ადამიანის უფლებათა კომისიის ოფისთან.

კვლევითი ნაშრომები გამოქვეყნებულია ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ, რომ წვლილი შეიტანოს ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან მიმდინარე საკითხებზე გამართულ დებატებსა და განხილვებში. მრავალი მათგანი, ასევე მოიცავს კომისიის რეკომენდაციებს გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. წინამდებარე პროფესიულ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები უცილობრივ არ გამოხატავს კომისიის პოზიციას.

კვლევითი ნაშრომი ხელმისაწვდომია კომისიის ვებგვერდზე: www.commissioner.coe.int

გარეკანის ფოტო: © Shutterstock
გარეკანი: Documents and Publications
Production Department (SPDP),
Council of Europe
ნაშრომი გამოცემულია ქენევის შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ცენტრის მიერ
თარგმანი: თამარ შავლაყაძე
ქართულ ენაზე გამოცემა მოამზადა სამოქალაქო საბჭომ თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში

© Council of Europe (May 2015) for original English version,
© DCAF (2016) for Georgian language version

ორიგინალური ტექსტი ინგლისურ ენაზე მომზადებულია ევროსაბჭოს მიერ და ვრცელდება მისი ნებართვით. თარგმანი ქვეყნდება ევროსაბჭოსთან შეთანხმებით, თუმცა ტექსტზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთარგმნელს

მადლობა:

წინამდებარე კვლევითი ნაშრომი მომზადებულია დამოუკიდებელი კონსულტანტის – აიდან უილისის მიერ (Aidan Wills).

შინაარსი

რეზიუმე	5
1. ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების ზემოქმედების მიმოხილვა	6
2. ეროვნული უსაფრთხოების სამსახურებზე დემოკრატიული ზედამხედველობის შესახებ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიმოხილვა	8
3. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნული პრაქტიკა	10
4. ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური ზედამხედველობისკენ	13
კომისრის რეკომენდაციები	17
ზედამხედველობის სისტემისთვის საერთო პარამეტრების შესახებ	17
უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის მასშტაბების შესახებ	18
ზედამხედველობის ორგანოების დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული ლეგიტიმურობის შესახებ	21
ზედამხედველობის ორგანოების ეფექტიანობის შესახებ	21
გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ჩართულობის შესახებ	23
ზედამხედველობის ორგანოებისა და სისტემების განხილვის შესახებ	24
შესავალი	26
ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების ზემოქმედების მიმოხილვა	29
2.1. პიროვნების ხელშეუხებლობა და თავისუფლება	31

2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	34
2.3. გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებები	41
2.4. სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების გამოყენების უფლება	45
ერთგვული უსაფრთხოების სამსახურებზე დემოკრატიული გადახედვების შესახებ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიმოხილვა	49
3.1. საერთაშორისო და რეგიონალური სამართლებრივი საშუალებები	49
3.2. არამავალდებულებელი რეკომენდაციები და პრინციპები	57
ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არსებული ერთგული პრაქტიკები	73
4.1 საპარლამენტო კომიტეტები	74
4.2 დამოუკიდებელი ზედამხედველობის ინსტიტუტები	84
4.3 სასამართლო ორგანოები	95
4.4 კვაზისასამართლო სანქციების ორგანოები	102
4.5 აღმასრულებელი ხელისუფლება	104
4.6 შიდა კონტროლი	106
4.7 მედია და სამოქალაქო საზოგადოება	107
ერთგული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური გადახედვებისკენ	111
5.1 ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებებისათვის წინასწარი (Ex ante) ნებართვის გაცემა	114
5.2 საჩივრების მართვა	115
5.3 ზედამხედველების მიერ ინფორმაციაზე წვდომა	116
5.4 ზედამხედველობის ორგანოების გამჭვირვალობა	119
5.5 ზედამხედველობის სისტემების შეფასება	120
გამოყენებული მასალები	122
სასამართლო საქმიანობა	135
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	135
ეროვნული სასამართლოები	136

რეზიუმე

შშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი კონტრაქტორის ედუარდ სნოუდენის მიერ მიმდინარე პერიოდში ინფორმაციის გაჟონვამ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობებისადმი განახლებული ძალისხმევით ყურადღების გამახვილება გამოიწვია. მასშტაბური ელექტრონული თვალთვალის განპირობებულმა პრობლემებმა კიდევ ერთხელ წამოჭრა კითხვები უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის ადეკვატურობის შესახებ. უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობა არის ფუნდამენტური ფაქტორი იმის საგარანტიოდ, რომ აღნიშნულმა ინსტიტუტებმა, არა მარტო უნდა შეიტანონ წვლილი მოსახლეობის დაცვაში, რომელსაც ემსახურებიან, არამედ, პატივიც სცენ კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებებს მოცემული დავალების შესრულების დროს. სნოუდენტან დაკავშირებულმა გაჟონვებმა, ევროპის საბჭოს ბევრ წევრ ქვეყანაში, სერიოზული ეჭვი წარმოშვა ეროვნული ზედამხედველობის სისტემის შესაძლებლობის მიმართ შესაბამისი კონტროლი განახორციელოს უსაფრთხოების სამსახურებზე. მითუმეტეს, როდესაც გაჩნდა ინფორმაცია, რომ ევროპის ზოგიერთი უსაფრთხოების სამსახური ჩართული იყო ეჭვმიტანილი ტერორისტების საიდუმლო დაკავებისა და საგანგებო გადაცემის საქმეში, ასევე გავრცელდა განცხადებები უსაფრთხოების სამსახურის უკანონო ქმედებების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულის ფონზე, წინამდებარე კვლევით ნაშრომში განხილულია საკითხი, თუ რა არის საჭირო, რომ ეროვნული ზედამხედველობის სისტემა გახდეს უფრო ეფექტიანი დაეხმაროს უსაფრთხოების სამსახურებს, საკუთარი საქმიანობის წარმართვისას წინა პლანზე წამოწიონ ადამიანის უფლებებთან შესაბამისობა და ანგარიშვალდებულება.

წინამდებარე კვლევითი ნაშრომის ყურადღების ცენტრში დგას სახელმწიფო ორგანოების ზედამხედველობა, მათ შორის, როგორც ავტონომიური სააგენტოები, ასევე სხვა სამთავრობო დეპარტამენტების ან შეიარაღებული ძალების სამმართველოები/განყოფილებებიც, რომლებსაც აქვთ მანდატი შეკრიბონ, გააანალიზონ და გაავრცელონ დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია საკუთარი ქვეყნის საზღვრების ფარგლებში, რათა გადასცენ პოლიტიკოსების, სამხედრო მეთაურების, პოლიციის გამომძიებლებისა და სასაზღვრო/საბაჟო სააგენტოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრება ეროვნულ უსაფრთხოებასა და სხვა მთავარ ეროვნულ ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უსაფრთხოების სამსახური ახორციელებს დაპატიმრებასა და დაკავებას, მსგავსი ძალაუფლების ზედამხედველობის დეტალები არ არის განხილული წინამდებარე კვლევით ნაშრომში.

ადამიანის უფლებათა ევროპის საბჭოს კომისარმა შეიმუშავა განსაზღვრული რეკომენდაციები წინამდებარე კვლევით ნაშრომში წამოჭრილი საკითხების საფუძველზე. ყოველივე მითითებული ჩამოყალიბებულია რეზიუმეს შემდეგ.

1. ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების გემოთმედების მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა დაცვაზე ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების ზემოქმედების თანამედროვე მაგალითები განხილულია ოთხ სფეროსთან კავშირში.

პირველი, არსებობს საქმიანობები, რომლებიც ზემოქმედებენ პირად ხელშეუხებლობაზე, მათ შორის იგულისხმება სიცოცხლის უფლება, პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, ასევე, უფლება, რომ არ უნდა დაექვემდებარო წამებას ან არაადამიანურ, სასტიკ და დამამცირებელი მოპყრობას. მოცემული მაგალითები მოიცავენ ტერორიზმში ექმიტანილთა საგანგებო გადაცემასა

და საიდუმლო დაკავებებში ჩაბმას; საგანგებო გადაცემის და საიდუმლო დაკავებების, წამებისა და უპილოტო თვითმფრინავების იერიშების გამომწვევი ინფორმაციის გაზიარებას; ასევე, მიმდინარე დაპატიმრებებსა და არამართლზომიერ დაკავებებს უსაფრთხოების სამსახურების მიერ.

მეორე, უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობები ზემოქმედებენ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებებზე. უმრავლეს იურისდიქციაში იგი წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ საშუალებას, რომლითაც უსაფრთხოების სამსახურები ახორციელებენ ადამიანის უფლებებში ჩარევას. კომუნიკაციების მონაცემების/მეტამონაცემების მასშტაბური საიდუმლო თვალთვალი და დამუშავება რამდენადმე დეტალურადაა განხილული, და ასევე გათვალისწინებულია კომპიუტერული ქსელის ექსპლუატაციის და საერთაშორისო დაზვერვის მიერ მოპოვებული მასალების გაზიარების იმპლიკაციები.

მესამე, უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა გავლენას ახდენს გამოხატვის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებაზე. განხილულია ამ უფლებების, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ხელყოფა, მათ შორის უარყოფითი გავლენა აღნიშნულ უფლებებზე, რაც შეიქმნა სათვალთვალო ზომების პოტენციური და ფაქტობრივი გამოყენების შედეგად. ასევე განხილულია უფრო დიდი ზიანი, რაც განიცადა დემოკრატიულმა პროცესებმა უსაფრთხოების სამსახურების მიერ პოლიტიკოსების, მოსამართლეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებში ჩარევამ.

ბოლოს კი, მოკლედ არის მიმოხილული ზემოქმედება სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, მათ შორის უსაფრთხოების სამსახურის თვალთვალის გავლენა ადვოკატსა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის კომუნიკაციებზე და საშიშროება, რაც ემუქრება სამართლიან სასამართლოს იმ ზომების გამო, რომელიც მიღებულია სახელმწიფო საიდუმლოებების დასაცავად უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებული დავის დროს.

2. ეროვნული უსაფრთხოების სამსახურებზე დემოკრატიული ზედამხედველობის შესახებ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიმოხილვა

უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები იყოფა მავალდებულებელ სამართლებრივ ინსტრუმენტებად და არამავალდებულებელ პრინციპებად ან რეკომენდაციებად. პირველი კატეგორია მოიცავს დებულებებს მრავალი საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულებიდან, და ასევე მათ ინტერპრეტაციებს შესაბამისი სასამართლოების ან ხელშეკრულების ორგანოების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალიან მცირე რაოდენობის საერთაშორისო თუ რეგიონული იურიდიული ინსტრუმენტები, რომლებიც პირდაპირ გამოიყენება ზედამხედველობისთვის, ცხადი გახდა, რომ მრავალი მოთხოვნა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება უსაფრთხოების სამსახურის ზედამხედველობას შესაძლებელია წარმოიქმნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს („სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“) იურისდიქციისგან, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მუხლების 3, 5, 8 და 13 („კონვენცია“ ან „ECHR“) გათვალისწინებით. ეს მოთხოვნები არის შემდეგი: ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის ეფექტური გამოძიება და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანთა უფლებების ხელყოფის დროს, მათ შორის, საიდუმლო თვალთვალის კონტექსტში; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წინასწარ სანქცირება და თვალთვალის ზომების განხორციელების შემდგომი მიმოხილვა.

მეორე კატეგორია მოიცავს რეკომენდაციებს, რეზოლუციებს, განცხადებებსა და საანგარიშო მოხსენებებს ოთხი წყაროდან: (i) გაერთიანებული ერების (გაერო) ინსტიტუტები, მათ შორის, გენერალური ასამბლეა და სპეციალური მანდატის მფლობელები; (ii) ევროპის საბჭოს ინსტიტუტები, ვენეციის კომისიის, საპარლამენტო ასამბლეის (PACE) და მისი მომხსენებლების და ადამიანის უფლებათა კომისრის ჩათვლით; (iii) ევროპის კავშირი, (iv) ტრანსნაციონა-

ლური ინიციატივები სამოქალაქო საზოგადოების ხელმძღვანელობით. ბოლო 10 წლის განმავლობაში მსგავსი დოკუმენტები ვრცელდებოდა იმ რაოდენობით, რომ ამჟამად ზედამხედველობის სფეროში არსებობს რბილი სამართლის პრინციპების ვრცელი ლექსიკონი; თითოეულიდან წარმოდგენილია მთავარი ან ახალი რეკომენდაციები, ხოლო მნიშვნელოვანი განსხვავებები კი – გამოკვეთილი.

პრინციპების ყველაზე ვრცელ კომპლექტს წარმოადგენს გაეროს საუკეთესო პრაქტიკის კრებული დაზვერვის სააგენტოების და მათი ზედამხედველობის შესახებ (გაერო 2010ა), რომელიც წამოაყენა გაეროს ყოფილმა სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებებისა და კონტრტერორიზმის საკითხებზე, ვენეციის კომისიის გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე მოხსენება უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული ზედამხედველობის შესახებ. სხვა მრავალი მოხსენება და რეზოლუცია განიხილავდა უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობას, როგორც უფრო მასშტაბური შეფასებების ნაწილს. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა რეკომენდაციები, რომლებიც გაშუქდა სნოუდენის მიერ გამოქვეყნებების ფონზე გაეროს სპეციალური მანდატის მფლობელის, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპის პარლამენტის მიერ.

მნიშვნელოვანწილად განიხილება გლობალური პრინციპები ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ (ცვანეს პრინციპები), რამდენადაც ისინი იძლევიან ვრცელ მითითებას ზედამხედველობის ორგანოების მიერ ინფორმაციის მისაწვდომობის და უსაფრთხოების სამსახურებისა და მათი ზედამხედველობის ორგანოების მფლობელობაში არსებულ დოკუმენტებზე საჯარო წვდომის მთავარ საკითხებზე. სხვა განხილული პრინციპები მოიცავს ოტავის პრინციპებს და ე.წ. საჭირო და პროპორციულ პრინციპებს.

3. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნული პრაქტიკა

ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიმართეს სხვადასხვა მიდგომას საკუთარი უსაფრთხოების სამსახურების სტრუქტურისა და ვალდებულებისთვის. მოცემულ თავში (თავი 4) განხილულია ეროვნული მიდგომების ზედამხედველობა შემდეგი ორგანოების მიერ: საპარლამენტო კომიტეტები; დამოუკიდებელი ზედამხედველობის ინსტიტუტები, მათ შორის, უსაფრთხოების/დაზვერვის ზედამხედველობის კვალიფიციური ორგანოები და ინსტიტუტები უფრო ფართო იურისდიქციით, როგორცაა ომბუდსმენები და მონაცემთა/ინფორმაციის დაცვის კომისიები; ასევე, სასამართლო ორგანოები, კვაზისასამართლო ორგანოების ჩათვლით. მოკლედ არის განხილული ადმინისტრაციული ხელისუფლების როლი, უსაფრთხოების სამსახურების შიდა კონტროლის მექანიზმები და სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მიერ არაოფიციალური ზედამხედველობა. მთელი ეროვნული ზედამხედველობის სისტემის განხილვის ნაცვლად, მაგალითები მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის სისტემების ნაწილებიდან იმგვარად, რომ წინა პლანზე წამოწეულია კონტრასტული მიდგომები და კარგი პრაქტიკები.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ არ არსებობს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, რომლის ზედამხედველობის სისტემა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო თუ რეგიონალური მასშტაბით აღიარებულ პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკებთან, და ასევე არ არსებობს უსაფრთხოების სამსახურის ზედამხედველობის სისტემის ორგანიზების ერთადერთი საუკეთესო მიდგომა. მიუხედავად ამისა, წინამდებარე კვლევითი ნაშრომი ცდილობს გამოკვეთოს კონკრეტული მიდგომა ან პრაქტიკა, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი უპირატესობა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

საპარლამენტო კომიტეტები

მოცემულ ანგარიშში დაწვრილებით არის განხილული საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების მანდატები და როლი, რომლებიც ტრადიციულად მიიჩნევა უსაფრთხოების სამსახურებზე

ზედამხედველობის მთავარ პასუხისმგებელ ორგანოებად. კლასიფიცირებულ ინფორმაციაზე პარლამენტის კომიტეტების წევრობა წარმოადგენს ეფექტური ზედამხედველობის არსებით თვისებას; იგი განხილულია პარლამენტარებისთვის უსაფრთხოების საკონტროლო დათვალიერებისა და ინფორმაციის დაცვის ალტერნატიული ზომების საკამათო საკითხთან ერთად. მოცემული ნაწილი (4.1), ასევე, ეხება ხშირ შემთხვევაში გამორჩენილ საკითხს საპარლამენტო კომიტეტებსა და სხვა ზედამხედველობის ორგანოებს შორის ურთიერთობის შესახებ.

დამოუკიდებელი ზედამხედველობის ინსტიტუტები

კვალიფიციური უსაფრთხოების/დაზვერვის ზედამხედველობის ინსტიტუტები იძენენ მზარდ მნიშვნელობას უსაფრთხოების სამსახურების მეთვალყურეობის საქმეში. წინამდებარე კვლევითი ნაშრომი ითვალისწინებს იმ შეხედულებას, რომ ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ზედამხედველობის ეფექტიანობის გასაძლიერებლად და ადამიანის უფლებათა დაცვის გასაუმჯობესებლად.

კვალიფიციური უსაფრთხოების/დაზვერვის ზედამხედველობის ორგანოები სულ უფრო და უფრო მისაღები ხდება ევროპის საბჭოს სივრცეში და ხშირ შემთხვევაში მიმართავენ, რომ განხორციელდეს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის კანონიერებაზე დეტალური, ყოველდღიური ზედამხედველობა. აღნიშნული ორგანოების უპირატესობებზე აქცენტის გაკეთებასთან ერთად, ასევე გათვალისწინებულია შესაძლო ზომები იმის საგარანტიოდ, რომ მსგავს ორგანოებს გააჩნიათ დემოკრატიული კანონიერების უფლებამოსილება.

მონაცემთა დაცვის ორგანოები და ომბუდსმენები თამაშობენ განსაზღვრულ როლს ევროპის საბჭოს უმეტესი წევრი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის საქმეში. მაგრამ, მაგალითები მოყვანილია იმ საშუალებების შესახებ, რომლებითაც აღნიშნული ორგანოები მონაწილეობენ ეფექტური ზედამხედველობის სისტემაში.

სასამართლო ორგანოები

სასამართლო ორგანოები ძირითადად განხილულია ოპერატიულ-სამძებრო თვალთვალის ზომების სანქცირებასთან მიმართებით. ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა მოითხოვს სასამართლო ნებართვას მასშტაბური თვალთვალის განსახორციელებლად, კომუნიკაციების მონაცემთა მისაწვდომობის ან კომპიუტერული ქსელის ექსპლუატაციისათვის. სასამართლო სფერო ჩამორჩება თვალთვალის ზომების განვითარებას, შესაბამისად იმ ზომებს, რომლებიც, სულ მცირე, იმდენად ოპერატიულია, რამდენადაც ტრადიციული უსაფრთხოების სამსახურის მეთოდები არ ექვედებარება სასამართლო რწმუნებას უმეტესი ქვეყნის იურისდიქციაში. აღნიშნული სიტუაცია იცვლება და ანგარიშში მოყვანილია ევროპის საბჭოს იმ წევრი ქვეყნების მაგალითები, რომლებიც ამჟამად მოითხოვენ სასამართლო კონტროლს არამიზნობრივი თვალთვალისა და შეგროვებული კომუნიკაციების მონაცემთა წვდომისთვის.

კვაზისასამართლო სანქცირების ორგანო

ევროპის საბჭოს მრავალმა წევრმა ქვეყანამ ჩამოაყალიბა კვაზისასამართლო ორგანოები ოპერატიულ-სამძებრო მეთოდების სანქცირებისთვის. ახალი ბელგიური სისტემა წარმოდგენილია ზოგადი დეტალებით და მითითებულია ფაქტები, რომ ბელგია მიეკუთვნება იმ მცირე რაოდენობის ქვეყნებს, რომელთა კანონიც მოითხოვს, რომ კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაცია დაექვემდებაროს დამოუკიდებელ სანქცირებას. გათვალისწინებულია აღნიშნული სპეციალიზებული რწმუნებულობის ორგანოების უპირატემა იმ ფაქტის ჩათვლით, რომ სასამართლო ორგანოებისგან განსხვავებით, ისინი ანგარიშვალდებული არიან სხვა ზედამხედველობის ორგანოს წინაშე.

შიდა კონტროლი

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სამსახურების ფარგლებში არსებული შიდა კონტროლი არ წარმოადგენს წინამდებარე კვლევითი ნაშრომის ყურადღების საგანს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ უსაფრთხოების სამსახურების დამოუკიდებელი წევრები თამაშობენ ყველაზე მნიშვნელოვან როლს, რათა უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა იყოს თავსებადი ადამიანის უფლებებთან და ანგარიშვალდებული მის წინაშე. გარე ზედამხედველობა ბევრს ვერ მიაღწევს, თუ უსაფრთხოების სამსახურებს არ ექნება შიდა კულტურა და არ ეყობა თანამშრომლები, რომლებიც პატივისცემით ეპყრობიან ადამიანის უფლებებს.

4. ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური გადახედველობისკენ

საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ პრაქტიკებზე დაყრდნობით, წინამდებარე თავში (თავი 5) გადმოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნები და ძირითადი პრინციპები, რომლებიც იძლევიან უსაფრთხოების სამსახურების უფრო ეფექტიანი ზედამხედველობის საშუალებას. თავის ბოლოს წარმოდგენილია შემაჯამებელი მიგნებები.

ზედამხედველობის დემოკრატიულობის მხარდაჭერა

დემოკრატიული ზედამხედველობა არის მნიშვნელოვანი, რადგანაც უსაფრთხოების სამსახურები (და შესაბამისი აღმასრულებელი უწყებები) უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ სამსახურს ხალხისთვის და ხალხის სახელით, და აღნიშნულიდან გამომდინარე, არჩეული წარმომადგენლები უნდა იყვნენ ჩართული იმის საგარანტიოდ, რომ მოცემული სამსახური წარიმართოს ეფექტურად და კანონიერად. ზედამხედველობის „დემოკრატიულობა“ ძირითადად მიიღწევა პარლამენტის ჩართულობის გზით, მათ შორის, შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: ეროვნული კანონები ითვალისწინებს უსაფრთხოების სამსახურების ფართო ზედამხედველობას; გამოყოფი-

ლია საჭირო ფინანსური რესურსები არასაპარლამენტო ზედამხედველობის ინსტიტუტებისთვის; პერიოდულად მიმოხილულია ზედამხედველობის ინსტიტუტების ეფექტურობა; ყურადღებით არის შესწავლილი უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა, როგორც მიმდინარე რეჟიმში, ასევე ჩატარებულია საგანგებო შემოწმებები.

ოპერატიულ-სამძებრო უფლებამოსილების წინასწარი (*ex ante*) სანქცირება

დამოუკიდებელმა წინასწარ (*ex ante*) სანქცირებამ უნდა მოიცვას: ინფორმაციის მასშტაბური არამიზნობრივი შეგროვება; კომუნიკაციების მონაცემთა შეკრება და მისაწვდომობა (მათ შორის კერძო სექტორის მფლობელობაში არსებული); და შეძლებისამებრ, კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაცია. პროცესი, რომლითაც ხდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე ნებართვის გაცემა ან ხელახალი სანქცირება, თავის მხრივ, უნდა დაექვემდებაროს ყურადღებით შესწავლას. რადგანაც შესაძლებელია სირთულეების წარმოქმნა ოპერატიულ-სამძებრო ზომების სანქცირების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასების ძიების დროს, დასაშვებია კვაზისა-სამართლო მოდელების გათვალისწინება.

საჩივრების დამუშავება

ზედამხედველობის სამსახურების უმრავლესობას შეუძლია მხოლოდ რეკომენდაციების მიცემა უსაფრთხოების სამსახურებისა და/ან აღმასრულებელისთვის. რამდენადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოითხოვს, რომ ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ (ან აცნობიერებენ), რომ უკანონოდ დაირღვა მათი უფლებები უსაფრთხოების სამსახურების მიერ, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ინსტიტუტებზე, რომლებიც ახორციელებენ სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას, აღნიშნულის გათვალისწინებით სახელმწიფოებმა ასევე, უნდა უზრუნველყონ ინდივიდუალური პირების წვდომა იურიდიულად მავალდებულებელი განკარგულებების გამცემ ინსტიტუტებთან.

წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო დაზვერვასთან თანამშრომლობას

წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც წარმოიქმნება საერთაშორისო დაზვერვასთან თანამშრომლობით და დაკავშირებულია მასთან, იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. თუ გავითვალისწინებთ უსაფრთხოების სამსახურებს შორის ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას (და მსგავსი თანამშრომლობის შესაძლო ზემოქმედებას ადამიანის უფლებებზე), აუცილებელია, რომ ზედამხედველებმა შეძლონ ყურადღებით შეისწავლონ ინფორმაცია აღნიშნული თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია, რომელიც მიღებულია უცხოური ორგანოებისგან ან ეგზავნება მათ. საჭიროა დარწმუნება, რომ მეთვალყურეები არ განიხილებიან, როგორც „მესამე მხარეები“ ან არ ექვემდებარებიან ინიციატორის კონტროლის პრინციპებს, არც კანონის ძალით და არც პრაქტიკაში იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს აღნიშნული საქმიანობების ყურადღებით შესწავლა.

ზედამხედველობის ორგანოების რესურსები

ზედამხედველობის სამსახურების უმრავლესობას გააჩნია მზარდი შესაძლებლობები (ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გაზრდილი ბიუჯეტის საფუძველზე), რათა შეაგროვოს, გააზიაროს და მიიღოს ინფორმაცია და სულ უფრო მეტად გამოიყენოს კომპლექსური სისტემები აღნიშნულის განსახორციელებლად. შესაბამისად, დამოუკიდებელი ტექნიკური ექსპერტიზისთვის მიმართვა განუყოფელი გახდა ეფექტური ზედამხედველობისთვის. დაზვერვის მიერ მოპოვებული მასალების შეკრებისა და შენახვის სისტემები უფრო კომპლექსური გახდა და მათი იმპლიკაციები ადამიანის უფლებებზე ადვილად ვერ შეფასდება სპეციალისტის კომპეტენციის გამოყენების გარეშე.

ზედამხედველობის სისტემების შეფასება: ვინ მეთვალყურეობს ზედამხედველებს?

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს სივრცეში უსაფრთხოების სამსახურებზე გარე ზედამხედველობის დაწესების შესახებ მიღწეულია პროგრესი, ძალიან ცოტა ქვეყანამ თუ ჩაატარა აღნიშნული სისტემების ეფექტურობის მიმოხილვა. იმისათვის, რომ ეფექტურად განხორციელდეს უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობაში ან მათი საქმიანობებით განპირობებული ადამიანის უფლებების პრობლემების აღკვეთა და მათზე რეაგირება, საჭიროა სათანადო სამართლებრივი მანდატი და უფლებამოსილება, რესურსები და ექსპერტიზა. მსგავსი მოთხოვნები წამოიჭრება უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე. ამიტომ, აუცილებელია, პერიოდულად შეფასდეს უსაფრთხოების ზედამხედველობის სისტემები, რათა განისაზღვროს, ფლობენ თუ არა ისინი საჭირო თვისებებს ეფექტური მოქმედებისთვის. შეფასებები შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად ან სპეციალური მიზნით; ეფექტიანი იქნება შეფასების მოთხოვნის ჩართვა კანონმდებლობაში, რომლითაც ხელმძღვანელობენ ზედამხედველობის ორგანოები.

კომისრის რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევითი ნაშრომის შედეგებისა და დასკვნების გათვალისწინებით, კომისარი იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნული უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის გაძლიერებას და აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა თავსებადობის გაუმჯობესებას უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობაში.

იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს უსაფრთხოების სამსახურების ოპერაციების, პოლიტიკისა და რეგულაციების შესაბამისობა კონვენციის უფლებებთან და ეფექტური დემოკრატიული ზედამხედველობისთვის მათი დაქვემდებარება, კომისარი მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შემდეგი ქმედებებისკენ:

ზედამხედველობის სისტემისთვის ზოგადი პარამეტრების შესახებ

1. შეიქმნას ან დაინიშნოს ერთი ან მეტი უწყება, რომელიც იქნება აბსოლუტურად დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლების და უსაფრთხოების სამსახურებისგან, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს უსაფრთხოების სამსახურის რეგულაციების, პოლიტიკის, ოპერაციებისა და ადმინისტრაციის ყველა ასპექტს. წინამდებარე რეკომენდაციებში მოცემული ზედამხედველობის ორგანოების ყველა მითითებება განკუთვნილია დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოებისთვის მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად.
2. უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის სისტემის შესაბამისობა ზედამხედველობის მინიმალურ მოთხოვნებთან, რომლებიც წარმოდგენილია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სამართალში, გაეროს კარგი პრაქტიკების კრებულში დაზვერვის სააგენტოებისა და

მათი ზედამხედველობის შესახებ (გაერო 2010ა), ასევე, ვენეციის კომისიის მიერ წარდგენილ რეკომენდაციებში.

უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის მასშტაბების შესახებ

3. უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების (შეგროვების მეთოდის ან წყაროს მიუხედავად), დამუშავების, შენახვის, გაზიარების, მინიმიზაციისა და წაშლის ყველა ასპექტი და ფაზა ექვემდებარება ზედამხედველობას, სულ მცირე, ერთი ინსტიტუტის მიერ, რომელიც არსებობს უსაფრთხოების სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების გარეთ.
4. უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობა კონცენტრირებული იყოს არა მარტო უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების კანონიერებაზე, რომელიც დაკავშირებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასთან, არამედ ასევე, გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებისა და რელიგიის, აზრისა და სინდისის თავისუფლებებთან.
5. დაავალონ ზედამხედველობის ორგანოებს ყურადღებით განიხილონ უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანის უფლებების შესაბამისობა უცხოურ ორგანოებთან თანამშრომლობის დროს. მათ შორის იგულისხმება, თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის, ერთობლივი ოპერაციების, წვრთნებისა და აღჭურვის უზრუნველყოფის საშუალებით. რეკომენდებულია, რომ უსაფრთხოების სამსახურის უცხოურ ორგანოებთან თანამშრომლობის გარე ზედამხედველობა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილის შესწავლით:
 - ა. სამინისტროს დირექტივები და შიდა რეგულაციები, რომლებიც ეხება საერთაშორისო დაზვერვასთან თანამშრომლობას;
 - ბ. ადამიანის უფლებათა რისკების შეფასება და რისკის მართვის პროცესები, რომლებიც ეხება უსაფრთხოების სპეციალურ

- უცხოურ სამსახურებთან ურთიერთობას და ოპერატიული თანამშრომლობის სპეციალურ შემთხვევებს;
- გ. გამავალი პერსონალური მონაცემები და ამ მიზნისთვის თანდართული წინასწარი შეტყობინებები (პირობები);
 - დ. უსაფრთხოების სამსახურის მიერ უცხოელი პარტნიორებისთვის გაკეთებული მოთხოვნები: (i) კონკრეტულ პირებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად; და (ii) კონკრეტულ პირებზე თვალთვალის დასაწესებლად;
 - ე. შეთანხმებები დაზვერვის სააგენტოების თანამშრომლობის შესახებ;
 - ვ. უცხოელ პარტნიორებთან განხორციელებული ერთობლივი თვალთვალის ოპერაციები და პროგრამები.
6. მოითხოვონ, რომ უსაფრთხოების სამსახურებმა მოიპოვონ ნებართვა ორგანოსგან, რომელიც არის დამოუკიდებელი უსაფრთხოების სამსახურებისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, როგორც კანონში, ასევე პრაქტიკაშიც, სანამ ჩაერთვებიან ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობაში ან პირდაპირ, ან კერძო სექტორის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, რომ:
- ა. გაატარონ არამიზნობრივი მასშტაბური თვალთვალის ზომები გამოყენებული მეთოდების ან ტექნოლოგიის ან მიზნობრივი კომუნიკაციების სახეობის მიუხედავად.
 - ბ. გამოიყენონ სელექტორები ან საკვანძო სიტყვები მასშტაბური თვალთვალის საშუალებით შეკრებილი ინფორმაციიდან მონაცემების ამოსაღებად, განსაკუთრებით კი, როცა მოცემული სელექტორები ეხება იდენტიციფირებულ პირებს;
 - გ. შეაგროვონ კომუნიკაციები/მეტამონაცემები პირდაპირ ან მოიპოვონ ისინი მესამე მხარეებისადმი გაკეთებული მოთხოვნების გზით, კერძო კომპანიების ჩათვლით;
 - დ. მოიპოვონ პერსონალური მონაცემები, რომლებსაც ფლობს სხვა სახელმწიფო ორგანოები;
 - ე. განახორციელონ კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაცია.

7. უზრუნველყონ, რომ, როდესაც უსაფრთხოების სამსახურები ჩაბმულია კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაციაში, აღნიშნული საქმიანობები ექვემდებარება იმავე დონის გარე ზედამხედველობას, როგორც არის საჭირო თვალთვალის ზომებისთვის, რომლებსაც აქვთ ექვივალენტური ადამიანის უფლებების იმპლიკაციები.
8. გაითვალისწინონ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის მქონე საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ადვოკატების ჩართვა თვალთვალის სანქცირების პროცესებში, მიზნობრივი და არამიზნობრივი თვალთვალის ზომების ჩათვლით, რათა წარმოადგინოს თვალთვალის პოტენციური სამიზნეების ინტერესები.
9. გაითვალისწინონ თუ, როგორ უნდა მოხდეს თვალთვალის სანქცირების პროცესების *მოვლენის შემდგომი* მიმოხილვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
10. შექმნან, ან დანიშნონ გარე ზედამხედველობის ორგანო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებული საჩივრების მისაღებად და გამოსაძიებლად. როდესაც მსგავსი ორგანოები არიან მხოლოდ უფლებამოსილი გასცენ არამავალდებულებელი რეკომენდაციები, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოსარჩელებს, ასევე შეუძლიათ მიმართონ სხვა ინსტიტუტს, რომელიც განაპირობებს სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებს კანონის ძალითაც და პრაქტიკულადაც.
11. მიანიჭონ გარე ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილება თვალთვალის ორდერის გაუქმებისა და თვალთვალის ღონისძიებების შეწყვეტის შესახებ, რომლებიც მიმდინარეობს ორდერის საჭიროების გარეშე მაშინ, როდესაც მსგავსი საქმიანობები მიიჩნევა უკანონოდ; ასევე, აღჭურვონ მოთხოვნის უფლებამოსილებით, რომ წაშალონ ანალოგიური ზომების შედეგად მოპოვებული ყველა ინფორმაცია.

12. უზრუნველყონ, რომ ყველა ინსტიტუტის პროცედურები, რომლებსაც ევალებათ სასამართლო გადაწყვეტილების მიღება საჩივრებზე, რომლებიც ეხება მოსარჩელესთვის გამხელილ ან სხვაგვარად გასაჯაროებულ საქმეებს, შეესაბამება საჭირო საპროცესო სტანდარტებს ევროპის ადამიანის უფლებათა კანონების მიხედვით.

ზედამხედველობის ორგანოების დამოუკიდებლობის და დემოკრატიული ლეგიტიმურობის შესახებ

13. გაითვალისწინონ კავშირის განმტკიცება კვალიფიციურ ზედამხედველობის ორგანოებსა და პარლამენტს შორის შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:
- ა. მიანიჭონ სპეციალურ საპარლამენტო კომიტეტს წევრების დანიშვნის ფუნქცია;
 - ბ. აღჭურვონ პარლამენტი უფლებით, დაავალოს კვალიფიციურ ორგანოებს გამოიძიონ კონკრეტული საქმეები.
 - გ. მოთხოვონ კვალიფიციურ ზედამხედველობის ორგანოებს, გააკეთონ საანგარიშო მოხსენებები და მონაწილეობა მიიღონ მოსმენებზე სპეციალურ საპარლამენტო კომიტეტთან ერთად.

ზედამხედველობის ორგანოების ეფექტიანობის შესახებ

14. უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ ყველა ორგანოს ჰქონდეს წვდომა ყველა ინფორმაციასთან, მისი კლასიფიკაციის დონის მიუხედავად, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ შესაბამისად მათი მანდატის შესასრულებლად. ზედამხედველობის ორგანოების წვდომა ინფორმაციაზე უნდა იყოს კანონით დაცული და გამყარებული საგამომძიებლო უფლებამოსილებითა და საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მსგავს მისაწვდომობას. უნდა აიკრძალოს ზედამხედველობის ორგანოების კლასიფიცირებულ ინ-

ფორმაციაზე წვდომის ყველა შეზღუდვა და დაექვემდებაროს სანქცირებას საჭიროებისამებრ.

15. უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების სამსახურებს დაევალოს ზედამხედველობის სამსახურებთან ღიაობა და თანამშრომლობა. თანაბარი ძალით, უსაფრთხოების სამსახურები პასუხისმგებლები არიან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაზე, მათ შორის მოიპოვონ და დაამუშაონ კლასიფიცირებული ინფორმაცია პროფესიულად და მკაცრად კანონით მინიჭებული მიზნებისთვის.
16. უზრუნველყონ, რომ ზედამხედველობის სამსახურების წვდომა ინფორმაციასთან არ იქნება შეზღუდული მესამე მხარის ინციტორის კონტროლის წესის ან პრინციპის მიერ, ან არ დაექვემდებარება მას. ეს არის აუცილებელი ფაქტორი იმის საგარანტიოდ, რომ დემოკრატიული ზედამხედველობა არ გახდება ეფექტური ვეტოს საგანი უცხოური ორგანოების მიერ, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციის გაცვლას უსაფრთხოების სამსახურებთან. ზედამხედველობის სამსახურების წვდომა ინფორმაციასთან უნდა უნდა მოიცავდეს ყველა შესაბამის ინფორმაციას, რომელსაც ფლობს უსაფრთხოების სამსახურები უცხოური ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის ჩათვლით.
17. მოთხოვონ უსაფრთხოების სამსახურებს, რომ ზედამხედველებს პროაქტიურად მიაწოდონ ინფორმაცია (გამოთხოვის გარეშე), რომელიც ეხება მოქმედების იმ სფეროებს, რაც ადამიანის უფლებებისთვის კონკრეტული რისკების შემცველია ისევე, როგორც ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობაში ადამიანის უფლებათა პოტენციურ დარღვევასთან.
18. უზრუნველყონ, რომ გარე ზედამხედველობის ორგანოები, მათ შორის, საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტები და კვალიფიციური ზედამხედველობის უწყებები, კანონით იყვნენ

უფლებამოსილები დაიქირავონ დამოუკიდებელი სპეციალისტები, რომელთა ექსპერტიზაც მიიჩნევა სათანადოდ. კერძოდ, ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა მიმართონ ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სპეციალისტებს, რომლებსაც შეუძლია თუკეთ გაიგონ და შეაფასონ თვალთვალის სისტემები და ჩასწვდნენ აღნიშნული საქმიანობების გავლენას ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

19. უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ ყველა ინსტიტუტს აქვს საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსი თავიანთი მანდატის განსახორციელებლად. იგი უნდა მოიცავდეს ტექნოლოგიური ექსპერტიზით სარგებლობას, რაც მეთვალყურეებს მისცემს სისტემაში ნავიგაციის, მისი გაგებისა და შეფასების საშუალებას, რათა მოხდეს ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვა. უნდა ხონხორციელდეს ამგვარი რესურსების ადკვატურობის მიმოხილვა და ყურადღება გამახვილდეს იმაზე, საჭიროება არსებობს თუ არა უსაფრთხოების სამსახურის ბიუჯეტის ზრდას მოჰყვეს მეთვალყურეების რესურსების პარალელური ზრდა.
20. უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების ორგანოები, რომლებსაც აქვთ წვდომა საიდუმლო ინფორმაციასა და პერსონალურ მონაცემებთან (მისი კლასიფიციკაციის მიუხედავად) ახორციელებენ ზომებს, რომ გარანტირებული იყოს ინფორმაციის დაცულობა იმ მიზნებით გამოყენებისა და გამჟღავნებისგან, რომელიც ცდება ზედამხედველობის ორგანოს მანდატს.

გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის შესახებ

21. კანონით მოითხოვონ, რომ უსაფრთხოების სამსახურების შემომოწმებელმა პასუხისმგებელმა გარე ორგანოებმა გამოსცენ საკუთარი პერიოდული და კვლევითი ანგარიშების საჯარო ვერსიები. ყველა მსგავს მოთხოვნას თან უნდა ახლდეს დამატები-

თი რესურსები, რომლებიც ზედამხედველობის ორგანოებს მისცემს შესაძლებლობას დაამუშაონ საინფორმაციო ანგარიშები იმგვარად, რომ ძირი არ გამოუთხარონ მათ მიერ შესასრულებელ, ზედამხედველობისთვის საჭირო მთავარ ფუნქციებს.

22. უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების სამსახურები და მათი ზედამხედველობის ორგანოები არ არიან გათავისუფლებულები ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის იურისდიქციისაგან და სანაცვლოდ მოითხოვენ, რომ გადაწყვეტილებები ინფორმაციის არგაცემაზე მიიღება ცალკეული შემთხვევის საფუძველზე, დამოწმდება სათანადოდ და დაექვემდებარება დამოუკიდებელ ინფორმაციის/მონაცემთა დაცვის კომისრის ზედამხედველობას.

ზედამხედველობის ორგანოების და სისტემების მიმოხილვის შესახებ

23. პერიოდულად შეაფასონ და მიმოიხილონ სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოები, პროცედურები და პრაქტიკები უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობისთვის. შეფასებები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შემდეგი საკითხებით:
 - ა. ზედამხედველობის ორგანოების სამართლებრივი მანდატი;
 - ბ. ზედამხედველობის ორგანოების ეფექტურობა უსაფრთხოების სამსახურების დასახმარებლად იმის საგარანტიოდ, რომ მათი პოლიტიკა, რეგულაციები და ოპერაციები შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო ნორმებს;
 - გ. ზედამხედველობის სამსახურების საგამოძიებო მეთოდების ეფექტიანობა;
 - დ. ახალი ტექნოლოგიების იმპლიკაციები ზედამხედველობისთვის;
 - ე. კლასიფიცირებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებამოსილებისა და საშუალებების ადეკვატურობა;
 - ვ. ინფორმაციის დაცვა ზედამხედველობის ორგანოების მიერ;

- ზ. ზედამხედველობის ორგანოებს შორის ურთიერთობა და თანამშრომლობა;
- თ. ანგარიშის წარდგენა და საზოგადოებასთან მუშაობა.

24. მიმოიხილონ ზედამხედველობისთვის პერსონალური მონაცემების შეკრებისა და შენახვის ზომების ადეკვატურობა კერძო კომპანიების, მათ შორის, კომუნიკაციების პროვაიდერების მიერ ეროვნული უსაფრთხოების მიზნების განსახორციელებლად, ასევე გაითვალისწინონ კერძო კომპანიებსა და უსაფრთხოების სამსახურებს შორის თანამშრომლობა.
25. მიმოიხილონ უსაფრთხოების სამსახურების მიერ ზედამხედველობისთვის კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაციის სამართლებრივი ჩარჩოები და გაითვალისწინონ თუ, რამდენად უზრუნველყოფენ არსებული ზომები საჭირო დაცულობას ეროვნული და ევროპის მასშტაბით ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 1

შესავალი

შშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი კონტრაქტორის ედუარდ სნოუდენის მიერ მიმდინარე პერიოდში ინფორმაციების გაჟონვამ გამოიწვია განახლებული ძალისხმევით ყურადღების გამახვილება უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობებისადმი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. მასშტაბური ელექტრონული თვალთვალთ გაპირობებულმა პრობლემებმა კიდევ ერთხელ წამოჭრა კითხვები უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის ადეკვატურობის შესახებ. აქსიომას წარმოადგენს, რომ უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობა არის ფუნდამენტური ფაქტორი იმის საგარანტიოდ, რომ აღნიშნულ ინსტიტუტებმა არა მარტო უნდა შეიტანონ წვლილი მოსახლეობის დაცვაში, რომელსაც ემსახურებიან, არამედ პატივიც სცენ კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს მოცემული დავალების შესრულების დროს. თუმცა, სნოუდენთან დაკავშირებულმა გაჟონებებმა, ევროპის ზოგიერთი უსაფრთხოების სამსახურის ჩაბმამ ექვმიტანილი ტერორისტების საიდუმლო დაკავებისა და საგანგებო გადაცემის საქმეში და განცხადებებმა უსაფრთხოების სამსახურის უკანონო ქმედებების შესახებ ევროპის საბჭოს სხვადასხვა წევრ ქვეყანაში, სერიოზული ეჭვი წარმოშვა ეროვნული ზედამხედველობის სისტემის შესაძლებლობებისადმი ამ ფუნქციის შესასრულებლად. ფაქტობრივად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა ბოლო პერიოდში უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული ზედამხედველობა დაახასიათა, როგორც „სამწუხაროდ არაადეკვატური“ ევროპის მრავალ ქვეყანაში (ადამიანის უფლებათა კომისარი 2015: 26).

წინამდებარე კვლევითი ნაშრომის მიზნებისთვის, ტერმინი „ზედამხედველობა“ გამოიყენება ფართო მნიშვნელობით, რათა მოიცვას უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების, პოლიტიკური

კურსებისა და რეგულაციების ყურადღებით შესწავლა მათ მიღებამდე, განხორციელებამდე ან განხორციელების პროცესში. აღნიშნულში იგულისხმება ფუნქციები, რომლებსაც სხვადასხვაგვარი სახელწოდება აქვთ, როგორცაა: მონიტორინგი, ყურადღებით შესწავლა, მიმოხილვა და შეფასება. ტერმინი „კონტროლი“ განკუთვნილია ფუნქციებისთვის, რომელთა მეშვეობითაც შესაბამისი ორგანოები პირდაპირ განსაზღვრავენ შეასრულოს თუ, არა/ან როგორ უნდა განხორციელოს უსაფრთხოების სამსახურმა მოცემული საქმიანობა. საერთოდ, უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია შემდეგი გაერთიანებული აქტორები: პარლამენტი; აღმასრულებელი ხელისუფლება; სასამართლო; კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები; და უსაფრთხოების სამსახურების შიდა ორგანოები. ერთობლივად, აღნიშნული აქტორები მოხსენებული იქნება, როგორც „ზედამხედველობის სისტემები“. წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, „გარე ზედამხედველობა“ ეხება ზედამხედველობას იმ ინსტიტუტების მიერ, რომლებიც არსებობენ უსაფრთხოების სამსახურებისა და ასოცირებული აღმასრულებელი დეპარტამენტების/სამინისტროების/მინისტრების მიღმა. ზედამხედველობის ოფიციალური ინსტიტუტების გარდა, რომლებიც, ჩვეულებრივ, დაარსებულია დადგენილი ან თუნდაც კონსტიტუციური კანონის ძალით, სამოქალაქო საზოგადოება და მედია, ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობისა და ზედამხედველობის ორგანოების მუშაობის მონიტორინგის საქმეში.

სახელწოდება „უსაფრთხოების სამსახური“ მიეწერება სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის, როგორც ავტონომიურ სააგენტოებს, ასევე სხვა სამთავრობო განყოფილებების ან შეიარაღებული ძალების დეპარტამენტებს/ქვედანაყოფებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან შეკრიბონ, გაანალიზონ და გაავრცელონ დაზვერვის გზით მოპოვებული მასალები საკუთარი ქვეყნის საზღვრების ფარგლებში, რათა მიაწოდონ ინფორმაცია გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მიიღეს პოლიტიკოსებმა, სამხედრო მეთაურებმა, პოლიციის გამომძიებლებმა და სასაზღვრო/საბაჟო სააგენტოებმა ეროვნულ უსაფრთხოებასთან და სხვა მთავარ ეროვნულ ინტერესებთან დაკავში-

რებულ საშიშროებაზე. აღნიშნული მიზნებისთვის, ზოგიერთი უსაფრთხოების სამსახური, ასევე, მიმართავს დაპატიმრებისა და დაკავების იძულების უფლებას. მსგავსი ქმედებების ზედამხედველობა უნდა იმართებოდეს იმავე პრინციპებით, როგორც სამართალდამცავი პირები - ეს საკითხი არ არის განხილული წინამდებარე კვლევით ნაშრომში.

უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანის უფლებებთან შესაბამისობა დამოკიდებულია არა მარტო ეფექტურ ზედამხედველობაზე, არამედ ასევე, მათი სამუშაოს მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოებზე. უამრავი ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის („კონვენცია“ ან „ECHR“) გამოყენებას უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაში და წარადგენს პრინციპებს მათი საქმიანობის მასშტაბისა და განხორციელების შესახებ.¹ წინამდებარე კვლევით ნაშრომში არ მოხდება აღნიშნული საკითხების გადახედვა; არ განიხილება თუ, რისი გაკეთების ნებართვა აქვთ უსაფრთხოების სამსახურებს ან როგორ უნდა მოხდეს მათი მუშაობის რეგულირება. აღნიშნულის ნაცვლად, წინამდებარე კვლევითი ნაშრომი მიზნად ისახავს შეაფასოს უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაზე საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული მიდგომების მოქმედება, იმ განზრახვით, რომ დაადგინოს პრაქტიკები ან პროცედურები, რომლებიც გააძლიერებენ ადამიანის უფლებათა დაცვას უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობაში. იგი, პირველ რიგში, განხორციელდება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და რბილი სამართლის პრინციპების შემოწმებით, რომლებიც შეესაბამება ზედამხედველობას, ხოლო შემდეგ მხედველობაში მიიღება ზედამხედველობის სხვადასხვა ასპექტებისადმი ეროვნული მიდგომები. და ბოლოს, წინამდებარე კვლევითი ნაშრომი გაითვალისწინებს სხვადასხვა ამოცანებს უსაფრთხოების სერვისის ზედამხედველობის სისტემის განვითარების/გაუმჯობესებისთვის. უშუალოდ შეფასების დაწყებამდე, ნაშრომი გვაცნობს ევროპის საბჭოს სივრცეში, რა გავლენას ახდენს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა ადამიანის უფლებებზე.

¹მაგალითად: გაერო 2010ა; კამერონი 2000; ომციგტი 2015.

თავი 2

ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების ზემოქმედების მიმოხილვა

ართოდ არის აღიარებული, რომ უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობა დიდად ზემოქმედებს ადამიანის უფლებებზე და ასევე, შესაძლებელია ძირი გამოუთხაროს უფრო საერთო დემოკრატიულ პროცესებს. უსაფრთხოების სამსახურებს აქვს გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც ქმნიან ადამიანის უფლებათა ხელყოფის პოტენციალს, თუ მითითებული სამსახურები არ ექვემდებარებიან ეფექტურ ზედამხედველობას და გამყარებულია მოქმედი კანონებით. აღნიშნული თვისებები მოიცავს ადამიანის უფლებების მეტად ხელმყოფ ძალაუფლებას, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს უკიდურესად დისკრეციული ხერხით, განხორციელდეს უპირატესად საიდუმლოდ და, ზოგიერთ ქვეყანაში განიხილონ, როგორც ოფიციალური მთავრობის ინსტრუმენტი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

წინამდებარე თავის მიზანია, გამოკვეთოს ზოგიერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც უსაფრთხოების სამსახურები ზემოქმედებენ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ადამიანის უფლებებზე; მიზნად არ არის დასახული იმ საშუალებების ამომწურავი ანალიზი, რომლის დროსაც უსაფრთხოების სამსახურების მოქმედება ეხება ადამიანის უფლებებს. აღნიშნულის ზოგადი მიმოხილვა ითვალისწინებს უკეთ განიმარტოს თუ, რატომ არის საჭირო სამსახურები და ექვემდებარონ ზედამხედველობის მკაცრ სისტემას. წინამდებარე თავი მთლიანად მიუთითებს უსაფრთხოების სამსახურების მოქმედებაზე. თუმცა, დროდადრო. უნდა ვიგულისხმოთ აღმასრულებე-

ლი სფეროს წევრების ჩაბმა, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკას უსაფრთხოების სამსახურებისთვის და, ზოგიერთ შემთხვევაში აძლევენ კიდევაც დავალებებს. ევროპის საბჭოს სხვადასხვა ქვეყანაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებს აქვთ დიდი გამოცდილება გამოიყენონ (ბოროტად გამოიყენონ) საკუთარი უსაფრთხოების სამსახურები უკანონო ან ანტიდემოკრატიული საქმიანობების განსახორციელებლად.

წინამდებარე თავსი მთავარ აქცენტი გაკეთდება უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების ყველაზე ცნობილ მაგალითებზე, რომლებაც ზემოქმედება მოახდინეს ადამიანის უფლებებზე ბოლო 15 წლის განმავლობაში. კვლავ საყურადღებოა გავიხსენოთ ევროპაში უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების წარსული გამოცდილება და, რომ მრავალი მათგანი განხორციელდა მაშინ, როდესაც უსაფრთხოების სამსახურები ექვემდებარებოდნენ ძალიან უმნიშვნელო რეგულაციებსა და ზედამხედველობას და, სადაც საჯარო ინფორმაციის მოცულობა უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების შესახებ მნიშვნელოვნად მცირე იყო დღევანდელთან შედარებით. ცნობილი ისტორიული მაგალითები მოიცავს უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანის უფლებათა სისტემატურ დარღვევებს, როგორცაა შტასი (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში), სეკურიტატე (რუმინეთში) და STB „ჩეხოსლოვაკიის უშოშროების სამსახური. ადამიანის უფლებათა დარღვევები უცილობლად შემოიფარგლებოდა მაშინდელი აღმოსავლეთ ბლოკის უსაფრთხოების სამსახურებით. სხვა ქვეყნებში, როგორცაა ლუქსემბურგი და ნორვეგია, კვლევებმა გამოავლინა ძირითადად მემარცხენე ჯგუფებსა და ინდივიდუალურ პირებზე განხორციელებული ვრცელი და უკანონო შიდათვალთავლი.

ადამიანის უფლებებზე უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების ზემოქმედების თანამედროვე მაგალითები შესაძლებელია დაჯგუფდეს ოთხ კატეგორიად. პირველი, არსებობს საქმიანობები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, მათ შორის, როგორცაა სიცოცხლის უფლება, პირადი თა-

ვისუფლებიან და უსაფრთხოების უფლება, და უფლება, რომ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ, სასტიკ და დამამცირებელ მოპყრობას. მეორე, უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობები გავლენას ახდენს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაზე. უმრავლეს იურისდიქციაში, ყველაზე მეტად არის გავრცელებული უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანის უფლებებში სწორედ ამ მეთოდით ჩარევა. მესამე, უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობა ზემოქმედებს გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე. და ბოლოს, მცირედი ყურადღება გამახვილდება უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის ობიექტური სასამართლო გარჩევის უფლების ზემოქმედებასა და საპროცესო ქმედებებზე, რომლებშიც მონაწილეობენ უსაფრთხოების სამსახურები.

2.1. პიროვნების ხელშეუხებლობა და თავისუფლება

2001 წლის სექტემბერში („9/11“) ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, ევროპის საბჭოს რეგიონი ფართო მასშტაბით გამჟღავნებების მოწმე გახდა, რომელიც ეხებოდა უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობებს ანტიტერორიზმის კონტექსტში. საერთოდ რომ ვთქვათ, აღნიშნული გამჟღავნებები წარმოიშვა ამერიკის ხელმძღვანელობით განხორციელებული კონტრტერორისტული საქმიანობებისგან, რომლებშიც, სულ მცირე, ევროპის 25 უსაფრთხოების სამსახური და მათი ხელისუფლება თანამშრომლობდა გარკვეულწილად (ადამიანის უფლებათა კომისარი 2014ბ). რაც შეეხება აშშ-ს ხელმძღვანელობით განხორციელებულ ანტიტერორისტულ საქმიანობებში ევროპის უსაფრთხოების სამსახურების ჩართვას, ამჟამად ან დადასტურებულია ან ფართოდ არის აღიარებული, რომ ევროპის საბჭოს ერთი ან მეტი წევრი ქვეყანა:

- საკუთარ ტერიტორიას უთმობდა ამერიკის მართვის ქვეშე მყოფ საიდუმლო დაკავების ობიექტებს, რომლებშიც ათავსებდნენ ექვმიტანილ ტერორისტებს „ინკომუნიკადოდ“

(ურთიერთობის უფლების გარეშე) და ექვემდებარებოდნენ არასათანადო მოპყრობას;²

- მხარს უჭერდა პირების მოტაცებასა და გადაცემას მსგავსი ობიექტებისთვის, როგორც ევროპის შიგნით, ასევე მის გარეთაც;³
- აწარმოებდა ან მონაწილეობდა იმ პირების დაკითხვაში, რომლებიც დაკავებულები იყვნენ არაევროპული სადაზვერვო სამსახურების მიერ, აღნიშნულ სამსახურებთან ერთობლივი მოქმედების ან ჩანაცვლების გზით.⁴

მსგავსი მოქმედებებით სხვა მუხლებთან ერთად დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის შემდეგი მუხლები 3, 5, 6, 8 და 13. მოცემული გამოძღვენებების სრულად შესწავლა სცდება წინამდებარე კვლევითი ნაშრომის მასშტაბებს. საკმარისია ითქვას, რომ ევროპის საბჭოს ინსტიტუტებმა (ეროვნულ ინსტიტუტებზე გაცილებით მეტად) განსაკუთრებული როლი ითამაშეს ადამიანის უფლებათა დარღვევის გამოძიებისა და მათი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში. გათვალისწინებულია დიკ მარტის საგამოძიებო ანგარიშები ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის (PACE) და ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გარდამტეხი გადაწყვეტილებებისთვის *ალ ნაშირი პოლონეთის წინააღმდეგ*, *ჰუსეინ (აბუ ზუბაიდა) პოლონეთის წინააღმდეგ*

² სასამართლომ განიხილა ორი საქმე პოლონეთის წინააღმდეგ: *ალ ნაშირი პოლონეთის წინააღმდეგ*;

ჰუსეინ (აბუ ზუბაიდა) პოლონეთის წინააღმდეგ. აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებები უკვე საბოლოოა, მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლომ არ მისცა ნებართვა მათი დიდი პალატისთვის გადაცემის შესახებ. განხილვის სტადიაშია საქმეები რუმინეთის წინააღმდეგ (*ალ ნაშირი რუმინეთის წინააღმდეგ*) და ლიტვის წინააღმდეგ; *ჰუსეინ (აბუ ზუბაიდა ლიტვის წინააღმდეგ)*. ასევე იხილეთ: ევროპის პარლამენტი 2013 და კონოლი 2014.

³ მაგალითისთვის იხილეთ: *ელ მასრი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ“* და *ნასრი და გალი იტალიის წინააღმდეგ*. ასევე იხილეთ: ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივა 2013: 78 (საქართველო), 109 (შვედეთი).

⁴ მაგალითისთვის იხილეთ: Human Rights Watch (ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰუმან რაიტს ვოჩ“ 2009: 17-35; კოზინი 2013: 240-242, 253, 257-258 და ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივა 2013: 78 (გერმანია).

და ელ მასრი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ“ საქმეებში.

ადამიანის უფლებათა დარღვევის გარდა აშშ-ს მეთაურობით განხორციელებულ ანტიტერორისტული საქმიანობების კონტექსტში, ადგილი ჰქონდა რუსეთის უსაფრთხოების ძალების მიერ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, არამართლზომიერი დაკავებისა და ლეტალური ძალის უკანონო გამოყენების შესახებ ბრალდებებს, განსაკუთრებით ჩეჩნეთსა და დაღესტანში.⁵

ფართოდ არის, ასევე, გავრცელებული განცხადებები, რომ ევროპის უსაფრთხოების სამსახურები თანამონაწილეობდნენ უფლებების დარღვევაში, რომლის მიხედვითაც არ უნდა განხორციელებულიყო წამება და/ან თვითნებურად დაკავება მათ მიერ უცხოელი პარტნიორებისთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია მსგავსი ინფორმაციის შედეგების შემოწმება, შესაძლებელია შემდეგი ზომების მიღება: ინფორმაციისა ან შეკითხვების მიწოდება, რომლებიც დაუსვეს დაკავებულ პირებს და აწამეს არაევროპული უსაფრთხოების სამსახურებმა;⁶ ინფორმაციის მიწოდება აშშ დაზვერვის სამსახურებისთვის, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყო იმ პირების იდენტიფიცირებასა და ადგილსამყოფელის დადგენაში, რომელთა ლიკვიდაცია უნდა განხორციელებულიყო სასამართლოს გარეშე;⁷ და ინფორმაციის მიწოდება, რომელმაც გამოიწვია პირების საგანგებო გადაცემა და/ან არამართლზომიერი დაკავება არაევროპული სადაზვერვო სამსახურების მიერ.⁸

⁵ მაგალითისთვის იხილეთ: გაერო 2010ბ; პარაგრაფები 208-214 და ნემცოვა 2012.UN 2010b: paragraphs 208-214 and Nemtsova 2012.

⁶ კობეინი 2013: თავი 8. Cobain 2013: Chapter 8.

⁷ მაგალითისთვის იხილეთ: სინგი და სქოლუზი 2014; სტარკი 2011; ოსბორნი 2013. Singh and Scholes 2014; Stark 2011; Osborne 2013.

⁸ მაგალითისთვის იხილეთ: გაერთიანებული სამეფოს მიმდინარე საქმე აბდულ ჰაკიმ ბელჰაჯის შესახებ: www.reprieve.org.uk/case-study/abdul-hakim-belhaj/, 2015 წ. 15 მარტის მონაცემები

საერთაშორისო დაზვერვასთან თანამშრომლობის საქმიანობების მიღმა, არსებობს ბრალდებები, რომ ევროპის საბჭოს სივრცის ზოგერთ ნაწილში უსაფრთხოების სამსახურები აგრძელებენ არამართლზომიერ დაპატიმრებებსა და „ინკომუნიკადო“ დაკავებებში მონაწილეობას.⁹ სწორედ, ამ სივრცეში კონსპირაცია და დისკრედიტული უფლების უმადლესი დონეები, რაც დამახასიათებელია უსაფრთხოების სამსახურის საქმისთვის, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის პიროვნების ხელშეუხებლობას.

2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

უსაფრთხოების სამსახურები ყველაზე დიდი ალბათობით ახდენენ ზემოქმედებას პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაზე მონაცემთა ბაზის შეგროვების, შენახვისა და გადაცემის მეშვეობით.¹⁰ ეს არის აღნიშნული ზომების არამართო ფაქტობრივი გამოყენება ინდივიდუალური პირების წინააღმდეგ, რაც ხელყოფს პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებას, არამედ მათი შესაძლო გამოყენებაც და/ან კანონმდებლობის მხოლოდ და მხოლოდ არსებობა მათი გამოყენების დასაშვებად.¹¹ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია შეიზღუდოს კანონიერად

⁹ მაგალითისთვის იხილეთ: ადამიანის უფლებათა კომისარი 2013ა: § 8.

¹⁰ დამტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შემდეგი საქმიანობების გათვალისწინებით: ტელეფონი (*მლონე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [64]); ელექტრონული ფოსტა (*ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ* [77]); ინფორმაციის მარაგი უსაფრთხოების სამსახურის ჩანაწერებში (*სეგერშტედი-ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ* [72]); დარღვევა პირზე რჩევის მიცემის დროს მასზე შეგროვებული ინფორმაციის შესახებ (*სეგერშტედი-ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ* [99]); უსაფრთხოების სამსახურების მიერ პირადი მონაცემების შენახვა და გამოყენება ინფორმაციის მარაგი უსაფრთხოების სამსახურის ჩანაწერებში (*ლუანდერი შვედეთის წინააღმდეგ* [48]); სხვა ორგანოებისთვის გადაცემა ან მათ მიერ გამოყენება ქმნის ცალკეული ჩარევის საფუძველს (*ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ* [79]); განადგურების პირობები და შეტყობინების განუხორციელებლობა (*ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ* [79]); მოსასმენი ხელსაწყოების დამონტაჟება (*ვებერი საფრანგეთის წინააღმდეგ* [20]).

¹¹ *ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ*[78-79]; *ლიბერტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [57].

უსაფრთხოების სამსახურების მიერ, თუ იგი შეესაბამება ეროვნული კანონითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს.

როგორც დრომ გვიჩვენა, პირადი ცხოვრების უფლებაზე ზემოქმედების შესახებ პრობლემები ძირითადად წამოიჭრა უსაფრთხოების სამსახურების მიერ მიზნობრივი თვალთვალის გამოყენების შედეგად ისეთი საშუალებებით, როგორცაა იდენტიფიცირებული ინდივიდუალური პირის სატელეფონო საუბრების მოსმენა ან მოსასმენი მოწყობილობების მოთავსება მოცემული პირის საცხოვრებელ ადგილზე. ანუ, ღონისძიებები, რომლებიც ფოკუსირებულია მოცემულ პირზე ან ორგანიზაციაზე, წესისამებრ, ხორციელდება გონივრული ეჭვის არსებობის საფუძველზე, რომ ისინი ან ჩართული არიან სერიოზულ კრიმინალურ საქმიანობაში ან სხვაგვარად, ემუქრებიან ეროვნულ უსაფრთხოებას. აგენტურული დაზვერვის მიერ მასალების შეგროვება, მათ შორის, ინფორმატორებით დაკომპლექტება და ჯგუფების ინფილტრაცია, წარმოადგენს უსაფრთხოების სამსახურის მოქმედების სხვა თვისებას, რომელიც დიდი ხანია ზემოქმედებს პირადი ცხოვრების უფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ გრძელდება ანალოგიური საქმიანობების გამოყენება და პირადი ცხოვრების უფლებაზე ზემოქმედება, ევროპის საბჭოს სივრცის მრავალ ნაწილში, მათი გამოისობით შექმნილი პრობლემები ჩაანაცვლა გამომჟღავნებებმა არამიზნობრივი, ელექტრონული კომინიკაციების მასშტაბური შეგროვების შესახებ.

ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა ევროპის საბჭოს მრავალი ქვეყანის უსაფრთხოების სამსახურებს ეწარმოებინათ კომუნიკაციების ფართომასშტაბური თვალთვალი უფრო ნაკლები ადამიანური რესურსების გამოყენებით. ევროპაში უსაფრთხოების სამსახურების მიერ მასშტაბურმა სატელეფონო მოსმენებმა პირველად საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო „ეშელონის“ (“Echelon”) გამოაშკარავებით საუკუნის დასასრულს (ევროპის პარლამენტი 2001). გაცილებით საყურადღებოა აშშ-ის დაზვერვის ყოფილი კონტრაქტორის ედუარდ სნოუდენის მხილებები, რომე-

ლიც დაიწყო 2013 წლის ზაფხულში. სწორედმა გამოავლინა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსა და ევროპის სხვადასხვა უსაფრთხოების სამსახურების მიერ განხორციელებული ელექტრონული კომუნიკაციების ფართომასშტაბური თვალთვალი და ინტერნეტსაქმიანობა. ანალოგიური პროგრამების გამოაშკარავებამ, ასევე, თავი იჩინა, მაგალითად, საფრანგეთშიც.¹²

თვალთვალის უფრო ტრადიციული ფორმისგან განსხვავებით, პროგრამებმა გამოამჟღავნეს არაუცილობლად მიზნობრივი ინდივიდუალური პირები და ორგანიზაციები ეჭვის საფუძველზე, რომ ისინი ჩართული არიან კონკრეტულ საქმიანობებში. სამაგიეროდ, ისინი ფართოდ მოიცავენ ავტომატიზირებულ სატელეფონო მოსმენას (სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით და ზოგიერთ შემთხვევაში, კომუნიკაციების პროვაიდერების დახმარებით) დიდი რაოდენობით ინფორმაციის შესახებ, რომელიც გაივლის ბოჭკოვან-ოპტიკურ კაბელებს ან კომუნიკაციის უკაბელო საშუალებებს, ან ფლობენ მესამე მხარეები. შეგროვებული ინფორმაცია შეიცავს კომუნიკაციების შინაარსს, ასევე, ე.წ. კომუნიკაციების მონაცემებს ან მეტამონაცემებს, როგორცაა ელექტრონული მისამართები, IP-მისამართები, ტელეფონის ნომრები და ტელეფონების ადგილმდებარეობა. შეგროვებული ინფორმაცია მოგვიანებით იძებნება ან „მუშავდება“ სპეციალური სელექტორების ან საძიებო ტერმინების გამოყენებით, რომლებიც განკუთვნილია უსაფრთხოების სამსახურებისთვის ინტერესის მქონე პირების/ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის ამოსაღებად.¹³

სწორედნის მხილებებმა გამოიწვია სერიოზული შემფოთება პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შესახებ. გამოაშკარავებული საქმიანობები გახდა გამოძიებების საგანი ევროპის პარლამენტის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) იურიდულ საკითხების და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის (საკუთარი

¹² ფოლოროუ და იოჰანესი 2013; ფოლოროუ 2014; ბიგო და სხვები. 2014.

¹³ ზოგადი წარმოდგენისთვის იხილეთ: ვენეციის კომისია 2015: §§ 48-51; ბიგო და სხვები. 2013; ომციგტი 2015.

მომხსენებლის პიეტერ ომციგტის მეშვეობით) და სხვადასხვა ეროვნული ზედამხედველობის ორგანოების მიერ. მათი კანონიერების საკითხი დააყენა, როგორც ეროვნულმა,¹⁴ ასევე სტრასბურგის სასამართლომ.¹⁵

მასშტაბური თვალთვალის შესახებ კომენტარის გაკეთების დროს, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ბენ ემერსონმა განაცხადა:

მასშტაბური თვალთვალის პროგრამების არსებობაც კი, ემსახურება პოტენციურ არაპროპორციულ ჩარევას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ...რაც არ არის თავსებადი სახელმწიფოების პირადი ცხოვრების არსებულ კონცეფციებთან. რადგან მას შეუძლია შეაგროვოს ყველა სახის კომუნიკაცია და მეტამონაცემი განურჩევლად ნებისმიერ მომენტში. [მოცემული პროგრამები წარმოადგენს] პირდაპირ და მიმდინარე გამოწვევას არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმებისათვის (გაერო 2014: §§ 18 და 59).

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა გამოთქვა ანალოგიური შეშფოთება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებში ამგვარი ჩარევების გამართლების შესახებ, როდესაც განაცხადა:

საკმარის არგუმენტად არ გამოდგება ამ ღონისძიებების გამართლება თივის ზვინში ნემსის პოვნის მიზნით; სათანადო ზომა იქნება თივის ზვინთან დაკავშირებით იმგვარი ზომების მიღება, რაც გამომდინარეობს პოტენციური ზიანის მოცულობიდან; და მიღებული ზომები საფრთხის პროპორციულია“ (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი 2014: §25).

¹⁴ მაგალითისთვის იხილეთ, გაერთიანებული სამეფოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საერთაშორისო ორგანიზაცია: www.privacyinternational.org/?q=legal-actions, 2015 წ 28 მარტის მონაცემები

¹⁵ ჯგუფი *Big Brother Watch* (*ბიგ ბრაზა ვოჩ*) და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

და ბოლოს, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მოქმედმა კომისარმა მასშტაბური თვალთვალი დაახასიათა, როგორც „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სერიოზული საფრთხე“ (ადამიანის უფლებათა კომისარი 2013ბ).

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე ზემოქმედებს არა მარტო კომუნიკაციების შინაარსის მოსმენა, არამედ ე.წ. კომუნიკაციების მონაცემების ან მეტამონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება.¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია კომუნიკაციების მონაცემების შეგროვება და შენახვა უშუალოდ უსაფრთხოების სამსახურების მიერ, უმრავლეს ქვეყანაში კერძო სექტორის კომუნიკაციების პროვაიდერებს კანონით მოეთხოვებათ შეინახონ მომხმარებლების კომუნიკაციების მონაცემები განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. 2014 წლის აპრილში ევროპული თანამეგობრობის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა, რომ ევროპის კავშირის მონაცემთა შენახვის დირექტივა, რომელიც კომუნიკაციების პროვაიდერებს ანიჭებდა კომუნიკაციების მონაცემთა შენახვის უფლებამოსილებას კანონის აღსრულების მიზნებისთვის, შეუთავსებელი იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან.¹⁷

[კომუნიკაციების] მონაცემების მიხედვით, მთლიანად აღებული, შესაძლებელია გაკეთდეს სწორი დასკვნები იმ პირების პირადი ცხოვრების შესახებ, რომელთა მონაცემებიც ინახება, როგორცაა ყოველდღიური ცხოვრების წესები, მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილები, ყოველდღიური ან სხვა გადაადგილებები, განხორციელებული საქმიანობები, მათი მუდმივი სოციალურ ურთიერთობები პირებთან და სოციალური გარემოებები.¹⁸

ევროპის საბჭოს მრავალ ქვეყანაში, უსაფრთხოების სამსახურების მიერ განხორციელებული მასშტაბური, არამიზნობრივი თვალთვა-

¹⁶ იხ., შემდგომ: ადამიანის უფლებათა კომისარი 2014ა; 115-117.

¹⁷ *შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ირლანდიის ციფრული (საავტორო) უფლება კომუნიკაციების, საზღვაო და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სხვების წინააღმდეგ*, განსაკუთრებით იხილეთ [29][57][58] და [65].

¹⁸ იქვე [27].

ლი, ან არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი კანონით დარეგულირებული ან რეგულირებულია იმგვარი ბუნდოვანი საშუალებით, რომ კანონი უზრუნველყოფს მხოლოდ მცირე შეზღუდვებს და მწირ ახსნა-განმარტებებს აღნიშნული ზომების შესახებ. ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით კი, იქმნება პრობლემა, რადგან ინდივიდუალური პირებისა და ორგანიზაციებისთვის ძნელია იურიდიული საფუძვლისა და მიზეზების გაგება, თუ რის გამო შეიძლება მათი კომუნიკაციების მოსმენა, ან დავა, რომ მსგავსი თვალთვალი არის უკანონო (ადამიანის უფლებათა კომისარი 2014ა: 109-110).

კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაცია (CNE-რომელიც პოპულარულია, როგორც ჰაკერობა) წარმოადგენს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის კიდევ ერთ სფეროს, რომელიც სერიოზულ რისკს უქმნის ადამიანის უფლებებს. CNE-ი მოიცავს მრავალფეროვან პრაქტიკებს, როგორცაა მავნებელი პროგრამის საშუალების ან ტროიანელების შეტანა ინფორმაციული ტექნოლოგიის სისტემებში ინფორმაციის მოპოვების მიზნით; კამერებისა და მიკროფონების გამოყენება კომპიუტერებსა და პორტატულ მოწყობილობებში მომხმარებლის საქმიანობების ჩასაწერად; ასევე, ელექტრონული ხელსაწყოების ინფილტრაცია მათ მიერ გაგზავნილი/მიღებული კომუნიკაციების შინაარსით მანიპულირებისთვის.¹⁹ იგი გახლავთ მოქმედების შედარებით ახალი სფერო, და რომელიც არც არის აშკარად მითითებული უსაფრთხოების სამსახურის კანონმდებლობაში და არც ვრცლად განხილული საჯარო მოხსენებებში უსაფრთხოების სამსახურების მუშაობის შესახებ. მაინც გაურკვეველი რჩება, რომ მსგავსი ქმედებები ძალიან სერიოზულ საფრთხეს უქმნის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. CNE-ი პოტენციურად უფრო ოპერატიულ-სამძებრო ხასიათისაა, ვიდრე კომუნიკაციების და/ან მეტამონაცემების შინაარსის მოსმენა, არანაკლები მნიშვნელობის, რადგანაც იგი იძლევა ინფორმაციასთან წვდომის საშუალებას, რომლის გაზიარებასაც სხვებთან თვითონპირი არასდროს არ ისურვებდა. გართიანებული სამეფოს საგამოძიებო

¹⁹ საერთო წარმოდგენისთვის იხილეთ: ომციგტი 2015; გალაგჰერი და გრინვალდი 2014; ბი-ბი-სის ახალი ამბები (BBC News) 2015.

ტრიბუნალისთვის წარდგენილ დოკუმენტებში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საერთაშორისო ორგანიზაცია აფიქსირებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საფრთხეს, როდესაც განსაზღვრავს:

საცხოვრებელში შეჭრის, დოკუმენტების საცავის, დღიურებისა და კორესპონდენციების ჩხრეკის, ასევე, მოწყობილობების დამონტაჟების თანამედროვე ეკვივალენტებს მუდმივი თვალთვალის დასაშვებად მომავალში, და, მობილური ხელსაწყოების ჩართულობის შემთხვევაშიც, წარსული პერიოდის ინფორმაციის მოპოვება ყველა ადგილმდებარეობის ჩათვლით, რომელსაც წვევია წინა წელს ... თუ მობილური ტელეფონი დაინფიცირებულია, მაშინ მიმდინარე თვალთვალი შეიპყრობს დაზარალებულ პირებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საერთაშორისო ორგანიზაცია 2014; §§ 4-6, 11-18)

თუ გავითვალისწინებთ სმარტფონის მიკროფონისა და კამერის ექსპლუატაციის მაგალითს პირის მიმდინარე ურთიერთობებისა და გარემოს ჩასაწერად, უთუოდ უფრო პირდაპირი საშუალება იქნება, ვიდრე მოსასმენი მოწყობილობების მოთავსება საცხოვრებელში ან ავტომანქანაში და/ან აგენტის მიჩენა. CNE-მა ასევე, შესაძლებელია გამოიწვიოს სისტემების მოწყვლადობა, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოყენებული იყოს მესამე მხარეების მიერ, როგორცაა ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები.

იმ პრობლემებთან ერთად, რომ საერთაშორისო დაზვერვის მასალეების გაზიარების შედეგად ადამიანები ექვემდებარებიან წამებასა და არამართლზომიერ დაკავებას, უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების გაცვლამ სხვა ქვეყნებთან, ასევე შესაძლებელია გავლენა იქონიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე. ეს უფლება ილახება პერსონალური მონაცემების გადაცემის ყოველ ჯერზე. განსაკუთრებულ შემოთვალისწინებას იწვევს გარემოება, როდესაც უცხოურ უსაფრთხოების სამსახურებს, რომლებსაც ეგზავნებათ ინფორმაცია, არა აქვთ მონაცემთა დაცვის ანალოგიური სტანდარტები და/ან მკაცრი სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავენ პერსონალური მონაცემების სპეციალური მიზნების-

თვის გამოყენებას. თუმცა მრავალი უსაფრთხოების სამსახური გასაგზავნ ინფორმაციას თან დაურთავს გაფრთხილებას (მოთხოვნებს თუ, როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის გამოყენება), მაგრამ აღნიშნული სრულად მაინც არ ამცირებს მიმღების მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესაძლო დარღვევას. შემდეგი საკითხი გახლავთ საერთაშორისო დაზვერვის მასალების გაზიარების განზრახ ან შემთხვევით გამოყენება, რათა აიცილოს უსაფრთხოების ზომები, რომელიც ჩვეულებრივ, მიმართავს ინფორმაციის შეგროვებას. რამდენადაც უსაფრთხოების სამსახურებმა, წესისამებრ, უნდა მოიპოვონ ორდერი, მაგალითად, პირის კომუნიკაციების მოსასმენად საკუთარი ქვეყნის შიგნით, იმავე ინფორმაციის შეგროვება რომ სრულდებოდეს უცხოელი პარტნიორის მიერ და მოგვიანებით იზიარებდნენ, საჭირო არ გახდება მსგავსი უსაფრთხოების მექანიზმის გამოყენება. ანალოგიური რისკები გაძლიერებულია დაზვერვის მასალების გაზიარების ურთიერთობების კონტექსტში, რომელიც მოიცავს ელექტრონული მონაცემების ავტომატიზირებულ წვდომას და/ან ინტეგრალური სისტემების საშუალებით ინფორმაციის შეგროვებას და შენახვას, რომელიც მოპოვებულია არა ერთი ქვეყნის მიერ.²⁰

2.3. გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებები

უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა ზემოქმედებს გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე, რომლებიც წარმოადგენს სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედებების დასაცავად განკუთვნილ უფლებებს. აღნიშნულ უფლებებში ჩარევამ შესაძლებელია გარკვეული გავლენა იქონიოს პროცესებზე, რომლებიც წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ფუნქციონირებისთვის, მათ შორის, იგულისხმება თავისუფალი პრესა, პოლიტიკური პარტიების მოქმედება, პროფესი-

²⁰ საერთო წარმოდგენისთვის იხილეთ: ვენეციის კომისია 2015; § 78.

ული კავშირები, რელიგიური ორგანიზაციები და ადამიანის უფლებათა დამცველების საქმიანობა.

მითითებულ უფლებებში ჩარევა შესაძლებელია იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. უსაფრთხოების სამსახურები, ზოგიერთ შემთხვევაში, პირდაპირ ერევან გამოხატვის თავისუფლების უფლებაში, როდესაც, მაგალითად, აიძულებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეცვალონ სარედაქციო პოლიტიკა (Human Rights Watch 2014a; 25), ისწრაფვის ინფორმაციის გამოქვეყნების აღკვეთისკენ,²¹ ორგანიზაციებისგან მოითხოვენ ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაციის მოხსნას,²² აიძულებენ ორგანიზაციებს წაშალონ ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია (მომავალში) გამოქვეყნდეს (ბორგერი 2013), და ინფორმაციას ართმევენ ჟურნალისტებს.²³ ამგვარი ღონისძიებები, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს ადამიანის უფლებების კანონიერ შეზღუდვას; თუმცა, იმავდროულად, მათი განხორციელების გზები არ არის თავსებადი ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციასთან.

თანაბარი მნიშვნელობის არის ძალაუფლების გამოყენება (როგორც, მაგალითად ფლობს რუსეთის უსაფრთხოების სამსახურები), რომელიც უსაფრთხოების სამსახურებს აძლევს ნებას გაფრთხილება მისცეს პირებს, რომელთა ქცევა (პუბლიკაციებისა ან სიტყვით გამოსვლის ჩათვლით) ითვლება არასასურველად, მაგრამ ჯერ არ გადაულახავს სისხლის სამართლის დანაშაულის ზღვარი.²⁴

გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებში არაპირდაპირი ჩარევა, ძირითადად, არის თვალთვალის შედეგი, როგორც მიზნობრივი, ასევე არამიზნობრივი ზომების ჩათ-

²¹ *Sunday Times* (სანდი ტაიმსი) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (# 2)

²² მაგალითად, *Le Monde* (ლე მონდი) 2013

²³ მაგალითისთვის იხილეთ, დევიდ მირანდას საქმე, გაერთიანებული სამეფო: www.bbc.co.uk/news/uk-23782782, მისაწვდომობა 28 მარტი, 2015.

²⁴ მაგალითისთვის იხილეთ ვენეციის კომისიის განხილვა რუსეთში აღნიშნული ძალაუფლების შესახებ: ვენეციის კომისია 2012; §§ 48-61.

ვლით, და (უფრო მეტად და მეტად) გამოწვეულია კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაციით უსაფრთხოების სამსახურების მიერ. უსაფრთხოების სამსახურის კონტროლი (პოტენციური ან ფაქტობრივი) პირის კომუნიკაციებზე, აზრის გამოხატვასა და განხილვებზე შესაძლებელია უარყოფითი შედეგის მქონე აღმოჩნდეს აღნიშნული უფლებებით სარგებლობის დროს, რადგანაც იგი ზემოქმედებს პირის სურვილზე ჩაერთოს მოცემულ ურთიერთქმედებებში და შესაძლოა განსაზღვროს ამგვარი ურთიერთქმედებები. ინტერნეტ საქმიანობების შესახებ მასშტაბური თვალთვალის გამჟღავნებაზე რეაგირების დროს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა გააკეთა შენიშვნა, რომ ყველა ეს უფლება განიცდის ზემოქმედებას, რადგანაც ისინი სულ უფრო და უფრო მეტად გამოიყენება ციფრული მედიის საშუალებით (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი 2014). ამ მხრივ, არსებობს ძლიერი კავშირი პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებას შორის. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა შესაძლებლობას აძლევს პირებს განახორციელონ სხვა უფლებები არაკანონზომიერი ჩარევის გარეშე (გაეროს გენერალური ასამბლეა 2013).

(პოტენციური) თვალთვალის უარყოფითი გავლენა წარმოიქმნება არა მარტო კომუნიკაციების შინაარსის ან განხილვების მოსმენით, არამედ, ასევე, კანონის ძალითაც, როდესაც ხდება კომუნიკაციების მონაცემების/მეტამონაცემების შენახვა, როგორც ბოლო დროს აღიარა ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლომ.²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცნობს, რომ ეს არის არა მარტო თვალთვალის ზომების ფაქტობრივი იმპლემენტაცია, რაც ზემოქმედებს გამოხატვის (და ანალოგიურად, გაერთიანებისა და შეკრების) თავისუფლების უფლებაზე, არამედ კანონმდებლობის მხოლოდ და მხოლოდ არსებობა, რომლითაც დაშვებულია მსგავსი ღონისძიებები, ქმნის ჩარევას.²⁶ ინფორმაციის შეგროვების მიღმა, სასამარ-

²⁵ *შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ციფრული (სავტორო) უფლება, ირლანდია კომუნიკაციების, საზღვაო და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სხვების წინააღმდეგ*, განსაკუთრებით იხილეთ [28].

²⁶ *ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ* [144].

თლომ ცნო, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება მოქმედებს არა მარტო პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე, არამედ აზრის, სინდისისა და რელიგიის, გამოხატვის, და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაზედაც, როდესაც ამგვარი მონაცემების დამუშავება ხორციელდება პირის პოლიტიკური შეხედულების ან მოცემული ჯგუფების წევრობასთან მიმართებით.²⁷

ევროპის საბჭოს სივრცის ზოგიერთ ნაწილში, გრძელდება უსაფრთხოების სამსახურების, როგორც იარაღის გამოყენება მმართველი პარტიების ან ხელისუფლების/სახელმწიფოს მოქმედი მეთაურების მიერ. მსგავსი ჩარევა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით. ყველაზე უხეში ფორმა მოიცავს უსაფრთხოების სამსახურების მიერ ძალადობას (ან ფიზიკურ თავდასხმებსაც კი) პირებზე/ორგანიზაციებზე, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი ხელისუფლების მიმართ; ასევე მოიცავს პირდაპირ ჩარევას პოლიტიკურ პროცესებში (ადამიანის უფლებათა კომისარი 2013 2013ა: §39). უფრო ხშირ შემთხვევაში, უსაფრთხოების სამსახურები ახორციელებენ მიყურადებას ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოსამართლეებზე (აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის მოთხოვნით ან საკუთარი სურვილით), როგორც ინფორმაციის გამოსავლენ საშუალებას ოპონენტად მიჩნეული პიროვნების დასაკნინებლად და/ან მათ დასაშინებლად. მსგავსი განცხადებები გაკეთდა, მაგალითად, „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასა და სერბეთში“ (ბალკანეთის ანალიზი 2015ა). მსგავსი შინაარსის საქმიანობები ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესებს და კანონის უზენაესობას. და ბოლოს, ასევე, იყო იმგვარი შემთხვევები, როდესაც უსაფრთხოების სამსახურები ახორციელებდნენ უნებართვო თვალთვალს აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებზე (ჰიგინსი 2013), რაც განსაკუთრებით პრობლემურია, რადგანაც დემოკრატიული მართვა მოითხოვს უსაფრთხოების სამსახურების სამოქალაქო კონროლისადმი დაქვემდებარებას და არა სახელმწიფოს შიგნით სახელმწიფოდ გადაქცევას.

²⁷ *სეგერშტედი-ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ* [107].

განსაკუთრებით, შემაშფოთებელია უსაფრთხოების სამსახურების მიერ განხორციელებული თვალთვალის ზემოქმედება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რომელთა ფუნქციები მოიცავს ხელისუფლების ორგანოების წინაშე ანგარიშვალდებულებას საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკისა და მოქმედებების შესახებ. თვალთვალს შეუძლია ძირგამომთხრელი სამსახური გაუწიოს ჟურნალისტის ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობას, და ჟურნალისტების უნარსაც, თავის მხრივ, გამოავლინოს ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებები.²⁸ ანალოგიური საქმე იქნეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რამდენადაც მრავალ ქვეყანაში ოფიციალური ზედამხედველობის ორგანოები ვერ იჩენდნენ ეფექტურობას იმისათვის, რომ გამოევიდნათ უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევები და რეაგირება მოეხდინათ მათზე.

2.4. სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების გამოყენების უფლება

უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობამ შესაძლებელია ძირითადი გამოუთხაროს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებას სხვადასხვა გზით. პირველი, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ძნელია ინდივიდუალური პირებისთვის სამოქალაქო სარჩელის აღძვრა უსაფრთხოების სამსახურების წინააღმდეგ, თუნდაც იცოდნენ, რომ მათი უფლებები აშკარად დაირღვა. ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა და უსაფრთხოების სამსახურებმა დასაცავად შესაძლებელია გამოიყენონ არგუმენტები სახელმწიფო საიდუმლოებაზე, რათა აიცილონ სასამართლოში საჩივრების განხილვა ან დაეყრდნონ პრინციპს „არც დაამტკიცო და არც უარყო“

²⁸ ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ [143] [145]; იხ., ასევე: ევროპის პარლამენტი 2014; §§ 86-87.

(საკუთარ აგენტებთან და საქმიანობებთან დაკავშირებით) სასამართლო პროცესის შესაფერხებლად.

მეორე, პრეტენზიების განხილვის შემთხვევაში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა სასამართლო პროცესებში საიდუმლო ინფორმაციის დასაცავად. პროცესების ამგვარი მოდიფიკაციების შედეგად გართულდება ან შეუძლებელი გახდება საქმის ობიექტურად განხილვა. მაგალითად, მხარეები და მათი იურიდიული წარმომადგენლები შესაძლებელია საერთოდ ან ნაწილობრივ არ დაუშვან პროცესზე, რაც გაართულებს გაიგონ მათ წინააღმდეგ აღძრული საქმე, ჩაურევლად უპასუხონ მოთხოვნებს. ასევე, შესაძლებელია საერთოდ არ არსებობდეს უფლებები ან არსებობდეს ლიმიტირებული ფორმით, რომლებიც დაასაბუთებდა გადაწყვეტილებას და გასაჩივრების ძალიან შეზღუდულ უფლებას.

მესამე, ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის კომუნიკაციების მოსმენას, როგორც ბოლო დროს გამოვლინდა გაერთიანებულ სამეფოში, შეუძლია ძირი გამოუთხაროს მხარეების თანასწორობას და საქმის სამართლიან განხილვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უსაფრთხოების სამსახურები წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეს პროცესში (ტრავისი და ბოუკოტი 2015).

მეოთხე, უცხოურ უსაფრთხოებისა და სამართალდამცავ ორგანოებთან ინფორმაციის გაცვლამ შესაძლოა რისკის წინაშე დააყენოს საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. რაც შეეხება უცხოური ორგანოებისთვის ინფორმაციის გადაცემას, არსებობს რისკი, რომ ის შესაძლებელია გამოიყენონ (სანდოობის ან სასამართლო პროცესებზე მისი გამოუყენლობის შესახებ გაფრთხილების საპირისპიროდ) სისხლის სამართლის ან სხვა პროცესებზე. უცხოური ორგანოებისგან მიღებული ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია მოიპოვეს ადამიანის უფლებათა დარღვევის გზით ან სხაგვარად არ არის სანდო, ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლოა მათი გამოყენება სასამართლო განხილვის დროს და მაშასადამე, არაკეთილსინდისიერად მიმართვა.

და ბოლოს, ზოგიერთმა ქვეყანამ მიიღო კანონები, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლებს ანიჭებენ *დე ფაქტო* იმუნიტეტს, რომელიც იცავს მათ სასამართლო დევნისა და/ან სამოქალაქო სარჩელისგან. თურქეთში, მაგალითად, უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლებზე არ ხორციელდება სასამართლო წესით დევნა პრემიერ მინისტრის ან შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვის გარეშე.²⁹ ამგვარ დებულებებს აქვთ პოტენცია ხელი შეუწყონ დაუსჯელობას ადამიანის უფლებების დარღვევასთან მიმართებით.

²⁹ თურქეთი 2014; ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია Human Rights Watch 2014ბ.

თავი 3

ეროვნული უსაფრთხოების სამსახურებზე დემოკრატიული გედამხედველობის შესახებ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიმოხილვა

საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები უსაფრთხოების სამსახურებზე დემოკრატიული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სრულიად შესაძლებელია დაიყოსმავალ-დებულებელ იურიდიულ საშუალებებად(მკაცრი ნორმები) და არამავალდებულებელ პრინციპებად ან რეკომენდაციებად (რბილი ნორმები). პირველი კატეგორია მოიცავს მთელ რიგ საერთაშორისო და რეგიონალურ ხელშეკრულებას და, ასევე მათ ინტერპრეტაციას შესაბამისი სასამართლოების ან სახელმწიფოებო ორგანოების მიერ. მეორე კატეგორია კი შეიცავს რეკომენდაციებს, რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და საანგარიშო მოხსენებებს, რომელთა წყაროა: (i) გაეროს ინსტიტუციები; (ii) ევროპის საბჭოს ინსტიტუციები; (iii) ევროპის კავშირი; (iv) სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმართული ტრანსნაციონალური ინიციატივები.

3.1. საერთაშორისო და რეგიონალური სამართლებრივი საშუალებები

არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც მკაფიოდ განიხილავს უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობას. თუმცა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR),³⁰ გაეროს კონვენცია წამების წინააღმდეგ (UNCAT) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

³⁰ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 16 დეკემბერი, 1966 (ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს.)

(ECHR) - ითვალისწინებს მუხლებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოების მოვალეობებს უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელების შესახებ. ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას აქვს ვალდებულება აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით.

კონკრეტული ზედამხედველობის მოთხოვნები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება)

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განმარტება გულისხმობს განსაზღვრულ მოთხოვნებს უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობისთვის. მე-8 მუხლის იურისდიქციით, სტრასბურგის სასამართლომ ჩამოაყალიბა კრიტერიუმები იმის შესახებ თუ, რა მოითხოვება (როგორც მინიმუმი) ზედამხედველობის ფარგლებში უსაფრთხოების სამსახურის ზომებისთვის, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა იყოს თავსებადი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. სასამართლომ, ასევე მიუთითა ფაქტორებზე, რომლებიც სავარაუდოდ უნდა შემოწმდეს კონკრეტული პრობლემის საფუძველზე, როდესაც ხდება შეფასება იმისა თუ, რამდენად შეუძლია მოცემული ზედამხედველობის სისტემას საჭირო უსაფრთხოების ზომების გატარება. აღნიშნული იურისდიქცია ძირითადად შეიქმნა იმ საჩივრების საფუძველზე, რომლებიც აღიძრა მიზნობრივი და არამიზნობრივი თვალთვალის ზომების წინააღმდეგ, უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების შენახვისა და ინდივიდუალური პირების მცდელობის საფუძველზე, რომ შეამოწმონ, რამდენად იცავენ უსაფრთხოების სამსახურები მათ პერსონალურ მონაცემებს. მაგრამ, აქ აღწერილი პრინციპები არ ეხება იმ ღონისძიებების ზედამხედველობას, რომელიც ეხება კონვენციის მე-8 მუხლს. განსაკუთრებით, მათ სავარაუდოდ უნდა მოიცვან კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაცია (CNE) იმ სიტუაციებში, როდესაც აღნიშნული ზომები ერევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში. რამდენადაც მითითებული საკითხები არ განიხილება წინამდებარე ნაშრომში, უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების სამ-

სახურის საქმიანობები, ასევე, უნდა შეესაბამებოდეს მე-8(2) მუხლით და მისი იურისდიქციით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული ზედამხედველობისთვის (ვენეციის კომისია 2007, 2015).

სასამართლომ ხაზი გაუსვა გარე ზედამხედველობის გადამწყვეტ მნიშვნელობას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დარღვევისა და არამართლზომიერი გამოყენებისგან დასაცავდ. აღინიშნა, რომ თვალთვალის ზომებზე გარე ზედამხედველობა უნდა ხდებოდეს ზომების განხორციელებამდე, მათი იმპლემენტაციის განმავლობაში ან მათი დასრულების შემდეგ.³¹ ეს უკანასკნელი ეტაპები, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთ ეტაპად იკვრება, რაც განსხვავდება ოპერატიულ-სამძებრო ზომების უფლებამოსილებისგან.³²

რაც შეეხება თვალთვალის ზომების უფლებამოსილებას, სასამართლომ აშკარა უპირატესობა მიანიჭა თვალთვალის სანქცირებას სასამართლო ორგანოს მიერ, მაგრამ ვერ მისცა მოთხოვნის ფორმა, რომ მომხდარიყო მათი თავსებადობა მე-8 მუხლთან.³³ ორგანოები, რომლებსაც ევალებათ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება უნდა იყვნენ დამოუკიდებელი შესაბამისი სამსახურისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან.³⁴ სასამართლომ გამოარკვია, რომ აღნიშნული უსაფრთხოების ზომები გამოიყენება თანაბრად, როგორც მიზნობრივი, ასევე არამიზნობრივი თვალთვალის ნებართვისთვის.³⁵ როდესაც ხდება შეფასება თუ, რამდენად უზრუნველყოფს მოცემული ორგანო ან სისტემა საჭირო უსაფრთხოების ზომებს ნებართვის გაცემის ეტაპზე, სასამართლომ შესაძლებელია ანგარიში გაუწიოს მათ უფლებამოსილებას და შესაძლებლობებს,³⁶

³¹ კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ [54].

³² ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია და ეხმობევი ბულგარეთის წინააღმდეგ [84]. ასევე, იხ. კამერონი 2013; 170-171.

³³ კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ [54] [56]. კენედიგაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [167].

³⁴ დუმბიტრუ პოპესკუ რუმინეთის წინააღმდეგ [72][73]; კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ [56].

³⁵ ლიბერტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [64].

³⁶ კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ [56]

ისევე, როგორც მინიჭებული რწმუნებულობების რაოდენობას წლიურ საფუძველზე.³⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ასევე, მიიღო გადაწყვეტილება ფაქტობრივი ზედამხედველობის ზომებზე, რომლებიც აღნიშნავს, რომ შესაძლებელია დაირღვეს მე-8 მუხლი, თუ არ არსებობს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მონაწილეობს განხორციელებული თვალთვალის ზომების შემდგომ მიმოხილვასა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების შენახვასა და განადგურებაში.³⁸ უნდა არსებობდეს აშკარა სამართლებრივი საფუძველი, რომელიც აწესებს თუ, როგორ უნდა ხორციელდებოდეს ყოველი ზედამხედველობა.³⁹ ბოლოს, სასამართლომ დაადგინა ზედამხედველობის ორგანოების გარკვეული რაოდენობის დამატებითი თვისებები, რომლებიც შეესაბამება შეფასებას უზრუნველყოფს თუ, არა ზედამხედველობის სამუალებები საჭირო უსაფრთხოების ზომებს. იგი ითვალისწინებს აქვს თუ, არა ზედამხედველობას წვდომა ყველა შესაბამის დოკუმენტზე (კლასიფიცირებული მასალის ჩათვლით); მზადდება თუ, არა საჯარო ანგარიშები (ექვემდებარება კლასიფიცირებული მასალების სათანადო შეზღუდვებს); და ასევე, რამდენად უფლებამოსილია ზედამხედველობის ორგანო გააუქმოს ორდერები/ბრძანებები თვალთვალის მიზნით და მოითხოვოს მოპოვებული მასალის განადგურება.⁴⁰

სასამართლოს მიღმა, 2014 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც სავალდებულოა ევროპის საბჭოს და იმავდროულად, ევროპის კავშირის 28 წევრი სახელმწიფოსთვის, ევროპული თანამეგობრობის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ კომუნიკაციების მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით, საჭიროა:

³⁷ *იორდაკი და სხვები წინააღმდეგ* [51].

³⁸ *ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია და ეხმბიევი ბულგარეთის წინააღმდეგ* [85][87].

³⁹ *იორდაკი და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ* [49].

⁴⁰ *კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [166][167].

წინასწარი განხილვა, განხორციელებული სასამართლოს ან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის გადაწყვეტილება მიმართულია შეზღუდოს მონაცემებზე წვდომა და მათი გამოყენება, რაც გარდაუვლად აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად და რომელიც ერევა პროცესში იმ ორგანოების დასაბუთებული მოთხოვნის შედეგად, რომელიც წარდგენილია პრევენციის, გამოვლენის ან სისხლის სამართლებრივი გამოძიების პროცედურების ჩარჩოებში.⁴¹

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული გადაწყვეტილება გაკეთდა ევროპის კავშირის მონაცემთა შენახვის შესახებ დირექტივის კანონიერების შეფასების კონკრეტულ კონტექსტში, რომელიც მოითხოვდა მონაცემების შენახვას ძირითადად სამართალწარმოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის. აღნიშნულის გარდა, ეროვნული უსაფრთხოება და უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობები მნიშვნელოვანწილად რჩება ევროპის კავშირის სამართლის ფარგლებს მიღმა. აღნიშნულის მიუხედავად, ევროპის თანამეგობრობათა სასამართლოს გადაწყვეტილებაში აშკარად არის მითითებული, რომ მოთხოვნების წინასწარი დამოუკიდებელი სანქცირება კომუნიკაციების მონაცემებზე წვდომის შესახებ არის აუცილებელი პირობა მსგავსი უფლებამოსილების განხორციელებისთვის, რომ ისინი შეთავსებადი არიან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კანონთან. ანალოგიური არგუმენტაცია მცირე ალბათობით გამოდგება, როგორც ზომები ან როდესაც მსგავსი ზომები, მათ შორის უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებულიც, გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად.

⁴¹ შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ციფრული (საავტორო) უფლება, ირლანდია კომუნიკაციების, საზღვაო და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სხვების წინააღმდეგ [62].

ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიება და ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა

სახელმწიფოებს მოეთხოვებათ იმის უზრუნველყოფა, რომ ინდივიდუალურ პირებს ქონდეთ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში (კონვენციის მე-13 მუხლი; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მე-2(3) მუხლი და გაეროს კონვენცია წამების წინააღმდეგ მუხლები 13 და 14). იგი აშკარა გავლენას ახდენს უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაზე, რამდენადაც ერთმა ინსტიტუტმა ან ინსტიტუტების გაერთიანებამ, რომელიც პასუხისმგებელია მათი ზედამხედველობისთვის უნდა გამოიკვლიოს ბრალდებები ადამიანის უფლებების ხელყოფის შესახებ და მისცეს მსხვერპლებს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით უზრუნველყოფის გარანტია. სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით უზრუნველყოფის მნიშვნელობა დამტკიცდა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, რომელმაც დაადგინა, რომ ადამიანის უფლებების ხელყოფის შესახებ გამოძიების წარუმატებლობამ თავისთავად შიძლება მოიცვას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ცალკეული დარღვევები

რომელმაც დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ხელყოფის შესახებ ბრალდებების წარუმატებელმა გამოძიებამ შესაძლებელია თავისთავად წარმოქმნას სამოქალაქოდაპოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICCPR) ცალკეული დარღვევები (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი 2004: § 15). წამებასთან AT) ადგენს უფრო დეტალურ მოთხოვნებს, მათ შორის იგულისხმება „დაკითხვის დაკავშირებული ბრალდებების კონტექსტში, გაეროს კონვენცია წამების წინააღმდეგ (UNC წესების, ინსტრუქციების, მეთოდებისა და პრაქტიკების, ასევე, დაცვის ქვეშ ყოფნის პირობებისა და დაპატიმრების, დაკავების ან დატუსაღების ნებისმიერ ფორმას დაქ-

ვემდებარებულ პირთა მოპყრობის სისტემატური მიმოხილვა“ და მყისიერი გამოძიების დაწყება წამების ბრალდებაზე.⁴²

იმ ქვეყნებში, სადაც უსაფრთხოების სამსახურებს აქვთ ნებართვა დაკითხონ და/ან დააკავონ ადამიანები (ან იმოქმედონ იურიდიული საფუძვლის გარეშე), აღნიშნული მოვალეობები შესაძლებელია განსაკუთრებულად მართებული აღმოჩნდეს. საუკეთესო პრაქტიკად არ არის მიჩნეული უსაფრთხოების სამსახურებისთვის დაპატიმრების, დაკითხვისა და დაკავების უფლებამოსილების გამოყენება და ამგვარი ძალაუფლებით სარგებლობა არ უნდა იყოს დაშვებული, თუ სამსახურებს არ ეკისრებათ სამართალწესრიგის უზრუნველყოფის ფუნქციები. ყველა ვითარებაში, როდესაც სამსახურები იყენებენ მსგავს უფლებამოსილებას, აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ ისინი დაექვემდებარონ იმავე სტანდარტებს, რაც განკუთვნილია სამართალდამცავი ორგანოებისთვის ანალოგიური უფლებამოსილებით სარგებლობის დროს.⁴³

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი და მისი იურისპრუდენცია ანალოგიურ მოთხოვნებს აყენებს უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების გამოსაძიებლად და სამართლებრივი დაცვის საშუალებით უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის გარდა, სასამართლომ დააწესა, რომ როდესაც ინდივიდუალურ პირს აქვს სადავო საჩივარი უსაფრთხოების სამსახურების (ან სხვა სახელმწიფო აქტორის) წინააღმდეგ მე-3 ან მე-5 მუხლების დარღვევასთან დაკავშირებით, სათანადო მუხლი უნდა განვიხილოთ მე-13 მუხლთან ერთად ეფექტური ოფიციალური გამოძიების მოთხოვნის მიზნით.⁴⁴ აღნიშნული მოითხოვს, რომ ადგილი აქვს სერიოზულ მცდელობებს იმის გასარკვევად თუ, რა მოხდა, ტარდება ყველა გონივრული ზომა მტკიცებულებით უზრუნველყოფისთვის, მსხვერპლს აქვს გამოძიებაში

⁴² გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 10 დეკემბერი, 1984 (ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს), მუხლები 11-12.

⁴³ გაერო 2010ა: პრაქტიკები 27-28; იურისტთა საერთაშორისო კომისია 2009:89.

⁴⁴ ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ [102]; ელ მასრი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ [182][242].

ეფექტურად მონაწილეობის უფლება და, რომ ყველა გამოძიება უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი.⁴⁵

სასამართლო დიდი ხანია აცნობიერებს, რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების ცნება არ შეიძლება იყოს იმავე მნიშვნელობის მატარებელი ფარული ოპერატიულ-სამძებრო ზომების კონტექსტში იმიტომ, რომ ამგვარი ზომების ეფექტურობა დამოკიდებულია მათი საიდუმლოების შენარჩუნებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ რადგანაც ფარული თვალთვალის ღონისძიებები ან მიმდინარეობს, ან არ შეიძლება მათი გამჟღავნება სხვა კანონიერი მიზეზების გამო, სამართლებრივი დაცვის საშუალებები საჭიროა იყოს მხოლოდ იმდენად ეფექტური, რამდენადაც იქნება შესაძლებელი მოცემული ვითარების გათვალისწინებით.⁴⁶ თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ ის ფაქტი, თითქოს არ შეიძლება პირის ინფორმირება მის მიმართ ხორციელდება ან ხორციელდებოდა თუ, არა თვალთვალი, არ უნდა გახდეს ხელისშემშლელი ფაქტორი, რათა წამოაყენოს პრეტენზია ზედამხედველობის სამსახურთან. მსგავსმა ორგანომ უნდა შეძლოს გამოძიებების ჩატარება იმის საგარანტიოდ, რომ ყველა ზომა გამოიყენება კანონის შესაბამისად, მომჩივანის ინფორმირების გარეშე ამა თუ იმ საშუალებით.⁴⁷ როდესაც სუბიექტი გაიგებს ზომების შესახებ, მისი ინფორმირების კანონიერი მოთხოვნის შედეგად, ან სხვაგვარად მოხდება მათი გამჟღავნება, მათ დახმარებისთვის უნდა მიმართონ ორგანოს, რომელიც შეძლებს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით უზრუნველყოფას. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი საშუალებები უნდა იყოს ეფექტური არა მარტო კანონის ძალით, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც.⁴⁸

(ზემოთ მითითებულ) თვალთვალის ზომებზე ზედამხედველობისთვის საჭირო მოთხოვნების მსგავსად, არ არის მკაცრი საჭიროება

⁴⁵ ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ [102][103]; ელ მასრი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ [182-184].

⁴⁶ კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ [69].

⁴⁷ ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია და ეხმბიევი ბულგარეთის წინააღმდეგ [100].

⁴⁸ სეგერშტედი-ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ [117]. იხ., ასევე: ვენეციის კომისია 2007: § 129.

იმისთვის, რომ ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გამოიკვლიოს საჩივრები და უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, იყოს სასამართლო ორგანო. თუმცა, ამგვარ ორგანოებს უნდა ქონდეთ საფუძვლიანი უფლებამოსილება და პროცედურული გარანტიები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებები იყოს ეფექტური.⁴⁹ განსაკუთრებით, აქვს თუ არა ორგანოს უფლებამოსილება განკარგოს კანონით სავალდებულო სამართლებრივი დაცვის საშუალებები (და არა რეკომენდაციები), ეხება შეფასებას იმის თაობაზე, არის თუ არა იგი ეფექტური მე-13 მუხლის მიზნებისთვის.⁵⁰ ბრძანების უფლება ფაილების განადგურების ან შეგროვებული ინფორმაციის წაშლის შესახებ არის აღნიშნული პროცესის ძირითადი შედეგი შედეგი.⁵¹ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების შეფასების დროს, გასათვალისწინებელია არსებული ერთობლივი საშუალებები,⁵² რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა ორგანოებისთვისაც.

3.2. არამავალდებულებელი რეკომენდაციები და პრინციპები

არსებობს საერთაშორისო და ევროპული რბილი სამართლის გაფართოებული პაკეტი უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაზე. რამდენადაც მოიპოვება შედარებით მცირე რაოდენობის მავალდებულებელი, მკაცრი ნორმების პრინციპები, რომლებიც განკუთვნილია ზედამხედველობითი მოქმედებისთვის, არამავალდებულებელი წინადადებები და გადაწყვეტილებები უზრუნველყოფენ დეტალურ ჩარჩოებს უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის სისტემების განვითარების, გაძლიერებისა და შეფასებისთვის. წინამდებარე ნაწილში განხილული დოკუმენტების უმრავლესობას აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა, რამდენადაც მათი გამოქ-

⁴⁹ კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ [67]; სეგერშტედი-ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ [117]. ლუანდერი შვედეთის წინააღმდეგ [167].

⁵⁰ ლუანდერი შვედეთის წინააღმდეგ [82].

⁵¹ სეგერშტედი-ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ [120]. კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [167].

⁵² კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ [72]; ლუანდერი შვედეთის წინააღმდეგ [77].

ვეყნება მოხდა მთავარი საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ და ეფუძნება არსებულ საუკეთესო პრაქტიკებს და არ არის „ამბიციური“. წინამდებარე ნაწილი შეეხება გარკვეულ საკვანძო დებულებებს და სიახლეებს პრინციპების ერთობლიობიდან.

3.2.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

სპეციალური მანდატის მფლობელები და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი

2009 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მანდატი მიანიჭა სპეციალურ მომხსენებელს ადამიანის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა შეედგინა „კარგი პრაქტიკების კრებული სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოებში დაზვერვის სააგენტოებისა და მათი ზედამხედველობისთვის“ (გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო 2009; გაერო 2010ა). იგი შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ფართო წრეებთან კონსულტაციის შედეგად, მათ შორის მონაწილეობდნენ, დაზვერვის ყოფილი თანამდებობის პირები, ადამიანის უფლებათა ადვოკატები და ასევე, სხვადასხვა ეროვნული მთავრობების მიერ მოწოდებული მონაცემები. აღნიშნული პრინციპები შემდგომ დაამტკიცა ევროპის პარლამენტმა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ.

გაეროს კრებული მოიცავს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს ზედამხედველობისთვის, მათ შორის გათვალისწინებულია, სპეციალიზებული ზედამხედველობის მნიშვნელობის აღიარება (მოიხსენება, როგორც კვალიფიციური ზედამხედველობა წინამდებარე კვლევით ნაშრომში), საპარლამენტო, სასამართლო, აღმასრულებელი და შიდა ზედამხედველობისა და კონტროლის გარდა. კრებული, ასევე წინა პლანზე წამოწევს, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს ზედამხედველობის ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყურადღებით განიხილოს დაზვერვის სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენება და მიიღოს საჩივრები ამგვარი საქმეების შესახებ (გაერო 2010ა; პრაქტიკები 25-26). თანაბარი მნიშვნელობის მქონეა რეკომენდაციები ერთიანი ფოკუსირების საჭიროებ-

ისტვის სამსახურების საქმიანობებზე, რომელთა ზედამხედველობამ უნდა დააკმაყოფილოს (როგორც მინიმუმი):

- კანონთან შესაბამისობა;
- საკუთარი მოქმედებების ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- საკუთარი ფინანსური სახსრები;
- საკუთარი ადმინისტრაციული პრაქტიკები (გაერო 2010ა: პრაქტიკა 6).

ბოლოს, რეკომენდაცია, რომ ზედამხედველობის ორგანომ უნდა შეძლოს უცხოურ დაზვერვასთან და უსაფრთხოების სამსახურებთან თანამშრომლობის (თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ჩათვლით) ყურადღებით შესწავლა, მნიშვნელოვანია მსგავსი თანამშრომლობის დროს კავშირის დადგენა თანამშრომლობის ექსპონენციალური ზრდასა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობას შორის. (ბორნი, ლეი და უილსი, მზად არის გამოსაცემად).

2014 წელს გაროს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებათა დაცვის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე წამოაყენა რეკომენდაციები მასშტაბური თვალთვალის ზედამხედველობაზე, რომელიც მოიცავდა შემდეგს:

- დამოუკიდებელ ზედამხედველობის ორგანოს უნდა ქონდეს თვალთვალის (მათ შორის მასშტაბური თვალთვალის) განსახორციელებლად ნებართვის გაცემის უფლებამოსილება, ანგარიში გაუწიოს არა მარტო ეროვნულ კანონს, არამედ საჭიროებისა და პროპორციულობის საერთაშორისო ადამიანის უფლებათა მოთხოვნებს.
- საჭიროება, რომ ინდივიდუალურ პირებს ქონდეთ წვდომა სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებაზე ელექტრონული ფორმით პირადი ინფორმაციის დაცვის უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან განიხილონ მსგავსი საჩივრები, შეუძლიათ სხვადასხვა ფორმის მიღება, რამდენადაც მათ აქვთ წვდომა საქმესთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციაზე, ადეკვატურ წყაროებზე და

შეუძლიათ მავალდებულებელი სამართლებრივი დაცვის საშუალებების მოწესრიგება (გაერო 2014; §§ 48-50 და 61). იმის აღიარება, რომ მნიშვნელოვანია ზედამხედველობის არსი და არა ფორმა, საყურადღებოა პრინციპების შემუშავების დროს იმ ქვეყნებში გამოსაყენებლად, რომლებსაც აქვთ განსხვავებული კონსტიტუციური /საკანონმდებლო სისტემები - იგი, ასევე თავსებადია გაეროს კრებულში შეტანილ მიდგომასთან.

გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2013 წლის რეკომენდაციები კიდევ უფრო ღრმად იჭრება და მოითხოვს კომუნიკაციებზე თვალთვალის განხორციელებას მხოლოდ სასამართლო ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ (გაერო 2013: § 81). იგი აღმატება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, რომლებიც შემუშავებულია პრევენდენტული სასამართლოს მიერ (იხ., ზემოთ). ფრენკ ლა რუმ ასევე წარადგინა რეკომენდაცია, რომ კერძო კომპანიების მიერ კომუნიკაციების მონაცემებით სახელმწიფო სააგენტოების, მათ შორის, უსაფრთხოების სამსახურების უზრუნველყოფის მონიტორინგი უნდა განხორციელოს დამოუკიდებელმა ზედამხედველობის ორგანომ ან სასამართლომ (გაერო 2013: §).

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა 2014 წელს გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც წამოყენებულია წინადადება, რომ ნებართვის მიღების პროცესებში გათვალისწინებული იყოს „საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ადვოკატების პოზიციები“. ეს ადვოკატები დანიშნული არიან, რათა წარმოადგინონ თვალთვალის პოტენციური მიზნების ინტერესები (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი 2014; § 38).

გაეროს გენერალური ასამბლეა

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სნოუდენის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების საპასუხოდ მოუწოდა სახელმწიფოებს, რომ სხვა ქმედებებთან ერთად,:

შექმნან ან შეინარჩუნონ დამოუკიდებელი, ეფექტური, ადეკვატური რესურსებით აღჭურვილი და მიუკერძოებელი სასამართლო, ადმინისტრაციული და/ან საპარლამენტო შიდა ზედამხედველობის მექანიზმები, რომელიც შეძლებს სათანადო ფორმით გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას კომუნიკაციებზე სახელმწიფო თვალთვალის, მოსმენისა და პერსონალური მონაცემების შეგროვებისთვის; იზრუნოს ინდივიდუალურ პირებზე, რომელთა უფლება დაირღვა უკანონო ან არამართლზომიერი თვალთვალის შედეგად, რომ ქონდეთ წვდომა სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებაზე საერთაშორისო ადამიანის უფლებათა მოვალეობების შესაბამისად (გაეროს გენერალური ასამბლეა 2014; §4).

3.2.2. ევროპის საბჭო

ვენეციის კომისია

ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ წამყვანი როლი შეასრულა უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული კონტროლის მხარდაჭერის საქმეში. ვენეციის კომისიის 1998 წლის ანგარიში შიდა უსაფრთხოების სამსახურების შესახებ იყო პირველი დოკუმენტი, რომელიც გამოსცა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღნიშნულ თემაზე (ვენეციის კომისია 1998). 2007 წლის ამომწურავი ანგარიშის მეშვეობით, ვენეციის კომისიამ უზრუნველყო ზედამხედველობის სხვადასხვა ფორმისა და მოდელის ღრმა ანალიზი. ანგარიში მოიცავს შიდა, საპარლამენტო, სასამართლო და კვალიფიციური ზედამხედველობის დეტალურ განხილვას.

ვენეციის კომისია განსაზღვრავს ეფექტური შიდა კონტროლის საშუალებების საჭიროებას უსაფრთხოების სამსახურების ფარგლებში, მათ შორის, დაბალხარისხიანი კონტროლის მართვა, პროცედურ-

რები იმის საგარანტიოდ, რომ მოთხოვნები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ნებართვისთვის დამტკიცებულია მენეჯმენტის დონეზე, და ასევე იგულისხმება ტრენინგი ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ფასეულობების საკითხებზე (ვენეციის კომისია 2007: §§ 131-133). რაც შეეხება საპარლამენტო ზედამხედველობას, ვენეციის კომისია უწევს რეკომენდაციას, რომ პარლამენტმა (არა აღმასრულებელმა ორგანომ) უნდა აირჩიოს კომიტეტის წევრები, უნდა იყოს პარტიათაშორისი წარმომადგენლობა და ადეკვატური კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალი (იქვე §§ 21, 24). სასამართლო ზედამხედველობასთან დაკავშირებით, ვენეციის კომისია რეკომენდაციას უწევს მოსამართლეების მომზადებას უსაფრთხოების საკითხებზე და, რომ მხედველობაში მიიღონ სპეციალური ადვოკატების დანიშვნა, რათა წარმოადგინონ თვალთვალის პოტენციური მიზნების ინტერესები ნებართვის გაცემის პროცესების კონტექსტში (იქვე 2014; § 28, 31). კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები მოიცავს წინადადებებს, რომ პარლამენტმა (არა აღმასრულებელმა ორგანომ) უნდა დანიშნოს მათი წევრები და მიიღოს მათი ანგარიშები, და თავიდან აიცილოს ანგარიშების ფუნქციების სამთავრობო კონტროლი (იქვე § 34). ასევე, რეკომენდებულია, რომ საჩივრების დამუშავების ფუნქციები გამოეყოს ზედამხედველობის ფართო ფუნქციებს (იქვე § 247). ბოლოს, ანგარიშში ასევე, გაკეთებულია საყურადღებო მინიშნება, რომ არ არის საკმარისი ზედამხედველობის მექანიზმების მხოლოდ ქაღალდზე არსებობა – აუცილებელია მათი განხორციელება და პერიოდული მიმოხილვა (იქვე § 34). მაგრამ არ არის მითითებული თუ, როგორ უნდა განხორციელდეს ამგვარი მიმოხილვები.

2015 წელს, ვენეციის კომისიამ განაახლა მითითებული ანგარიში სნოუდენის მიერ ინფორმაციის გაჟონვის ფონზე (ვენეციის კომისია 2015). ანგარიში უზრუნველყოფს დეტალურ რეკომენდაციებს უსაფრთხოების ზომებისა და ზედამხედველობის მექანიზმების შესახებ, რომელთა ადაპტირებაც შესაძლებელია არამიზნობრივი

თვალთვალისა და მეტამონაცემების გამოსაყენებლად. ვენეციის კომისიამ წინა პლანზე წამოწია განსაკუთრებული საჭიროება, რომ უსაფრთხოების ზომები ჩამოყალიბდეს ორ ეტაპად.

- როდესაც სელექტორები არჩეულია იმისთვის, რომ განსაზღვროს ინფორმაცია, რომელიც ამოღებულია მასშტაბური თვალთვალის საშუალებით შეგროვებული მასალიდან. თუმცა მასზე ნებართვის გაცემა შესაძლებელია სასამართლო ორგანოს მიერ, რეკომენდებულია, რომ აღნიშნული დავალება ყველაზე მეტად მიესადაგებოდეს ექსპერტებისა და მოსამართლეების ჰიბრიდულ გარე ორგანოს, რადგანაც იგი მოიცავს არა მარტო იურიდიულ შეფასებებს, არამედ (უცხოურ) პოლიტიკურ და ტექნიკურ ასპექტებსაც.
- როდესაც ადამიანური რესურსების ანალიტიკოსები იღებენ გადაწყვეტილებას არის თუ, არა საჭირო იმ ინფორმაციის შენახვა, რომელიც შეგროვდა არამიზნობრივი თვალთვალის საშუალებით და ამოღებულია სელექტორების მეშვეობით – მინიმიზაციის პროცესი. ვენეციის კომისიის რეკომენდაცია არის, რომ აღნიშნული ფუნქცია გარე ორგანომ განიხილოს, როგორც *ფაქტობრივი. (ex post)* (ვენეციის კომისია 2015; §§ 46-48, 120-121)

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE)

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, ასევე, გამოაქვეყნა პრინციპები უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის შესახებ რეზოლუციების, რეკომენდაციებისა და კომიტეტის ანგარიშების ფორმით. ისინი წარმოიქმნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მუშაობის შედეგად საიდუმლო დაკავების, დამნაშავეს გადაცემის, მასობრივი თვალთვალისა და სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ. რამდენადაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა წარმოადგენს ევროპის 47 სახელმწიფოს პარლამენტარებისგან შემდგარ გაერთიანებას, როგორც იყო მოსალოდნელი, საკუთარი რეკომენდაციების ყურადღების ცენტრში დააყენა გამლიერებული საპარლამენტო ზედამხედველო-

ბის საჭიროება, მათ შორის, რომ რომ ყველა პარლამენტმა შექმნას სპეციალიზებული კომიტეტები უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობისთვის.⁵³

ასამბლეამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა საგანგებო და მუდმივი საპარლამენტო კომიტეტების მიერ ინფორმაციაზე წვდომის მიმართ და განმეორებით დაადასტურა საჭიროება, რომ საპარლამენტო კომიტეტებს ხელი მიუწვდებოდეთ ყველა შესაბამის ინფორმაციაზე საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად, ასევე დინამიური საგამომიებო უფლებამოსილებების აუცილებლობა საჭირო გამოძიების საწარმოებლად (ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 2013: § 9). საკუთარი უახლესი რეზოლუციების პროექტში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ხაზი გაუსვა საჭიროებას, რომ ზედამხედველობის მექანიზმებს ქონდეთ წვდომა ინფორმაციაზე (და უნდა ქონდეს აღნიშნული ინფორმაციის გადახედვის უფლებამოსილება), რომელიც ეხება საერთაშორისო უსაფრთხოების/დაზვერვის სამსახურებს შორის თანამშრომლობას ინიციატორის კონტროლის პრინციპების გაუთვალისწინებლად.⁵⁴ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ხდება უზარმაზარი რაოდენობის ინფორმაციის მიღება და შენახვა უცხოური პარტნიორებისგან.⁵⁵ ასამბლეის რეკომენდაცია არის ასევე, რომ წევრმა ქვეყნებმა შექმნან სპეციალური შეჯიბრებითი პროცედურები სადავო საკითხების საარბიტრაჟო განხილვისათვის, რომლებიც ეხება ინფორმაციის გამოქვეყნებას საპარლამენტო კომიტეტების მიერ (ასევე, სასამართლო ორგანოების მიერ, რომლებიც იძიებენ საქმეებს უსაფრთხოების სამსახურების მონაწილეობით) (ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 2011: § 13). ზედამხედველობის ორგანოს გამჭვირვალობის ეს კონკრეტული ასპექტი არ იყო განხილული პრინციპების სხვა კრებულში და ამ მხრივ, წარმოადგენს ღირებულ დამატებას, რადგანაც, ხშირ შემთხვევაში, იქმნება გამოუვალი მდგომარეობა თუ, რისი გამოქვეყნება შეუძლია ზედამ-

⁵³ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა PACE 2011: § 13; PACE 2005: § 10.i.8

⁵⁴ მოცემული პრინციპის მიხედვით, სამსახური, რომელიც არის მითითებული ინფორმაციის ინიციატორი, აქვს უფლება განსაზღვროს თუ, ვისთან სურს ინფორმაციის გაზიარება.

⁵⁵ ომციგტი 2015; LAHRC 2015: § 17.2.

ხედველობის კომიტეტს და, როგორ უნდა გადაწყდეს სადავო საკითხები აღმასრულებელ ორგანოსთან. შესაძლოა, ასამბლეის მიერ ყველაზე ინოვაციურ რეკომენდაციას წარმოადგენდა 2005 წელს წამოყენებული წინადადება, რომ მინისტრების კომიტეტს მიეღო ეთიკის კოდექსი უსაფრთხოების სამსახურებისთვის *ევროპის პოლიციის ეთიკის კოდექსის* ნიმუშის მიხედვით (ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 2005: § 10. ე.ი). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ჯერ არ ამოქმედებულა, იგი რჩება მნიშვნელოვან მისწრაფებად, რომელიც საჭიროებს ხელახალ განხილვას.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილმა წევრმა დიკ მარტიმ, თავისი ბოლო ანგარიში გამოიყენა იმისთვის, რომ დაედასტურებია ზემოთ მითითებულ გაეროს კრებულში მოყვანილი პრინციპები (გაერო 2010ა) ასევე ვენეციის კომისიის მიერ 2007 წლის ანგარიშში მოყვანილი პრინციპები უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული ზედამხედველობის შესახებ (დ. მარტი 2011: §§ 48-49). დიკ მარტიმ, ასევე, შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ ზედამხედველობის ორგანოებს მიანიჭონ დინამიური გამოძიების უფლებამოსილება, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას ყურადღებით შეისწავლონ უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობები მაშინაც კი, როდესაც ამგვარი გამოკვლევა აწყდება წინააღმდეგობას ხელისუფლების მხრიდან. აღნიშნულის გარდა, მან ხაზი გაუსვა უსაფრთხოების სამსახურების ხშირად მითითებულ მნიშვნელობაზე, რომ ისინი უზრუნველყოფილები არიან სათანადო რესურსებით და მოქმედებენ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად (დ. მარტი 2011: § 55).

ადამიანის უფლებათა კომისარი

ადამიანის უფლებათა კომისარმა, ასევე, შეიმუშავა რეკომენდაციები უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის შესახებ მასობრივი თვალთვალის გამოაშკარავების საპასუხოდ. მან აქცენტი გააკეთა, რომ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სამსახურების ფარგლებში ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემის კულტურისა და კანონის უზენაესობისთვის ხელშეწყობა დემოკრატიული ზედამხედველობის ეფექტური სისტემის არსებობისთვის (ადამიანის უფლებათა კომისარი 2014ა: 22). იგი დაკავშირებულია საჭიროებასთან,

რომ ყურადღება გამახვილდეს შიდა მენეჯმენტსა და კონტროლის საშუალებებზე, როგორც არის წამოწეული წინა პლანზე ვენეციის კომისიის მიერ. კომისარმა, ასევე, გამოიყენა ცალკეულ ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტები რეკომენდაციების შესამუშავებლად, მათ შორის, განცხადება, რომ უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობისთვის საჭირო იურიდიული ჩარჩოები უნდა მოიცავდეს თვალთვალის ახალ ტექნოლოგიებს. (ადამიანის უფლებათა კომისარი 2014გ: 71-72). აღნიშნული რეკომენდაცია განსაკუთრებით გამოსაყენებელია იმიტომ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც ზოგიერთი ზედამხედველობის ორგანო იბრძოდა მასშტაბური თვალთვალისა და კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაციით (CNE) შექმნილი პრობლემების დასარეგულირებლად არის ის, რომ ისინი არ არიან აღჭურვილი მზარდ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობების ზედამხედველობის განსახორციელებლად.

გენერალური მდივანი

ევროპის საბჭოს ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად, ევროპის საბჭოს ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ტერი დევისმა, ასევე, წამოაყენა რეკომენდაციები ზედამხედველობის შესახებ 2006 წელს. ეს მოხდა საიდუმლო დაკავებისა და დამნაშავის საგანგებო გადაცემის შესახებ გამოაშკარავების კონტექსტში. დევისმა ხაზი გაუსვა, რომ არ მიმდინარეობს (ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე) უცხოური სამსახურების საქმიანობების ყურადღებით შესწავლა ზედამხედველობის ორგანოების მიერ.⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ იგი შემოიფარგლა მწირი წინადადებით თუ, როგორ შეიძლება აღნიშნული საკითხის მოგვარება, ეს არის ზედამხედველობის თემა, რომელიც არ ყოფილა გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და პრინციპების სხვა კრებულებში.

⁵⁶ ევროპის საბჭო 2006ა: § 101 (iv); ევროპის საბჭო 2006ბ: §§ 46 და 68.

3.2.3. ევროპის კავშირი

ევროპის პარლამენტი

2014 წლის ანგარიშში მასობრივი თვალთვალის შესახებ (ევროპის არლამენტი 2014: §§ 74-79), ევროპის პარლამენტის კომიტეტმა სამოქალაქო თავისუფლებების, სამართლისა და შინაგან საქმეთა საკითხებზე (LIBE-ს კომიტეტი) გამოაქვეყნა რეკომენდაციები ზედამხედველობის შესახებ ეროვნულ დონეზე (ევროპის პარლამენტი 2007). კომიტეტმა მოითხოვა, რასაც უწოდა „კონსტრუქციული ზედამხედველობა“ განხორციელებულიყო პარლამენტის და/ან კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოს მიერ. კვალიფიციური ზედამხედველობის ამგვარი ფორმით აღიარება მომავალში მოახდენს ზედამხედველობის უფრო პლურალისტური თვალსაზრისით გაგების დემონსტრირებას – საპარლამენტო და სასამართლო ზედამხედველობის ფარგლებს მიღმა. ელექტრონული კომუნიკაციების მასშტაბურ თვალთვალთან დაკავშირებული პრეტენზიების გათვალისწინებით, კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა საჭიროებაზე, რომ მეთვალყურეები აღჭურვილი იყვნენ სათანადო ტექნიკური საშუალებებით, კვალიფიკაციითა და რესურსებით. მოცემულ კონტექსტში, წევრებმა მოითხოვეს, რომ ზედამხედველობის ორგანოებს მიეცეთ უფლებამოსილება განახორციელონ ვიზიტები ობიექტებზე, როგორც გამოძიების საშუალება.

LIBE-ს კომიტეტმა, ასევე შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ ზედამხედველობის ორგანოებს მოეთხოვოთ საზოგადოებასთან დაამყარონ ურთიერთობა ანგარიშის წარდგენის ფორმით. მას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც ზედამხედველებს აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა აუხსნან საზოგადოებას სამსახურების საქმიანობა დასაშვებ ჩარჩოებში და ამით ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებას. ბოლოს, რაც შეეხება თვალთვალის ზედამხედველობას, ევროპის პარლამენტის წევრებმა წინა პლანზე წამოწიეს, როგორც *წინასწარი (ex ante)*, ასევე *შემდგომი (ex post)* ზედამხედველობის საჭიროება; იგი თავსებადია სასამართლოს მიერ მიღებულ მიდგომასთან (ევროპის პარლამენტი 2014: § 77). წინამდებარე ნაშრომის მომზადების დროისთვის, არ გაკეთებულა შემდგომი განცხადებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

„29-ე მუხლის მუშა ჯგუფი“

ევროპის საბჭოს დახმარებით, „29-ე მუხლის მუშა ჯგუფმა,“ რომელიც შედგება ეროვნული მონაცემთა დაცვის კომისიების წარმომადგენლებისგან, 2014 წელს მიიღო ევროპული ფასეულობების დეკლარაცია პირადი მონაცემების დაცვის შესახებ ეროვნული უსაფრთხოების თვალთვალის კონტექსტში. დეკლარაცია მოიცავს თვალთვალის საქმიანობებზე დამოუკიდებელი და ეფექტური ზედამხედველობის მოთხოვნას, მათ შორის, ეროვნული მონაცემთა დაცვის ორგანოების (DPAs) რეალურ მონაწილეობას (ევროპის მონაცემთა დაცვის ორგანოები 2014: § 8). ადრინდელი მოსაზრებით, მუშა ჯგუფის რეკომენდაცია აღნიშნავდა, რომ ქვეყნები, სადაც ზედამხედველობის ორგანო, მაგრამ არა მონაცემთა დაცვის ორგანო, აწარმოებს ზედამხედველობას უსაფრთხოების სამსახურების მიერ მონაცემთა დაცვის გამოყენებაზე, უნდა არსებობდეს „რეგულარული კავშირები აღნიშნულ ორგანოსა და ეროვნულ მონაცემთა დაცვის ორგანოს შორის მონაცემთა დაცვის პრინციპების შეთანხმებული და თანამიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად“ (მუხლი 29 2014ა: § 8). ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგანაც ევროპის საბჭოს მრავალ წევრ ქვეყანაში, მონაცემთა დაცვის ორგანოები არ არის გათვალისწინებული უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაში (იხ. ქვემოთ) და, აღნიშნულიდან გამომდინარე მათი დაცვის ექსპერტიზა ზეგავლენას ვერ ახდენს იმ სფეროზე, სადაც მონაცემთა დაცვა განსაკუთრებით რთულია.

რომელი ორგანოც არ უნდა იყოს პასუხისმგებელი მონაცემთა დაცვის ზედამხედველობაზე, „29-ე მუხლის მუშა ჯგუფი“ ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ მას არა მარტო დართონ ნება შეამოწმონ საქმის ვითარება საკუთარი ინიციატივით, არამედ მოთხოვონ კიდევ საჩივრებზე რეაგირება; იმავდროულად მიანიჭონ უფლებამოსილება საკუთარი მონაცემების ამოქმედების შესახებ (მუხლი 29 2014: § 8, რეკომენდაციები B2). ბოლოს, „29-ე მუხლის მუშა ჯგუფმა“ ასევე, შეიმუშავა რეკომენდაციები, რომ პირადი მონაცემები უნდა იყოს ორგანიზებული და დაცული იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ ზედამხედველობას (მუხლი 29 2014ბ: § 11). ცხადია, რომ ეფექტური ზედამხედველობა დამოკიდებულია არა მარტო ზედამხედველობის ორგანოების უფლებამოსილებასა და რესურსებზე,

არამედ იმაზეც თუ, როგორ ეხმარებიან ზედამხედველობასა და ანგარიშვალდებულებას საკუთარი მონაცემების მართვის მეშვეობით იმგვარი ინსტიტუტები, როგორც უსაფრთხოების სამსახურებია.

3.2.4. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების მეშვეობით შემუშავდა საერთაშორისო პრინციპების მნიშვნელოვანი ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობას.

ცვანეს პრინციპები

2013 წელს ამოქმედდა რეკომენდაციათა პაკეტი „ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების გლობალური პრინციპების შესახებ“ (ცვანეს პრინციპები), რომელიც შემუშავდა 500-სზე მეტი ექსპერტის მონაწილეობით მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის, უსაფრთხოების სფეროს მრავალი პროფესიონალი, ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივის ეგიდის ქვეშ (ფონდი – ღია საზოგადოება 2013). ცვანეს პრინციპები შედგება დეტალური სახელმძღვანელო მითითებებისგან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ორგანოების მიერ, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას უსაფრთხოების სექტორზე უსაფრთხოების სამსახურების ჩათვლით. დაწყებული პრინციპებიდან, რომ მეთვალყურეებს უნდა ქონდეთ წვდომა ყველა ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა იურიდიული მანდატების განსახორციელებლად, პრინციპები უზრუნველყოფენ დეტალურ მითითებებს შემდეგ საკითხებზე: ინფორმაციის/მასალის ტიპები, რომლებზედაც უნდა ქონდეთ წვდომა ზედამხედველებს; საგამომიებო უფლებამოსილება, ფინანსური და ადამიანური რესურსები, რომლებიც საჭიროა ამგვარი წვდომისა და ინფორმაციის სათანადოდ გამოყენების საგარანტიოდ; ღონისძიებები ზედამხედველობის მიერ დამუშავებული ინფორმაციის დასაცავად (ფონდი – ღია საზოგადოება 2013: პრინციპები 32, 33, 35). ცვანეს პრინციპებში წარმოდგენილია საგულდაგულოდ შემუშავებული მითითება ზედამხედველობის ორგანოების მიერ ანგარიშგებისა და მოქმედების ზღვარის შესახებ, მათ შორის საჭიროება ანგარიშების საჯარო ვერსიებისა და მექანიზმების

შესახებ საჩივრების პროცედურებზე წვდომის უზრუნველსაყოფად (ფონდი – ღია საზოგადოება 2013: პრინციპი 34).

ცვანეს პრინციპები ყველაზე მეტად ცნობილია დეტალური რეკომენდაციების გამო, რომელიც შემუშავებულია სახელმწიფო ორგანოების, უსაფრთხოების სამსახურებისა და მათი ზედამხედველობის სამსახურების განკარგულებაში არსებულ ინფორმაციაზე საჯარო წვდომასთან დაკავშირებით. ქვემოთ მოყვანილი გაიდლაინები განსაკუთრებით მართებულია უსაფრთხოების სამსახურებზე არაოფიციალური ზედამხედველობის განხორციელების მიზნებისთვის, მაგალითად, მედია ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

- ▶ სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ექვემდებარება კანონით დაწესებულ ზოგიერთ გამონაკლისებს და რაც საჭიროა კანონიერ ინტერესებზე, მათ შორის ეროვნულ უსაფრთხოებაზე, განსაკუთრებული, პროგნოზირებადი ზიანის აღსაკვეთად.
- ▶ არ უნდა დაწესდეს შეზღუდვა ინფორმაციის უფლებაზე ეროვნული უსაფრთხოების მოტივით, სანამ ხელისუფლება ვერ შეძლებს დემონსტრირებას, რომ შეზღუდვა დაწესებულია კანონმდებლობით და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესის დასაცავად.
- ▶ არ არის საკმარისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მხოლოდ იმის განცხადება, რომ არსებობს ზიანის რისკი; მას ევალება კონკრეტული, არსებითი მიზეზების მოყვანა საკუთარი მტკიცებულებების გასამყარებლად.
- ▶ პიროვნება/ორგანიზაცია, რომელიც მოითხოვს ინფორმაციას, აქვს სწრაფი და იაფი გადახედვის უფლება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის დახურვის უარყოფის, ან მოთხოვნასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ, (ფონდი – ღია საზოგადოება 2013: პრინციპები 1-5,26)

მიუხედავად იმისა, რომ ცვანეს პრინციპები წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების შედეგს, მათზე შეიძლება დიდი მნიშვნელო-

ბის მინიჭება ევროპის მასშტაბით, რამდენადაც დამოწმებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციით და ევროპის პარლამენტმა, ასევე, მოიწონა აღნიშნული პრინციპები.⁵⁷

ოტავის პრინციპები

ოტავას პრინციპები ანტიტერორიზმისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე შეიმუშავა ადამიანის უფლებებისა და კონტრტერორიზმის საკითხების სპეციალისტთა ჯგუფმა 2006 წელს. აღნიშნული პრინციპების მიხედვით საჭიროა უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობა პლურალისტური მიდგომების გამოყენებით, მათ შორის შიდა კონტროლის განხორციელება უსაფრთხოების სამსახურში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში; დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ორგანოებში; საკანონმდებლო ორგანოში; ადამიანის უფლებების, მონაცემთა დაცვის, ინფორმაციის თავისუფლებისა და აუდიტის ინსტიტუტებში; და სამოქალაქო საზოგადოების მიერ (ოტავის პრინციპები 2006: 9.1.1).

ოტავის პრინციპებში განსაკუთრებით სასარგებლოა მიზნების ჩამონათვალი ზედამხედველობის სისტემისთვის, რომელიც მოიცავს შემდეგი ასპექტების უზრუნველყოფას: უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების მართებულობა; ეფექტურობა; გამჭვირვალობა; კანონიერება და ანგარიშვალდებულება (ოტავის პრინციპები 2006: 9.1.2).

ოტავის პრინციპების მიხედვით დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ორგანოს (ე.ი. კვალიფიციურ არასაპარლამენტო ინსტიტუტს) ცენტრალური ადგილი უჭირავს ზედამხედველობის სისტემაში. მათი დადგენილებით, ამგვარ ორგანოს ევალება, როგორც მინიმუმი, გადახედოს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობების მართებულობას (კანონიერებას) და ასევე, უნდა ქონდეს საჩივრების დამუშავების ფუნქცია (ოტავის პრინციპები 2006: 9.3). სხვა რეკომენდაციების ერთობლიობის მსგავსად, აღნიშნული პრინციპები, ასევე, ყურადღებას ამახვილებს საჭიროებაზე, რომ ზედამხედველებს ქონდეთ სათანადო რესურსები, ინფორმაციის წვდომა და საგამოძიებო

⁵⁷ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 2013: § 7-8; ევროპის პარლამენტი 2014, § 77.

უფლებები, ასევე, შეძლონ საჯარო ანგარიშების გამოცემა (ოტავის პრინციპები 2006: 9.1.5, 9.3.3.ბ, დ).

საჭიროებისა და პროპორციულობის პრინციპები

2013 წლის *საერთაშორისო პრინციპები ადამიანის უფლებების გამოყენების შესახებ კომუნიკაციების თვალთვალთვალთან მიმართებაში*, რომლებიც მოამზადა მოწინავე სპეციალისტებმა კონფიდენციალობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე და დაადასტურა 400-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და აკადემიურმა ინსტიტუტმა, უზრუნველყოფს რეკომენდაციებს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გამოყენებას ციფრული საშუალებებით თვალთვალთან მიმართებით. უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის შესახებ საერთაშორისო პრინციპების ლექსიკონში მნიშვნელოვან დამატებას წარმოადგენს მოწოდება, რომ დამოუკიდებელ ზედამხედველობის ორგანოს მიენიჭოს უფლებამოსილება „შეაფასოს აქვეყნებს თუ, არა სახელმწიფო ინფორმაციას სრული მოცულობითა და სიზუსტით კომუნიკაციებზე თვალთვალის საშუალებების გამოყენებისა და მასშტაბების, ასევე უფლებამოსილების შესახებ გამჭვირვალობის ვალდებულებების შესაბამისად...და, რომ გამოაქვეყნოს კომუნიკაციებზე თვალთვალის რელევანტური პერიოდული ანგარიშები და სხვა ინფორმაცია.“⁵⁸ აღნიშნული წარმოადგენს ზედამხედველობის ორგანოების მნიშვნელოვანი როლის აღიარებას იმის საგარანტიოდ, რომ უსაფრთხოების სამსახურები იყოს უფრო გამჭვირვალე, რამაც გავლენა უნდა მოახდინოს უსაფრთხოების სამსახურებში საზოგადოებრივი ნდობის გაზრდაზე (რეკონსტრუქციაზე).

⁵⁸ <https://en.necessaryandproportionate.org/text>, პრინციპი 10.

თავი 4

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არსებული ეროვნული პრაქტიკები

ევროსაბჭოს წევრმა ქვეყნებმა სხვადასხვაგვარი მიდგომები აირჩიეს უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის სისტემების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილდება ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ეროვნულ მიდგომებზე, რომელსაც ახორციელებენ: (i) საპარლამენტო კომიტეტები; (ii) დამოუკიდებელი ზედამხედველობის ინსტიტუტები, რომლებშიც შედიან მაღალკვალიფიციური უსაფრთხოების/სადაზვერვო ზედამხედველობის ორგანოები და ინსტიტუტები უფრო ვრცელი იურისდიქციით, როგორცაა ომბუდსმენები და მონაცემთა/საინფორმაციო კომისიები; და (iii) სასამართლო ორგანოები კვაზისასამართლო ორგანოების ჩათვლით. მთავრობის ხელმძღვანელისა და უსაფრთხოების სამსახურების შიდა მკონტროლებელი მექანიზმების როლის განხილვას უფრო ნაკლები ყურადღება დაეთმობა. ეს თავი დასრულდება არაოფიციალური ზედამხედველების, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოება და მედია, როლს, რისი ილუსტრირება მოხდება მაგალითებით.

უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებული საჩივრების მართვა სხვადასხვა თავშია განხილული, ვინაიდან ევროპის საბჭომ აღნიშნული ფუნქციით მთელი რიგი ზედამხედველობის ორგანოები აღჭურვა. მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო გამოკვლევებს მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაში, წინამდებარე დოკუმენტი მხოლოდ მუდმივი ზედამხედველობის ორგანოებს განიხილავს. ნაცვლად იმისა, რომ განხილული იყოს მთლიანი ეროვნული ზედამხედველობის სისტემები მაგალითები მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის სისტემების გარკვეული ნაწილებიდან. ეს იმასათვის გაკეთდა, რომ წინა

პლანზე განსხვავებული მიდგომები და მოწინავე გამოცდილება იყოს წამოწეული.

არ არსებობს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, რომლის ზედამხედველობის სისტემა სრულად შეესაბამება ყველა იმ საერთაშორისო თუ რეგიონალურ დონეზე დადგენილ პრინციპებსა და მოწინავე გამოცდილებებს, რომლებიც მე-5 თავშია განხილული. ასევე, აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ერთი საუკეთესო მიდგომა უსაფრთხოების სამსახურის ზედამხედველობის სისტემის ორგანიზების თვალსაზრისით. ევროპის საბჭოს ქვეყნებში არსებული განსხვავებული სტრუქტურული სქემები, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემები და ისტორიული კონტექსტები სხვადასხვა მიდგომებს საჭიროებს. შესაბამისად, სიფრთხილეა საჭირო სხვა ქვეყნების გამოცდილების დანერგვისა და შემოტანის დროს. რა თქმა უნდა არსებობს მოდელები და გამოცდილებები, რომლებიც უფრო ეფექტურ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოების სამსახურის აქტივობების დროს ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით. წინამდებარე თავში განხილული იქნება აღნიშნული გამოცდილებები.

4.1 საპარლამენტო კომიტეტები

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის მიზნით ჩამოაყალიბებულია საპარლამენტო კომიტეტები (ქვეკომიტეტები) (მაგ., იტალია, გერმანია და პოლონეთი) ან აღნიშნული ფუნქცია უფრო დიდი უფლებამოსილების მქონე კომიტეტს აქვს გადაცემული, როგორცაა შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოება ან თავდაცვა (მაგ., საქართველო და მონტენეგრო). საპარლამენტო კომიტეტებს შესაძლოა ჰქონდეს საკანონმდებლო ფუნქციები, მაგრამ ეს საკითხი არ შედის წინამდებარე დოკუმენტის სფეროში.

ევროსაბჭოს სივრცეში არის ტენდენცია, რომ უსაფრთხოების სამსახურების საპარლამენტო ზედამხედველობის ფუნქცია გადაეცეს ცალკეულ კომიტეტს, რომელიც ექსკლუზიურად უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობისთვის არსებობს. ზოგიერთმა სახელმწიფომ ჩამოაყალიბა რამდენიმე ზედამხედველობის კომიტეტი; თითოეული კომიტეტი პასუხისმგებელია კონკრეტული უსაფ-

რობების სამსახურზე. მაგალითად, რუმინეთის პარლამენტს აქვს სხვადასხვა ზედამხედველობის კომიტეტი შიდა უსაფრთხოების სამსახურისა და საგარეო დაზვერვის სამსახურისთვის, ასევე ფუნქციონირებს თავდაცვის კომიტეტი, რომლის მანდატიც მოიცავს ორივე სამსახურის სამუშაო ასპექტებს. ასევეა სლოვაკეთშიც, რომელსაც სხვადასხვა კომიტეტი აქვს ჩამოყალიბებული სლოვაკეთის საინფორმაციო სამსახურის და ეროვნული უსაფრთხოების ორგანოს ზედამხედველობისათვის. სამუშაოს ამგვარად განაწილებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სპეციალიზაციის უფრო მაღალ დონეზე აყვანას და კომიტეტის წევრებს შორის ცოდნის დაგროვებას. თუმცა, ამ მიდგომის უარყოფითი მხარე მოიცავს რისკს, რომ გარკვეული საკითხები (როგორცაა ინფორმაციის გაზიარება ორი უსაფრთხოების/დაზვერვის სამსახურებს შორის) აღმოჩნდება ორი ან ორზე მეტი კომიტეტის მანდატის მიღმა (ვენეციის კომისია 2007: §154) და, რომ რესურსები უკეთესად იქნებოდა თავმოყრილი ერთი კომიტეტის განვითარების მიზნით.

მანდატები და ზედამხედველობის სფერო

უმეტესწილად ევროპის საბჭოს ქვეყნებში საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების მანდატები ძალიან ზოგადად არის ფორმულირებული, სადაც მხოლოდ ის არის განსაზღვრული, რომ კომიტეტების ფუნქციას მოცემული დაზვერვის სამსახურებში ზედამხედველობის განხორციელება წარმოადგენს. მაგალითად, საფრანგეთის *Délégation Parlementaire au Renseignement* ევალება სხვადასხვა დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობა *“l’activité générale et les moyens”*. გერმანიაში საპარლამენტო კონტროლის კომიტეტს ევალება უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების⁵⁹ „აქტივობების“ ზედამხედველობა. საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების უმეტესობა კონცენტრირებას ახდენს მთელ რიგ საკითხებზე, რომელშიც შედის პოლიტიკა, სამსახურების ფინანსები და მართვა, ასევე დასრულებული ოპერაციების ზოგიერთი ასპექტი (უილსი და ვერმეულენი 2011:92-95, 102-110, 115-116). კანონთან შესაბამისობის დადგენა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც წარმოიშვება ყველა ზემოაღნიშნულ

⁵⁹ საფრანგეთი 2007: ნაწილი 1

დარგში. თუმცა ზოგიერთ საპარლამენტო კომიტეტს, როგორცაა ლიტვის სეიმას კომიტეტი და ზვერვის ოპერაციების საპარლამენტო შემოწმების შესახებ, აქვს კონკრეტული მანდატი, რათა შეამოწმოს უსაფრთხოების სამსახურის თავსებადობა საკონსტიტუციო უფლებებთან და თავისუფლებებთან (სხვა საკითხებთან დამატებით).⁶⁰

მიუხედავად იმისა, რომ ზედამხედველობის „მასშტაბი“ განსხვავდება საპარლამენტო კომიტეტებს შორის, აღნიშნულ ორგანოებს მათი დანიშნულებიდან გამომდინარე არ შეუძლიათ ოპერატიული აქტივობების რეგულარული, დეტალური ზედამხედველობის განხორციელება, რომლებიც მოიცავს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, გაცვლას და გამოყენებას. გახშირდა შემთხვევები, როცა მსგავსი მონიტორინგი არასაპარლამენტო დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოების მიერ ხორციელდება. ეს უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ამ ტიპის შემოწმება ძალიან დიდ დროს მოითხოვს, უზომოდ სპეციფიურია და საჭიროებს დიდხალ რესურსებს. აღნიშნული მიზეზების გამო, ევროპის საბჭოს ზოგიერთმა ქვეყანამ გადაწყვიტა საპარლამენტო ზედამხედველობას დაუმატონ ოპერატიული აქტივობების უფრო დეტალური, მუდმივად მოქმედი შემოწმების ფუნქცია, განსაკუთრებით კი პერსონალური მონაცემების გამოყენებისა და მართვის კუთხით (იხილეთ ქვემოთ).

რაც შეეხება ზედამხედველობის დროებით ფოკუსს, ევროსაბჭოს ქვეყნების საპარლამენტო კომიტეტები ახორციელებენ ფაქტობრივ (*ex post facto*) ზედამხედველობას, რომლის დროსაც უკვე განხორციელებული საქმეების შესწავლა ხდება. არ არსებობს აშშ-ს გამოცდილების ეკვივალენტი, რა შემთხვევაშიც კონგრესის და ზვერვის კომიტეტების შერჩეულ წევრებს უტარებენ ბრიფინგებს მოსალოდნელი (*ex ante*) ოპერაციებისა და პროგრამების შესახებ. ადამიანის უფლებათა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით არ არის სასურველი ზედამხედველობის ორგანოებმა განახორციელონ მოსალოდნელი (*ex ante*) ზედამხედველობა, ვინაიდან შესაძლოა მათ მოუწიოთ იგივე საქმიანობის ფაქტობრივი განხილვა – მოსალოდნელი რისკია ინტერესთა კონფლიქტის გაჩენა.

⁶⁰ ლიტვა 2002: მუხლი 23

საჩივრების განხილვა

ზოგიერთი საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტებს (მაგ., პოლონეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი) ასევე ევალუბათ უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა.⁶¹ თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათი მხრიდან მოხდეს ეფექტური ზომების მიღება, რასაც *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია* (ECHR) ითხოვს, ვინაიდან ჩვეულებრივ მათ არ შეუძლიათ ვალდებულების დამკისრებელი ბრძანების გაცემა. პრობლემები შესაძლოა წამოიჭრას იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა პოლიტიკური ორგანოები ყველაზე მართებული ადგილები ადამიანთა უფლებათა დარღვევების შესახებ საჩივრების ობიექტურად გამოძიების თვალსაზრისით. არსებობს რისკი, რომ საჩივრების განხილვა პოლიტიზირებული გახდეს და მომჩივანი პირების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდეს, ვინაიდან მმართველი პარტიები ეცდებიან დაიცვან თავიანთი კოლეგები აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

ურთიერთობა კვალიფიციურ ზედამხედველობის ორგანოსთან

საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის თამაში კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოს სამუშაოს მონიტორინგის დროს (იხილეთ ქვემოთ); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზედამხედველობა გაუწიონ ზედამხედველებს. ამ ფუნქციაში შესაძლოა შედიოდეს: (1) კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოსათვის იმ საკითხების დავალება, რომელთა შესასწავლადაც საპარლამენტო კომიტეტებს შესაძლოა არ გააჩნდეთ დრო, რესურსები და შესაბამისი კვალიფიკაცია;⁶² (2) შეაფასონ მათი ეფექტიანობა; აღნიშნული ორგანოების წევრების დანიშვნა; უზრუნველყონ ისინი აუცილებელი უფლებამოსილებითა და რესურსებით; ჩაატარონ მოსმენები მათი ანგარიშების შესახებ და

⁶¹ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: ფორსეზი 2012: 189-190.

⁶² მაგალითად, სნოუდენის მიერ ინფორმაციის გამოაშკარავების შემდეგ, ჰოლანდიის პარლამენტმა მოითხოვა, რომ ჰოლანდიის ზედამხედველობის კომიტეტმა CTIVD სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლოს ჰოლანდიის სამსახურების მიერ განხორციელებული მასობრივი თვალთვალი და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა საკითხები: CTIVD 2014:1.

გაითვალისწინონ (ან მოითხოვონ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან) აღნიშნული ორგანოების მიერ გაკეთებული რეკომენდაციები. ნორვეგიაში, მაგალითად, აღნიშნულ როლს ასრულებს სტორტინგის მუდმივი კომიტეტი შესწავლისა და საკონსტიტუციო საკითხების შესახებ,⁶³ ხოლო ჰოლანდიაში კი – ზედა პალატის დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს პალატის პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეებისაგან შემდგარ სპეციალურ საპარლამენტო კომიტეტს (ვერჰოვენი 2011: 254-255).

საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების დაშვება საიდუმლო ინფორმაციაზე

საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტებს აქვთ დაშვება საიდუმლო ინფორმაციაზე და ხშირ შემთხვევაში მათი უფლებამოსილების სფერო ამ კუთხით აღემატება პარლამენტის სხვა წევრების უფლებამოსილებას (უილსი და ვერმეულენი 2011: 117-121). ზედამხედველობის ორგანოს საინფორმაციო საჭიროება განპირობებულია მათი მანდატით, თუმცა კარგი პრაქტიკაა, როცა საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი ინფორმაცია, თუკი კომიტეტებს მიიჩნიათ, რომ იგი მნიშვნელოვანია მათი მანდატის ფარგლებში სამუშაოს განსახორციელებლად. რაც შეეხება შეზღუდვას (მისი არსებობის შემთხვევაში), შეძლებისდაგვარად დაწვრილებით უნდა იქნას განსაზღვრული. ზედამხედველობის კომიტეტების მაგალითს წარმოადგენენ რუმინეთის გაერთიანებული მუდმივი კომიტეტი რუმინეთის დაზვერვის სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესახებ (შინაგანი უსაფრთხოების სამსახური) და ლატვიის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი, რომლებსაც აქვთ შეუზღუდავი დაშვება ინფორმაციაზე.⁶⁴ გარდა ამისა, სასურველია, რომ საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების დაშვება ინფორმაციაზე გამყარებული იყოს უსაფრთხოების სამსახურების და/ან აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებით. ადამიანთა უფლებათა დაცვის კუთხით განსაკუთრებით მნიშ-

⁶³ დამატებითი ინფორმაციისთვის: ნორვეგია 2014:5.

⁶⁴ იხილეთ უილსი და ვერმეულენი 2011:128-129. რუმინეთის შემთხვევაში შეზღუდვებია ინფორმაციაზე მიმდინარე და სამომავლო ოპერაციების შესახებ.

ენელოვანია მოთხოვნები ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ იმ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე. ამის ბრწყინვალე მაგალითია გერმანია, სადაც ფედერალურმა მთავრობამ 6 თვეში ერთხელ ბუნდენსტაგის კონტროლის კომისიას უნდა წარუდგინოს სია, სადაც მოცემული იქნება გატარებული დაზვერვის ზომები, კერძო კომპანიებისგან ინფორმაციის მიღების მოთხოვნები, პოლიციის საინფორმაციო სისტემაში მიღებული შენგენის განგაშის სიგნალები და სხვა ქვეყნის სუბიექტებისთვის პირადი მონაცემების გადაგზავნის შემთხვევები.⁶⁵

ევროსაბჭოს ზოგიერთ ქვეყანაში არის გარკვეული შიშის ფაქტორი პარლამენტარების გამო, საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების წევრების ჩათვლით, ვინაიდან მათ აქვთ დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებაზე და მითუმეტეს ინფორმაციაზე უსაფრთხოების სამსახურის ოპერაციების შესახებ. მსგავსი დამოკიდებულება დამახასიათებელია პოსტავტორიტარული სახელმწიფოებისათვის და მათთვის, ვისაც პარლამენტში ჰყავთ „სეპარატისტულად“ განწყობილი პოლიტიკური პარტიები. მსგავსი დამოკიდებულების გასაქარწყლებად სხვადასხვაგვარი მექანიზმებია შემუშავებული. ამათგან ყველაზე გავრცელებული საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების პოტენციური წევრების სპეციალური შემოწმებაა, რომლის შემდეგაც შესაძლებელია საიდუმლო მასალაზე დაშვების უფლების მინიჭება.

სხვადასხვა მიზეზის გამო აღნიშნული წარმოადგენს საკამათო პრაქტიკას. პირველ რიგში, ამ მექანიზმის გამოყენებით უსაფრთხოების სამსახურებს შესაძლოა დაევალოს მათი პოტენციური ზედამხედველების შემოწმება, რის შედეგადაც აღნიშნულ სამსახურებს (და აქედან გამომდინარე აღმასრულებელ ხელისუფლებას) ფაქტობრივად ვეტოს დადების უფლება აქვთ საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების წევრების დანიშვნაზე. ასეთი გარემოება შესაძლოა გამოყენებული იქნას მაგალითად, პარლამენტის მომთხოვნი და კრიტიკული წევრის ზედამხედველობის კომიტეტში

⁶⁵ გერმანიის 2011 ა: ნაწილი 14 (1) 1990 ბ: ნაწილი 8 (ა) (გ), 17 (3), 18 (1)(ა). ასევე იხილეთ: უისი და კასმანნი 2011:219-220.

დანიშვნის თავიდან ასაცილებლად. მეორეს მხრივ, საიდუმლო ინფორმაციაზე ნებართვის გაცემით წამოიჭრება უფლებამოსილების საკითხი, ვინაიდან პარლამენტის წევრების მუშაობაზე გავლენის მოახდენა ან მისი შეზღუდვა შესაძლებელი ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის წევრები ამომრჩევლების მიერ არიან შერჩეულები. პარლამენტის წევრების სპეციალური შემოწმების საჭიროების შემთხვევაში კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩათვალოს უსაფრთხოების სამსახურების მიერ შემოწმების ოქმის გაცემა, რომელიც იქნება საკონსულტაციო ხასიათის, ხოლო ზედამხედველობის კომიტეტში პარლამენტარის დანიშვნასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება კი პარლამენტმა უნდა მიიღოს. მაგალითად, უნგრეთში პარლამენტის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული პარლამენტარი დაიკავებს თუ არა თანამდებობას კომიტეტში, შემოწმების პროცესის შედეგის მიუხედავად (ფოლდვარი 2011:231). და ბოლოს, შემოწმების პროცესი აუცილებლად საჭიროებს უსაფრთხოების სამსახურების მიერ პარლამენტის წევრების შესახებ ძალზედ სენსიტიური პერსონალური მონაცემების მოძიებას. შესაძლოა პრობლემა წარმოშვას ამ ტიპის ინფორმაციის მოგვიანებით გამოყენებამ, განსაკუთრებით კი, ისეთ სიტუაციებში, როცა უსაფრთხოების სამსახურები ან პოლიტიკური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე უკმაყოფილოა ზედამხედველობის კომიტეტის კონკრეტული წევრის მიდგომით.

სპეციალური შემოწმების ალტერნატიული საშუალებაა შემუშავებული ევროსაბჭოს სხვადასხვა წევრ ქვეყანაში. გერმანიამ და ესპანეთმა შეიმუშავეს საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტის წევრების შერჩევის ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს მხოლოდ იმ პარლამენტარების დანიშვნასა და მათზე საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების უფლების მინიჭებას, რომლებსაც აქვთ მხარდაჭერა/ნდობა საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან. ორივე ქვეყანაში საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტის პოტენციურმა წევრმა საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან უნდა მიიღოს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა, რათა მოხდეს მისი თანამდე-

ბოზაზე დანიშნა.⁶⁶ მსგავსი მხარდაჭერის შემთხვევაში აღარ არის საჭირო სპეციალური შემოწმების გატარება.

სხვა ქვეყნებში ითხოვენ, რომ ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული ეჭვის გასაქარწყლებლად მხოლოდ საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული კატეგორიის საიდუმლო მასალაზე წვდომა, თუკი ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით. მაგალითად, იტალიის პარლამენტის კომიტეტის წევრებს რესპუბლიკის უსაფრთხოებისათვის შეუძლიათ ხმის მიცემის დროს უმრავლესობის ორი მესამედით გააუქმონ ნებისმიერი სახის სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი (რაც სხვა შემთხვევაში მათ ხელს შეუშლიდა ოპერატიული ინფორმაციის მიღებაში), თუკი მიმდინარეობს დაზვერვის ოფიცრების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის გამოძიება (იტალია 2007: მუხლი 31 (9)). ასევე, უნგრეთის პარლამენტის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტს (რომლის წევრებსაც უნდა ჰქონდეთ საიდუმლო მასალაზე დაშვება) ჩვეულებრივ არ აქვს წვდომა გასაიდუმლოებულ მასალაზე სამუშაო მეთოდების შესახებ, მაგრამ ხმათა უმრავლესობის ორი მესამედით შეუძლიათ გრიფით საიდუმლოს მოხსნა მიმდინარე გამოძიების კონტექსტში (უნგრეთი 1995: ნაწილი 16 (2)). მსგავსი ზომების მიღებით კომიტეტის არაკეთილსინდისიერ წევრებს აღარ ექნებათ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების შესაძლებლობა, თუმცა არსებობს რეალური რისკი იმისა, რომ მმართველმა პარტიებმა ზედამხედველობის კომიტეტებში საკუთარი თანამდებობების გამოყენებით შესაძლოა დაბლოკონ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა და აქედან გამომდინარე ხელი შეუშალონ გარკვეული ქმედებების გამოძიებას.

საპარლამენტო ზედამხედველობის დადებითი და უარყოფითი მხარეები

უსაფრთხოების სამსახურების საპარლამენტო ზედამხედველობის მთავარი უპირატესობები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს. პირველი, ზედამხედველები, როგორც არჩეული წარმომადგენლები, სარგებლობენ დემოკრატიული უფლებით – გულდასმით შეამოწ-

⁶⁶ სანჩო ფერო 2011:269; უითი და კათმანი 2011:219.

მონ უსაფრთხოების სამსახურები მათი ამომრჩევლის სახელით. მეორეს, პარლამენტარებს შეუძლიათ მიმართონ საკანონმდებლო ხელისუფლების ბიუჯეტის დამტკიცების და ხანდახან საბიუჯეტო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების უფლებამოსილებას, რაც აიძულებს აღმასრულებელ და უსაფრთხოების სამსახურებს იმ პოლიტიკებისა და პრაქტიკების შეცვლას, რომლებიც შეუთავსებელია ადამიანის უფლებებთან. და ბოლოს, პარლამენტარებს საუკეთესო პოზიცია უკავიათ იმისათვის, რომ ზედამხედველობა გაუწიონ აღმასრულებელი ხელისუფლების როლს უსაფრთხოების სამსახურების მართვისა და ზედამხედველობის განხორციელებაში. ეს იმით არის განპირობებული, რომ ევროპის საბჭოს ბევრ ქვეყანაში კონსტიტუცია განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე.

თუმცა, არსებობს საპარლამენტო ზედამხედველობასთან ასოცირებული უარყოფითი ფაქტორები.⁶⁷ უმთავრეს ნაკლს წარმოადგენს ის, რომ საპარლამენტო კომიტეტების წევრები ძალიან შეზღუდულები არიან დროის თვალსაზრისით და შესაძლოა გაუჭირდეთ საკმარისი ყურადღების დათმობა უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის გასაწევად. ეს აფერხებს საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების მიერ უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის სიღრმისეულ შესწავლას, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ოპერატიული საქმიანობის კანონიერების შესწავლისას. საპარლამენტო ზედამხედველობის მეორე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომშირ შემთხვევაში პარლამენტარებს არა აქვთ კომპეტენტური ცოდნა უსაფრთხოების სამსახურების შესახებ. ამას ამწვავებს დროის დეფიციტი და ბევრ ქვეყანაში კომიტეტების წევრობის მოკლევადიანი პერიოდი; ამგვარად ვეღარ ხდება ექსპერტიზის დაგროვება. აღნიშნულ სისუსტეს ამწვავებს ის ფაქტი, რომ უსაფრთხოების სამსახურებმა გაზარდეს რთული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც საჭიროებს კარგად გაგებას, რათა სათანადოდ იქნას შეფასებული მათი შესაძლო შედეგები ადამიანთა უფლებებზე.

⁶⁷ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: უილლისი და ვერმუელენი 2011:88-89; და ფარსონი 2012:38-40.

საპარლამენტო ზედამხედველობის ყველაზე მნიშვნელოვან სისუსტეს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით წარმოადგენს ის, რომ შესაძლოა ზიანი მიადგეს უსაფრთხოების სამსახურების ეფექტურ შემოწმებას ზედამხედველობის კომიტეტების პოლიტიზაციის გამო.⁶⁸ პარლამენტარები ხანდახან შეუფერებლები არიან იმისათვის, რომ მათ განახორციელონ უსაფრთხოების სამსახურის მიუკერძოებელი შემოწმება კანონთან თავსებადობის თვალსაზრისით. პარტიულ-პოლიტიკურმა მოსაზრებამ შესაძლოა საპარლამენტო ზედამხედველებს სტიმული მისცეს ან დაიცვან უსაფრთხოების სამსახურები და მთავრობის მეთაურები კრიტიკული შემოწმებისგან ან უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის კანონიერების (და ეფექტურობის) უზრუნველყოფის ნაცვლად ზედამხედველობა განახორციელონ ოპონენტებისათვის პოლიტიკური ზიანის მიყენების მიზნით. მაშინაც კი, როცა ზედამხედველობის კომიტეტებს თავმჯდმარეობას უწევს ოპოზიციის წევრები, მმართველ პარტიებს პოტენციურად შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი უმრავლესობა ზედამხედველობის კომიტეტებთან მიმართებაში, რათა შეზღუდონ უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის იმ ასპექტების შემოწმება, რომლებიც შესაძლოა პოლიტიკურად ზიანის მომტანი იყოს. ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმ ქვეყნებში, სადაც უსაფრთხოების სამსახურები კვლავ გამოიყენება და მოიაზრება, როგორც მთავრობაში პოლიტიკური პარტიის/პირის იარაღად.⁶⁹

სხვა შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტები

წინამდებარე თავი ეძღვნება ზედამხედველობის კომიტეტებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ ჩამოაყალიბა ქვეკომიტეტები სათანადო მანდატით უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის კონკრეტული ასპექტების ზედამხედველობის მიზნით. მაგალითებში შედის ესპანეთის კორტესის საიდუმლო ფონდების კომიტეტი და გერმანიის ბუნდესტაგის კონფიდენციალური კომიტეტი. ორივე კომიტეტი პასუხისმგებელია უსაფრთხოების სამსახურების ბიუჯეტების/ფინანსების შემოწმებაზე.⁷⁰ საბიუჯეტო ზედამხედვე-

⁶⁸ მაგალითისთვის იხილეთ: მარტი 2011: § 45.

⁶⁹ ადამიანის უფლებათა კომისარი 2013 a : §12; UNHCHR 2014 § 38.

⁷⁰ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: უილლისი 2012 a: 163-164; სანჩეს ფერრო 2011:271.

ლობა შესაძლოა პირდაპირ კავშირში არ არის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი ურთიერთდამოკიდებულება, ვინაიდან ხშირად ფინანსური პრაქტიკები პროგრამებისა და ოპერაციების მართებულობის ნიშანია. საქმიანობები, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევს, ხშირად ტოვებენ ფინანსურ ანაბეჭდს, რომელთა ანალიზს შეუძლია ინფორმაციის მოწოდება აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული კომიტეტების (სათანადო მანდატებით) გარდა ბევრ პარლამენტს აქვს სხვა სახის კომიტეტებიც, რომელთა კომპეტენციების სფეროები უსაფრთხოების სამსახურის პოლიტიკას ან საქმიანობას მოიცავს. კარგ მაგალითს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის გაერთიანებული კომიტეტი ადამიანის უფლებების შესახებ და მათი მუშაობა. მაგალითად, კომიტეტმა უსაფრთხოების სამსახურის პოლიტიკა მოიაზრა უფრო ვრცელი თემატური გამოძიების და საკანონმდებლო შემოწმების კონტექსტში ისეთ საკითხებზე, როგორცაა ტერორიზმთან ბრძოლა, სასამართლოებზე საიდუმლო მასალების გამოყენების პროცედურები და ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებები, როცა საქმე აქვთ იმ ქვეყნებთან სადაც ხშირად ხდება ადამიანის უფლებათა შელახვა.⁷¹ აღნიშნული „ზოგადი“ კომიტეტების მიერ განხორციელებული ზედამხედველობის ძირითად შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი არ სარგებლობენ იგივე უფლებებით ინფორმაციაზე დაშვების კუთხით, როგორც სპეციალური ზედამხედველობის კომიტეტები და მათ ასევე შესაძლოა აკლდეთ ზედამხედველობის კომიტეტების კომპეტენტურობა უსაფრთხოების საკითხებში.

4.2 დამოუკიდებელი ზედამხედველობის ინსტიტუტები

უსაფრთხოების/დაზვერვის კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები

კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები წარმოადგენენ არასაპარალმენტო ორგანიზაციას, რომლებიც შექმნილია კონკრეტულად უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის გასაწევად.

⁷¹ იხილეთ: www.parliament.uk/business/committees/committees-a-z/joint-select/human-rights-committee/, accessed 28 March 2015.

იზრდება ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც კვალიფიციური უსაფრთხოების/დაზვერვის ზედამხედველობის ორგანოები ჩამოაყალიბეს, მას შემდეგ რაც გაათვითცნობიერეს მიმდინარე, კვალიფიციური, არაპარტიული ზედამხედველობის ფასი. აღნიშნული ორგანოების მანდატის ფარგლებში მოწმდება უსაფრთხოების საქმიანობისა და პოლიტიკის კანონიერება, და მათი ადამიანის უფლებათა კანონთან თავსებადობა. მაგალითად, ასე ხდება ნორვეგიაში, ჰოლანდიასა და პორტუგალიაში.⁷² თუმცა, გამონაკლისს წარმოადგენს ბელგიის მუდმივი დაზვერვის სააგენტოების ზედამხედველობის კომიტეტი (კომიტეტი I), რომელსაც აქვს ძალიან ვრცელი მანდატი. აღნიშნული კომიტეტი ასევე ამოწმებს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ეფექტურობას და უსაფრთხოების სამსახურებს შორის კოორდინაციას.⁷³ საპარლამენტო კოლეგებისაგან განსხვავებით კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები კონცენტრირებას ახდენენ უმთავრესად ან ექსკლუზიურად უსაფრთხოების სამსახურებზე და არა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ აღნიშნული სამსახურების მართვაზე.

საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტებისგან განსხვავებით კვალიფიციური ორგანოები მუშაობენ (თითქმის) სრული განაკვეთით. ეს ძირითადად იმაზე მიუთითებს, რომ მათ მიერ განხორციელებული შემოწმება უფრო დეტალური და სიღრმისეულია, ვიდრე მათი საპარლამენტო კოლეგების. სრულგანაკვეთიანი, მიმდინარე ზედამხედველობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სამსახურის სამუშაოს კანონიერების შესამოწმებლად, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა რთულია, მოითხოვს დიდ დროს და დეტალებზე ყურადღების გამახვილებას. იმ ქვეყნებში, სადაც კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები უსაფრთხოების სამსახურების ყოველდღიურ შემოწმებას ახორციელებენ უსაფრთხოების სამსახურების გარე ზედამხედველობის ჩატარებისას ისინი მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ. ასე ხდება მაგალითად, ჰოლანდიაში,

⁷² პორტუგალია 2004: მუხლი 9 (1); ნორვეგია 1995:s 2; ჰოლანდია 2002: მუხლი 64 (2).

⁷³ ბელგია 1991: მუხლი 33; ასევე იხილეთ: <http://comiteri.be/images/pdf/engels/w.toezicht%20-%20l.control.pdf>; Committee I's website: <http://comiteri.be/>, both accessed 28 March 2015.

ბელგიაში, ხორვატიაში, ნორვეგიაში, შვედეთსა და პორტუგალიაში.⁷⁴

წევრობა

კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოების წევრების რაოდენობა ერთიდან ხუთამდე მერყეობს და მათ ყოველთვის აქვთ იურიდიული ცოდნა. ხშირად წევრები არიან ყოფილი მოსამართლეები, ყოფილი პროკურორები და ყოფილი პოლიტიკოსები. აღნიშნული ხალხი, როგორც წესი გადიან სპეციალურ შემოწმებას სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მიზნით. კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოს მიდგომის ერთერთ მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზედამხედველებს (თეორიულად, თუმცა პრაქტიკაში ყოველთვის ასე არ ხდება) არჩევენ მათი გამოცდილებისა და კომპეტენტურობის საფუძველზე. ასე არ ხდება ხოლმე საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების შემთხვევაში.

წესდებას ან მიღებულ პრაქტიკას შეუძლია განსაზღვროს კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ თუ არა წევრები გარკვეული გამოცდილებითა და კომპეტენციით. მაგალითად, ჰოლანდიაში დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის კომიტეტმა (CTIVD) შეიმუშავა პრაქტიკა, რომლის შესაბამისად კომიტეტის წევრების შემადგენლობაში შედიან ყოფილი ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები, გარდა ამისა შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ ორი წევრი იურიდიული განათლებით.⁷⁵ ზოგიერთი ზედამხედველობის საქმიანობისა და დაზვერვის სამუშაოს პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე გარკვეულ კვალიფიციურ ორგანოებს, როგორცაა ნორვეგიის EOS-Utvalget კომიტეტი, თავიანთ შემადგენლობაში შეჰყავთ ყოფილი პარლამენტარები და მინისტრები, ასევე წევრები იურიდიული გამოცდილებით. ხორვატიამ ძალიან საინტერესო მიდგომა გამოიყენა, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოებისა და დაზვერვის ორგანიზაციების სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს შემადგენლობაში იმ პირების

⁷⁴ პორტუგალია: www.cfsirp.pt/; დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: www.ennir.be/portugal/intelligence-review-portugal-0, მისაწვდომობა 28 მარტი 2015.

⁷⁵ CTIVD website: www.ctivd.nl/?English, მისაწვდომობა 28 მარტი, 2015

შეყვანას, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ პოლიტიკური მეცნიერებების, სამართალისა და ელექტრო-ტექნიკურ დარგებში.⁷⁶ აღნიშნული ორგანოს ყოფილ წევრებში შედიან სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა კამპანიის მონაწილეები. ზედამხედველობის პროცესში განსხვავებული გამოცდილების ხალხის ჩართვა კონკურენტული და კრიტიკული შეხედულებების წარმოდგენას უზრუნველყოფს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ზედამხედველობის ორგანოებისადმი საზოგადოების რწმენის გაზრდას.⁷⁷

კვალიფიციური ორგანოები შესაძლოა დაინიშნოს პარლამენტის (მაგ., ნორვეგიის EOS-Utvalget კომიტეტი და პორტუგალიის რესპუბლიკის დაზვერვის სამსახურების ზედამხედველობის საბჭო), აღმასრულებელი ხელისუფლების (მაგ., დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურების კომისარი და შვედეთის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების დაცვის კომისია) ან ორივეს მიერ (მაგ., ჰოლანდიის CTIVD).

ვინაიდან კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოების წევრები არ არიან მოქმედი პარლამენტარები, ამიტომ ხანდახან მიჩნეულია, რომ მათ აკლიათ დემოკრატიული ლეგიტიმურობა. მსგავსი დამოკიდებულების შესაცვლელად და ხალხის დასარწმუნებლად, რომ კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები დამოუკიდებლები არიან აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, სასურველია პარლამენტის ჩართვა აღნიშნული ორგანოების წევრების შერჩევისა და დანიშვნის პროცესებში. საკანონმდებლო ორგანოსთან კავშირი შესაძლოა განმტკიცდეს, თუკი ისინი პარლამენტის შესაბამის კომიტეტს პირდაპირ ჩააბარებენ ანგარიშს. ასე ხდება ბელგიაში, სადაც კომიტეტის I-ის მუშაობას ზედამხედველობას უწევს წარმომადგენლების პალატის კომიტეტი.

⁷⁶ ხორვატია 2006: მუხლი 110 (2); დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Cvrtila 2012.

⁷⁷ მაგალითისთვის იხილეთ დიდი ბრიტანეთის საიდუმლო დავერვის სამსახურის მეთაურის კომენტარები: (ნორთონ-თეილერი 2015).

მუშაობის სფერო

კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები ჩვეულებრივ უფლებამოსილები არიან განახორციელონ უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის კანონიერების შემოწმება, რაც ასევე მოიცავს უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენებას. ადამიანის უფლებებთან თავსებადობის შესაფასებლად საჭიროა შემოწმდეს:

- მონაცემების შეგროვების უფლებამოსილება;
- ინფორმაციის მოპოვების პროცესი (სანქციებთან თავსებადობის ჩათვლით);
- ზომების მისაღებად უფლებების ხელახალი მინიჭება;
- უსაფრთხოების სამსახურების მიერ მონაცემების შენახვა, გამოყენება და გაზიარება;
- მოთხოვნები მოპოვებული მონაცემების მინიმუმადე დაყვანის და/ან წაშლის შესახებ; და
- მოთხოვნები, რომლის შესაბამისად უნდა მოხდეს იმ პირების შეტყობინება, რომლებიც თვალთვალის ობიექტებს წარმოადგენენ (სადაც დასაშვებია მსგავსი მოთხოვნა).

ზემოაღნიშნული სფეროს მქონე კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოს მაგალითებში შედიან გერმანიის G10 კომისია, ჰოლანდიის CTIVD და შვედეთის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების დაცვის კომისია (SIN).⁷⁸ ზოგიერთ კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოებს მოქმედების უფრო ვიწრო სფერო აქვთ, რადროსაც აქცენტი კეთდება მონაცემთა მოპოვებისა და გამოყენების ასპექტებზე. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ფარული მოსმენების კომისარი და დაზვერვის სამსახურების კომისარი ფოკუსირებას უმთავრესად უფლებამოსილებაზე აკეთებენ. შვედეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ინსპექტორი ზედამხედველობას უწევს საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების ფარულ მოსმენებს და აღნიშ-

⁷⁸ გერმანია 2001a: ნაწილი 15 (5); კამერონი 2011:280.

ნული ფარული თვალთვალის საშუალებით მოპოვებული მონაცემების რაოდენობასა და მათ მინიმუმადე დაყვანას.⁷⁹

ინფორმაციაზე წვდომა და საგამომძიებლო უფლებამოსილება

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობის თანახმად კვალიფიციურ ზედამხედველობის ორგანოებს აქვთ სრული დაშვება იმ ინფორმაციაზე, რომლებსაც მიიჩნევენ რელევანტურად თავიანთი მანდატის განსახორციელებლად; ინფორმაციის წყაროს არა აქვს მნიშვნელობა.⁸⁰ უცხოური ორგანოებისგან დიდი რაოდენობის ინფორმაციის მიღების ფაქტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოების ინფორმაციაზე წვდომა არ შემოიფარგლებოდეს, მხოლოდ იმ ინფორმაციით, რომელსაც მოიპოვებს მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი უსაფრთხოების სამსახურები, რაც იმას ნიშნავს, რომ კვალიფიციურ ზედამხედველობის ორგანოებს არ შეეძლებოდათ უცხოური წყაროების მიერ მოპოვებული ინფორმაციის ნახვა. დღესდღეობით უსაფრთხოების სამსახურები უფრო მეტად თანამშრომლობენ უცხოელ პარტნიორებთან, ვიდრე ოდესმე და თავიანთ ფაილებში უცხოური სამსახურების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ინახავენ. აღნიშნული ინფორმაციის დამალვით შესაძლებელი ხდება ოპერაციებისა და საქმიანობების „დაცვა“ დამოუკიდებელი შემოწმებისგან. ამის გათვალისწინებით ზედამხედველობის გარკვეულმა ორგანოებმა განაცხადეს, რომ წესი მესამე მხარის შესახებ არ ვრცელდება მათზე, ვინაიდან კანონით აქვთ მინიჭებული მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სამსახურების/აღმასრულებელი ორგანოს მფლობელობაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომა.⁸¹

ინფორმაციაზე წვდომა შესაძლოა გამყარებული იყოს საგამომძიებლო უფლებამოსილებით, რაშიც შედის სასამართლოში მოწმის სახით გამოძახებისა და შეტყობინების გარეშე დაწესებულებების შე-

⁷⁹ ბიგო და სხვა 2013:61;კამერონი 2011:281.

⁸⁰ მაგალითად, დიდი ბრიტანეთი 2000: ნაწილი 58 (1)(2) და 60 (1); ჰოლანდია 2002: ნაწილი 73 (1); ნორვეგია 1995: ნაწილი 4.

⁸¹ მაგალითად: ნორვეგია 2014: ლაეთემი 2011:199; უილსისი და ვერმეულენი 2011:125.

მოწმების უფლება.⁸² ბელგიის კომიტეტ I-ს სპეციალურად აქვს გამოყოფილი საგამომძიებლო სამსახური, რომლის გამომძიებლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ პოლიციის უფლებამოსილება. (ბელგია 1991: მუხლი 45,49). ეფექტური ზედამხედველობის სხვა მეთოდს წარმოადგენს დაზვერვის სამსახურის სისტემებისა და მონაცემთა ბაზების პირდაპირი წვდომის უფლება, უსაფრთხოების სამსახურის დაწესებულებებში არსებული ოფისების საშუალებით. აღნიშნულ უფლებამოსილებას იყენებენ ნორვეგიის EOS-Utvalget კომიტეტი და ჰოლანდიის CTIVD.⁸³ ეს მეთოდი ზედამხედველებს საშუალებას აძლევს კონკრეტული გამოძიების კონტექსტში უშუალოდ გამოიკვლიონ ყველა დოკუმენტი, სისტემა ან კორესპონდენცია. ამის შედეგად, უსაფრთხოების სამსახურებს სირთულე ექმნებათ რაიმე დამალონ შემოწმებისგან. მსგავსი მეთოდები ზედამხედველობის ორგანოს კანონიერი მანდატის ფარგლებში უნდა გამოიყენებოდეს.

კიდევ ერთი მეთოდი/უფლებამოსილება, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ტექნიკური საკითხების შესახებ რჩევის მისაცემად დამოუკიდებელი ექსპერტის (რომელსაც გავლილი აქვს უსაფრთხოების შემოწმება) მოწვევის უფლებაა. უსაფრთხოების და დაზვერვის ტექნოლოგიები ძალზედ გართულდა, აქედან გამომდინარე უფრო ღრმა ტექნიკური ცოდნაა საჭირო იმ სისტემების შესამოწმებლად და გამოსაკვლევად, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის შესაგროვებლად, დასამუშავებლად და შესანახად (პერსონალური მონაცემების ჩათვლით). ადამიანის უფლებებზე აღნიშნული ტექნოლოგიების შედეგების სრულად შეფასება შეუძლებელია მსგავსი ექსპერტიზის გარეშე. აღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ზედამხედველობის ორგანოს კანონით აქვს მინიჭებული უფლება, რომ რეგულარულად ისარგებლონ ტექნოლოგიური ექსპერტების რჩევებით.⁸⁴

⁸² ჰოლანდიან 2002: მუხლი 74; ბელგია 1991: მუხლი 48(2); ევროპის ქვეყნებში საგამომძიებლო უფლებამოსილების შესახებ მოკლე ინფორმაციისათვის იხილეთ უილლისი და ვერმეულენი 2011: 134-135.

⁸³ ვერჰოუენი 2011: 257; ნორვეგია 2014:5.

⁸⁴ ნორვეგია 2012, ნორვეგია 2013 და ნორვეგია 2014; ასევე იხილეთ: უითი და კატმანნი 2011:221; კამერონი 2011.

საჩივრების მართვა

ევროსაბჭოს ზოგიერთმა ქვეყანამ კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოებს დაავალეს უსაფრთხოების სამსახურთან დაკავშირებული (თვალთვალისა/ან პერსონალური მონაცემების გამოყენების ჩათვლით) საჩივრების განხილვა. მაგალითებში შედის ბელგიის კომიტეტი I, შვედეთის SIN და ნორვეგიის EOS-Utvalget კომიტეტი. უსაფრთხოებაზე არაორიენტირებული ორგანოების მიერ საჩივრების განხილვისგან განსხვავებით, მაგ., ომბუდსმენი, კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოებს აქვთ იმის უპირატესობა, რომ მათ თანამშრომლებს აქვთ უფრო მეტი კონტექსტუალური ცოდნა სხვა ზედამხედველობის ფუნქციებიდან გამომდინარე, რაც შესაბამისად ხელს უწყობს საჩივრების მოგვარებას. ამ ორგანოებს აქვთ (უნდა ჰქონდეთ) დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებაზე და ასევე პროცედურები და გამოცდილება მათი მართვის შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს საჩივრების ეფექტურ მართვას და დიდი უპირატესობით სარგებლობს საჩივრების მართვის არასპეციალიზებულ დაწესებულებებთან შედარებით, როგორცაა ომბუდსმენები (ფორსიზი 2012:186). ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საჩივრის გამოძიების დამთავრების შემდეგ კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოებს არა აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლება. როგორც წესი, მათ შეუძლიათ სამსახურებისათვის და მთავრობის მეთაურისათვის რეკომენდაციების გაცემა, და არა გადასახადისა თუ კომპენსაციის დაწესება ან პერსონალური მონაცემების წაშლა/შესწორება.⁸⁵ მაგალითად, შვედეთში SIN-ს შეუძლია დაადგინოს, რომ მომჩივანის პერსონალური მონაცემები არ იყო გადამუშავებული კანონის შესაბამისად. თუმცა, SIN-ს ამ შემთხვევაში კომპენსაციის გადახდის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად მომჩივანის გადამისამართება იუსტიციის კანცლერთან მოუწევს. საჭიროების შემთხვევაში კი, შესაძლოა პერსონალური მონაცემების წაშლის მოთხოვნით მონაცემთა დაცვის ორგანოს გადასცეს საქმე (კამერონი 2011: 284).

⁸⁵ აღნიშნული საკითხის განსახილველად იხილეთ: ფორსიზე 2012: 192-193; ჰერნესი 2008: 81-82.

არაოფიციალური რეკომენდაციების გაკეთება არ არის საკმარისი მომჩივანის დასაკმაყოფილებლად. პერსონალური მონაცემის წაშლისა ან შესწორების და/ან კომპენსაციის გადახდის მოთხოვნა წარმოადგენს ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და ასევე აუცილებელ პრაქტიკას უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების დროს დაშვებული უკანონობის შემთხვევაში. უმეტესად კვალიფიციურ ზედამხედველობის ორგანოებს არ შეუძლიათ იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებების მიღება, ამიტომ აუცილებელია, რომ იმ ხალხისთვის, რომლის უფლებებიც შეილახა უსაფრთხოების სამსახურების მიერ, პარალელურად ან მოგვიანებით ხელმისაწვდომი იყოს გარკვეული ორგანო, რომელსაც შეუძლია ზემოხსენებული გზებით პრობლემის მოგვარება. საკითხის გადაწყვეტის გზის ძიების დროს, სასურველია ზედამხედველობის სისტემის გათვალისწინება.

ომბუდსმენები

ევროპის სივრცეში ომბუდსმენების მანდატები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან და უმეტესობას არ უკავია მნიშვნელოვანი როლი უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის განხორციელებაში. ბევრ ქვეყანაში არის იმის საშუალება, რომ ომბუდსმენმა გამოიძიოს საჩივრები უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, მაგრამ ამას იშვიათად ახორციელებენ პრაქტიკაში. თუმცა, ომბუდსმენებს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლიათ უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებული საჩივრების მართვის დროს. მათ ასევე შეუძლიათ საკუთარი ინიციატივით დაიწყონ გამოძიება უსაფრთხოების სამსახურებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც არა აქვთ კვალიფიციური უსაფრთხოების/დაზვერვის ზედამხედველობის ორგანოები ან ძლიერი საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტები.

ომბუდსმენის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სერბეთის მოქალაქეთა დამცველი, რომელიც აქტიურ როლს თამაშობს უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაში. აღნიშნული ორგანო იკვლევს უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებულ საჩივრებს, აქტიურ როლს თამაშობს საკუთარი ინიციატივით უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის გამოძიების დაწყებაში და წარ-

მატებით ახორციელებს უსაფრთხოების სამსახურის შესახებ კანონების გასაჩივრებას საკონსტიტუციო სასამართლოში.⁸⁶ სერბეთის მაგალითმა გვაჩვენა, რომ ომბუდსმენების აღჭურვა კანონის გასაჩივრების უფლებამოსილებით, სასარგებლოა ადამიანის უფლებათა დაცვისთვის. ომბუდსმენს უკეთესი პოზიცია უკავია ვიდრე ცალკეულ პირებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს მსგავსი გასაჩივრების განსახორციელებლად. ჰოლანდიის ომბუდსმენი ასევე მართავს საჩივრებს უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების შესახებ, მაგრამ მომჩივანე პირს შეუძლია მიმართოს ომბუდსმენს მხოლოდ მას შემდეგ, როცა საჩივარი აღძრულია შესაბამის სამინისტროში და მიღებული პასუხი არ არის დამაკმაყოფილებელი.

როგორც სხვა კვალიფიციური უსაფრთხოების/დაზვერვის ზედამხედველობის ორგანოების შემთხვევაში ომბუდსმენის მოდელის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ აღნიშნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ მხოლოდ რეკომენდაციების გაცემა. ეს არ არის საკმარისი იმ შემთხვევების დროს, როცა ადგილი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევას და როცა ადამიანი იმსახურებს პრობლემის ეფექტურ მოგვარებას.

მონაცემთა დაცვის ორგანოები (DPAs) და საინფორმაციო კომისიები

მონაცემთა დაცვის ორგანოები (DPAs) და საინფორმაციო კომისიები წარმოადგენენ დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოებს, რომლებიც ვალდებული არიან შეამოწმონ მონაცემთა დაცვის და/ან ინფორმაციის ხელმისაწვდომლობის თავსებადობა კანონმდებლობასთან. ხშირად აღნიშნული ფუნქციები ერთი ორგანოს მიერ ხორციელდება.

DPAs ზედამხედველობის მასშტაბი უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური ინფორმაციის გამოყენებაზე დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე – ვრცელდება თუ არა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა უსაფრთხოების სამსახურებზე; DPAs მანდატი მოიცავს თუ არა უსაფრთხოების სამსახურებს, ადამიანთა უფლებების

⁸⁶ მაგალითისთვის იხილეთ: სერბეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა პროტექტორი 2010; მაგალითისთვის იხილეთ: სერბეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა პროტექტორი 2014; 14-15, 207-211.

შეზღუდვის საკითხებს უსაფრთხოების სამსახურების მფლობელობაში არსებული ინფორმაციის წვდომაზე. ასევე არის თუ არა მისთვის შეზღუდული საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა. ევროპის 29-ე მუხლით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ევროპის ქვეყნებში ძალიან იშვიათი შემთხვევაა, როცა მონაცემთა დაცვის ორგანოები უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე ახორციელებენ ზედამხედველობას და ხშირად ისინი ამ სფეროდან სრულიად არიან გამორიცხვნილები. თუმცა, მონაცემთა დაცვის გარკვეულ ორგანოებს აქვთ მანდატი უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე და/ან უსაფრთხოების სამსახურების ინფორმაციის მიღების მოთხოვნებზე განახორციელონ ზედამხედველობა (მუხლი 29 2014 ა: §§ 9-10).

მონაცემთა დაცვის ორგანოების როლმა შესაძლოა მოიცვას უსაფრთხოების სამსახურების მფლობელობაში არსებული პერსონალური მონაცემების წვდომაზე ინდივიდუალური მოთხოვნების მართვისა და მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება. მათ საკუთარი ინიციატივით შეუძლიათ უსაფრთხოების სამსახურების მიერ მონაცემთა მართვისა/დამუშავების პროცესის გამოძიებისა და შემოწმების ჩატარება. მაგალითად, გერმანიის მონაცემთა დაცვის ფედერალური კომისარი ამოწმებს უსაფრთხოების სამსახურების თავსებადობას მონაცემთა დაცვის კანონთან, გამონაკლისს წარმოადგენს თვალთვალის გზით მოპოვებული ინფორმაცია (რომელიც წარმოადგენს სხვა ორგანოს სფეროს, როგორცაა G 10 კომისია); კომისარის ორწლიანი ანგარიში აღნიშნულ საკითხებს მოიცავს (უისი და კათმანნი 2011:227). სლოვენისა და სერბეთის საინფორმაციო კომისიები ანალოგიურ სამეთვალყურეო როლს ასრულებენ.⁸⁷

ხშირ შემთხვევაში ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურებზე არ ვრცელდება კანონმდებლობა ინფორმაციის თავისუფლების/ინფორმაციის ხელმისაწვდომლობის შესახებ (ჯაკობსენი 2013:9-10). ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების წევრებს არ შეუძლიათ მოითხოვონ წვდომა გარკვეულ დოკუმენტებზე და საინფორ-

⁸⁷ სლოვენის საინფორმაციო კომისარი: www.ip-rs.si/?id=195 accessed 28 March 2015;; სერბეთის საინფორმაციო კომისარი www.poverenik.rs/index.php, accessed 28 March 2015; ასევე იხილეთ პეტროვიჩი 2012:21-23.

მაციო კომისრებს არა აქვთ უფლებამოსილება რეკომენდაცია გაწიონ ან მოითხოვონ კონკრეტული ინფორმაციის გასაჯაროება. შვეიცარია წარმოადგენს იმ ქვეყნის მაგალითს, სადაც უსაფრთხოების სამსახურზე არ ვრცელდება განთავისუფლებული კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. ახლახან ფედერალურმა ადმინისტრაციულმა ტრიბუნალმა დაადასტურა, რომ ის ინფორმაციაც კი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც საიდუმლო გასაჯაროებას ექვემდებარება.⁸⁸ აღნიშნული განცხადება გაკეთდა ჟურნალისტის მიერ აღძრული საქმის დროს, რომელიც ითხოვდა დაზვერვის სამსახურების მიერ მომზადებულ შემაჯამებელ მოხსენებებზე დაშვებას. ფედერალური მონაცემთა დაცვა და საინფორმაციო კომისარი ზედამხედველობას უწევს საზოგადოების მიერ ინფორმაციის მოთხოვნის მართვის პროცესს. ასევე ხდება სლოვენიაში, სადაც საინფორმაციო კომისარი ამოწმებს უსაფრთხოების სამსახურის არგუმენტაციას ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის შეკავების შესახებ და შესაძლოა გასცეს ბრძანება გრიფით საიდუმლოს მოხსნის თაობაზე. (ჯაკობსენი 2012:17).

საბოლოოდ, სლოვენიისა და სერბეთის საინფორმაციო კომისრები იყენებენ თავიანთ თანამდებობებს საჭიროების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოებზე მონაცემთა შენახვის და თვალთვალის შესახებ კანონმდებლობის გასასაჩივრებლად. ეს პრაქტიკა წარმოადგენს დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოების შესაძლებლობის ბრწყინვალე მაგალითს, როცა აღნიშნული ორგანოები ამოწმებენ არამართო ადამიანის უფლებათა თავსებადობას უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან, არამედ ასევე იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რასაც აღნიშნული სამსახურები ეფუძვნება.

4.3 სასამართლო ორგანოები

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოებს შეუძლიათ შეამოწმონ უსაფრთხოების სამსახურების ქმედებები და შედეგები და შესაბამისად გამოიტანონ განაჩენი, წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილდება სასამართლო ორგანოების როლზე უსაფრთხოების სამსახურების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების-

⁸⁸ სტროლი 2014; გოუმაზი 2014.

ათვის ნებართვის გაცემაზე. ასევე - უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობებზე შესულ საჩივრებზე განაჩენის გამოტანაზე.

საჩივრები უსაფრთხოების სამსახურების წინააღმდეგ

უსაფრთხოების სამსახურების მიმართ პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში ევროპის საბჭოს ბევრი ქვეყანა ცალკეულ პირს საქმის აღძვრას სთავაზობს პრობლემის გადასჭრელად. საქმის აღძვრა შესაძლებელია უფრო იოლი იყოს, როცა ადამიანს სურს გაასაჩივროს დაჭერა, დაკითხვა ან დაკავება. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა (იხილეთ ნაწილი 2.4 საქმის სამართლიანი განხილვის უფლების შესახებ) ხშირად უსაფრთხოების სამსახურების წინააღმდეგ გასაჩივრების პროცესი ფერხდება. კიდევ უფრო რთულია სასამართლოების გამოყენება უსაფრთხოების სამსახურის მიერ თვალთვალის და მონაცემების გამოყენების გასაჩივრების დროს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ადამიანმა არც კი იცის, რომ უფლებების დარღვევა ხდება (ვენეციის კომისია 2007: § 243). გასაჩივრება შესაძლოა მოხდეს იმ შემთხვევაში თუკი ადამიანი აღნიშნული ქმედებების შესახებ გაიგებს შემთხვევით, მაგ., „განგაშის ამტეხისგან“ ან სხვა კანონიერი პროცედურების საშუალებით. ხანდახან არსებობს მკაფიო შეზღუდვები იმ პირებზე, რომლებიც ცდილობენ საიდუმლო თვალთვალი გაასაჩივრონ სასამართლოში, მანამდე სანამ მათ არ აცნობებენ, რომ ისინი ინტერესის ობიექტებს წარმოადგენენ (გერმანია 2001 a: თავი 13).

დიდმა ბრიტანეთმა ჩამოაყალიბა სპეციალური სასამართლო ორგანო - საგამოძიებო უფლებამოსილების ტრიბუნალი (IPT), რომელსაც ევალება თვალთვალისა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ საჩივრების მართვა.⁸⁹ მას აქვს განსაკუთრებული იურისდიქცია აღნიშნული მოთხოვნების შესახებ გადაწყვეტილების გამოსატანად. ამ მოდელის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ (სავარაუდოდ) მას შეუძლია გამოიძიოს თვალთვალთან დაკავშირებული პრეტენზიები, მაშინაც კი, როცა თვალთვალი კვლავ მიმდინარეობს და გამოსცეს გარნკარგულება, თუკი დადგინდება უკანონო ღონისძიებები.

⁸⁹ დიდი ბრიტანეთი 2000: თავი 65-67; IPT ვებ-საიტის სანახავად იხილეთ www.ipt-uk.com/, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

2015 წელს ტრიბუნალმა პირველად გამოიტანა გადაწყვეტილება უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების წინააღმდეგ, როცა აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო დაზვერვის გაზიარების ასპექტები არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებს და არ იყო „თავსებადობა კანონთან“⁹⁰. მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა აღნიშნული ტრიბუნალის მოდელს გააჩნია თავისი ნაკლოვანი მხარეები, რის გამოც მოხდა ტრიბუნალის გაკრიტიკება.⁹¹ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მომჩივნებს შესაძლოა არ აცნობონ სასამართლო მოსმენების შესახებ. მათ არა აქვთ ავტომატური უფლება დაესწრონ მოსმენებს ან მათ მიერ არჩეული ადვოკატები იცავდნენ მათ ინტერესებს, შესაძლოა არგუმენტირებული არ იყოს მიღებული გადაწყვეტილება და IPT გადაწყვეტილებები არ ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას ან სასამართლო გარჩევას.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენების ნებართვა

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა უსაფრთხოების სამსახურებისგან მოითხოვს სასამართლო ნებართვას იმ ზომების გამოყენებისას, რომლებიც პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება. გამონაკლისს წარმოადგენენ დიდი ბრიტანეთი და ჰოლანდია (აღმასრულებელი ხელისუფლების ნებართვა), პოლონეთი (მოსამართლისა და დამოუკიდებელი გენერალური პროკურორის ნებართვა, რომელიც არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი)(პოლონეთი 2002: 27-ე მუხლი), ბელგია და გერმანია (კვაზისასამართლო ნებართვა) და რუმინეთი (სპეციალური პროკურორების ნებართვა).⁹²

ღონისძიებების სახეობები, რომლებიც საჭიროებენ ნებართვის აღებას ერთმანეთისგან განსხვავდებიან, თუმცა ისინი ჩვეულებრივ მოიცავენ: კომუნიკაციების მიზნობრივ მოსმენებს (როცა თავიდანვეა ცნობილი ის პიროვნება/ორგანიზაცია, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული მოსმენა), საკუთრების ჩხრეკისა და ამოღების და საცხოვრებელ ადგილებში მოსასმენი აპარატების დაყენებას. ამ-

⁹⁰ ლიბერთი და სხვები უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ, *SIS, GCHQ*.

⁹¹ მაგალითისთვის იხილეთ: JUSTICE 2011: 133-153; ლეი 2012: 438-439.

⁹² რუმინეთი 1991: მუხლი 13.

ისგან განსხვავებით, უმეტესად ქვეყნებში არ არის საჭირო სასამართლო ნებართვის აღება იმისათვის, რომ გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: ინფორმაციის შეგროვება ინფორმატორის მეშვეობით, ზოგადი თვალთვალი, კომპიუტერული ქსელის ექსპლოატაცია, მანამდე არსებული მონაცემთა ბაზების შესწავლა, რომლებიც მასობრივი თვალთვალის მეშვეობით არის შედგენილი, სხვა სამთავრობო უწყებების მიერ შგროვებული მონაცემების მოპოვება და კერძო კომპანიების ხელში არსებული მონაცემების მიღება. მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენს სერბეთი, სადაც უსაფრთხოების სამსახურმა ამჟამად სასამართლო ნებართვა უნდა აიღოს არამართო ფარული ღონისძიებების განხორციელებისათვის ან ნებისმიერი სახის ფარული ჩანაწერის გასაკეთებლად, არამედ ასევე კავშირგაბმულობის საშუალებებიდან მონაცემების მისაღებად და იმ ინფორმაციის მოსაძიებლად, რომლებიც უკვე მოპოვებულია ფარული ღონისძიებებით (სერბეთი 2014: მე-13 და მე-15 მუხლი). აღნიშნული მიდგომა სასარგებლოა მიმდინარე დებატების გათვალისწინებით, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასობრივი თვალთვალის გამოყენებით მოპოვებულ ინფორმაციაზე და კავშირგაბმულობის საშუალებების მონაცემებზე წვდომის უკეთეს კონტროლს ეხება.

სწორედ ამ მიერ ინფორმაციის გაჟონვამ შეკითხვები წამოჭრა სასამართლო ნებართვის გარეშე ელექტრონული თუ არაელექტრონული კავშირგაბმულობის საშუალებების ზოგად თვალთვალთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მცირე ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ხალხისთვის; უმეტესწილად ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში მსგავსი ღონისძიებების ჩასატარებლად არ არის აუცილებელი სასამართლო ნებართვის აღება (გარკვეულწილად ისინი ნებადართულია ეროვნული კანონით და უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილებით). თუმცა, შვედეთს აქვს სპეციალური სასამართლო, რომელიც გასცემს ნებართვას საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებებზე ზოგადი თვალთვალთვალის წარმოებისთვის. თავდაცვის დაზვერვის სასამართლო შედგება 2 მოსამართლისგან დამატებით 6 რიგითი მოსამართლისგან. თავდაცვის დაზვერვის სასამართლო გასცემს სანქციას თავდაცვის რადიოელექტრონული დაზვერვის სამსახურისათვის (FRA), რათა მან

გამოიყენოს გარკვეული საშუალებები კონკრეტულ საერთაშორისო ხაზებზე წვდომის მოსაპოვებლად.⁹³

სასამართლო განჩინების გამოყენების მეთოდი და პირობა განსხვავდება ქვეყნებს შორის. ხშირ შემთხვევაში სასამართლო განჩინება გამოაქვს ერთპიროვნულ უფროს მოსამართლეს, რომელიც სპეციალურად არის დანიშნული ან კანონით გათვალისწინებული პროცედურების მეშვეობითაა შერჩეული. მაგალითად, ბოსნია-ჰერცეგოვინაში შესაბამის მოსამართლეს წარმოადგენს ბოსნია-ჰერცეგოვინას სასამართლოს პრეზიდენტი ან მის მიერ დანიშნული მოსამართლე. უნგრეთში აღნიშნულ მოსამართლეს ნიშნავს საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტი, ხოლო ჩეხეთში შესაბამისი მოსამართლე არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების კომიტეტის თავმჯდომარე შესაბამის გეოგრაფიულ რეგიონში.⁹⁴ ხორვატია დამატებით სიფრთხილის ზომებს იღებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენების ნებართვის გაგრძელების/თავიდან გაცემის შემთხვევაში, რასაც 3 მოსამართლისგან შემდგარი ჯგუფი ახორციელებს განსხვავებით ერთპიროვნული მოსამართლისა, რომელიც თავდაპირველ ნებართვას გასცემს (ხორვატია 2006: 36-ე და 37(2) მუხლი).

ძირითადად მოსამართლეები წერილობითი განცხადების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს ნებართვის გაცემის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი ქვეყანა განცხადებების შესახებ მოსმენებს უზრუნველყოფს, სადაც ხდება კითხვების დასმა რთული საკითხების შესახებ და სადაც მოსამართლეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლისგან. პროცესები აუცილებლად ცალმხრივია (*ex parte*) და უმეტეს ქვეყნებში არ არის წარმოდგენილი ფარული ღონისძიებების შესაძლო ობიექტი. ნორვეგიამ ახალი მიდგომა შეიმუშავა, რომლის საშუალებით უსაფრთხოების პოლიციის მიერ ფარული ღონისძიებების შესაძლო ობიექტის ინტერესები წარმოდგენილია უსაფრთხოების შემოწმება გავლილი იურისტის მიერ, რომელსაც შეუძლია უსაფრთხოების სამსახურე-

⁹³ კამერონი 2911: 281; ბიგო და სხვ. 2013: 61; პონდი 2013.

⁹⁴ ბოსნია-ჰერცეგოვინა 2004; მუხლი 77; უნგრეთი 1995; თავი 58; ჩეხეთის რესპუბლიკა 1994 §9 (1).

ბის მიერ წამოყენებული ნებართვის საფუძვლები გააპროტესტოს.⁹⁵ ეს ხორციელდება წერილობითი წარდგინების საშუალებით. როგორც ცნობილია, შვედეთის თავდაცვის დაზვერვის სასამართლო (იხილეთ მაღლა) მსგავს სისტემას იყენებს საერთაშორისო კომუნიკაციების ხელში ჩასაგდებად ნებართვის მიღების შემთხვევაში (ფონდი 2013). ევროპის გარდა აშშ-ს დაზვერვისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიის ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა საზოგადოების ინტერესების დამცველის დამკვიდრება „რათა მოხდეს იმ პირების ინტერესების დაცვა, რომელთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ან სამოქალაქო უფლებებსაც ექმნებათ საფრთხე“.⁹⁶ ასეთი პიროვნების ჩართვა ფარული ღონისძიების შესახებ ნებართვის გაცემის პროცესში განაპირობებს ადამიანის უფლების უკეთესად დაცვას, ვინაიდან ნებართვის გამცემ ორგანოს ეძლევა განსხვავებული მოსაზრების მოსმენის და კანონში არსებული საკითხების ინტერპრეტაციის საშუალება. საზოგადოების ინტერესების დამცველი ხელს უწყობს უსაფრთხოების სამსახურების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების განხილვის საგნად ქცევას.

ხშირ შემთხვევაში სასამართლო ნებართვას ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო მექანიზმად თვლიან. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მოსამართლეები არიან დამოუკიდებლები, მიუკერძოებლები და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათზე გავლენა მოახდინოს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა მოსაზრებებმა, რაც სავსებით მოსალოდნელია მინისტრის მიერ ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს. მოსამართლეები აგრეთვე უფრო მეტად არიან შესაფერისები სამართლებრივი კრიტერიუმების შესაფასებლად, როგორცაა საჭიროება და თანაზომიერება, რაც ძალიან მიშვნელოვანია, როცა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს შესაძლოა მოჰყვეს მნიშვნელოვანი შედეგები ადამიანის უფლების დარღვევის თვალსაზრისით.

სასამართლო ნებართვა არ არის „უებარი“ საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას უსაფრთხოების

⁹⁵ ნორვეგია 1981: თავი 100a; ნორვეგია 2014: 8.

⁹⁶ ზედამხედველობის ჯგუფი დაზვერვისა და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების შესახებ 2013: 203-204 და რეკომენდაცია 28.

სამსახურებისათვის ნებართვის გაცემისა და მათ მიერ ფარული ღონისძიებების გამოყენების დროს (ვენეციის კომისია: 2012 §35). სასამართლო ნებართვის გაცემის დროს მთელი რიგი დაბრკოლებებია. პირველ რიგში სასამართლო ნებართვის ეფექტურობა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით დამოკიდებულია კონკრეტული მოსამართლის დამოუკიდებლობაზე. იმ ქვეყნებში, სადაც მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებლები ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი კრიტიკულად მიუდგებიან უსაფრთხოების სამსახურების მოთხოვნებს ფარული ღონისძიებების შესახებ. მეორეს მხრივ, მაღალკვალიფიციურობა სასამართლო ნებართვის გაცემის ეფექტიანობის განუყოფელი ნაწილია (ვენეციის კომისია 2007:§§ 205-206). უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ნაკლებად გამოცდილი მოსამართლეები (ისინიც კი, რომლებიც გამოცდილები არიან) შესაძლოა უხალისოდ მოეკიდონ უსაფრთხოების სამსახურის თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი ეროვნული უსაფრთხოების შეფასებების ეჭვქვეშ დაყენებას (კამერონი 2008:45). ამას ხანდახან ემატება ზოგიერთი მოსამართლის ტენდენცია პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულები აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. მესამე, უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ ბევრ იურისდიქციაში სასამართლო ნებართვის მოთხოვნა უტოლდება დასტურის ავტომატურ მიღებას და რომ ძალიან იშვიათად ხდება თავის შეკავება ნებართვის გაცემისგან (UNHCHR 2014: § 38). ბოლოს, რაც დასტურის ავტომატურად გაცემასთანაა კავშირში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსამართლეებს არ აკისრიათ პასუხისმგებლობა უსაფრთხოების სამსახურებისათვის ნებართვის გაცემაზე. იმისათვის, რომ დაცული იქნას მოსამართლის დამოუკიდებლობა და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უფლებამოსილებანი, ამიტომ ნებართვის გამცემი პროცესები ჩვეულებრივ არ წარმოადგენს ზედამხედველობის ორგანოს *ex post* შემოწმების საგანს (კამერონი 2011:285). ამისგან განსხვავებით, მინისტრი ან კვაზისასამართლო სანქცირების ორგანო შესაძლებელია ანგარიშით წარსდგეს პარლამენტში ან დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოს წინაშე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, რასაც სასურველი შედეგი ექნება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (ბორგერი 2014).

4.4. კვაზისასამართლო სანქციების ორგანოები

ევროსაბჭოს ზონაში არის რამოდენიმე სახელმწიფო, სადაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენების ნებართვა კვაზისასამართლო ორგანოებმაუნდა გასცენ. ბელგიამ ახალი მიდგომა შეიმუშავა გარკვეული ფარული ღონისძიებების განსახორციელებლად ნებართვის გაცემის (და ზედამხედველობის) შესახებ. ადმინისტრაციული კომისია (SIM კომისია)⁹⁷ შედგება 3 შემოწმება გავლილი მაგისტრატისგან (არასასამართლო დაწესებულებაში მომუშავე), რომლებიც ინიშნებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. აღნიშნული კომისია უსაფრთხოების სამსახურს „მავალდებულებელ რჩევას“ აძლევს, როცა იგი „სპეციფიკური ღონისძიებების“ გამოყენების მოთხოვნით მიმართავს მას (ე.ი. ფარული ღონისძიებების 3 კატეგორიიდან ყველაზე განსაკუთრებული ღონისძიების გატარების ნებართვისთვის)⁹⁸. ეს განსაკუთრებული ღონისძიებები მოიცავს შემდეგს: კერძო საცხოვრებელ ადგილებზე თვალთვალის განხორციელება და ჩხრეკა; კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა; კომუნიკაციებზე მიყურადება; და აგენტის გამოყენება ყალბი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების შექმნის ჩათვლით.

აგენტურული სადაზვერვო ოპერაციებისათვის, როგორცაა ინფორმატორების გამოყენება ან ორგანიზაციების ინფილტრაცია, არ ხდება ხოლმე ნებართვის გამოთხოვნა დამოუკიდებელი ორგანოსგან. ამ მხრივ ბელგიის კანონი აღიარებს დაზვერვის ოპერაციების გავლენას ადამიანის უფლებებზე. ნიშანდობლივია, რომ ბელგიის კანონი ცნობს კომპიუტერულ სისტემაში შეღწევის გავლენას ადამიანის უფლებებზე და კანონის თანახმად მსგავსი ღონისძიებები გარე ორგანოს მიერ უნდა იყოს ნებადართული. არსებობს ნაკლებად „სპეციფიკური“ ღონისძიებები (კომინიკაციური მომსახურების მომხმარებლის ვინაობის დადგენა და ელექტრონული კომუნიკაციების მონაცემების წვდომა), რომელთა განსახორციელებლად ნებართვის გაცემა შესაბამისი უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს შეუძლია. თუმცა მათ ჯერ უნდა აცნობონ SIM კომისიას და

⁹⁷ მისი სრული სახელწოდებაა: La commission administrative chargée de la surveillance des méthodes spécifiques et exceptionnelles de recueil de données des services de renseignement et de sécurité

⁹⁸ ბელგია 2010: მუხლი 18 (2)(3)(9)(10),43(1).

უნდა გააკეთონ ყოველთვიური მოხსენება აღნიშნული ღონისძიებების გამოყენების შესახებ.⁹⁹

ბელგიაში ფარულ ღონისძიებებზე ნებართვის გაცემის რთული სისტემა უზრუნველყოფს SIM კომისიის მიერ ფარული ღონისძიებების გამოყენებისთვის გაცემულ ნებართვაზე ზედამხედველობის გაწევას, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული ნებართვების კანონიერების შეფასებას (პროპორციულობის ჩათვლით). კომისიას აქვს ფარული ღონისძიებების გამოყენების შეჩერების უფლებამოსილება ან ნაკლებად სპეციფიკური ღონისძიებების შემთხვევაში (რომლის ნებართვაც სამსახურის ხელმძღვანელის მიერ არის გაცემული) მას შეუძლია გასცეს ბრძანება, რომ არ მოხდეს შეგროვებული მონაცემების გამოყენება. თავის მხრივ, SIM კომისია ვალდებულია კვალიფიციურ ზედამხედველობის ორგანოს (კომიტეტი I იხილეთ მაღლა) აცნობოს ნებართვის გაცემისა და გაგრძელების ან უარის თქმის შესახებ. კომიტეტი I ამოწმებს უსაფრთხოების სამსახურების მიერ ღონისძიებების შესახებ ნებართვის გაცემისა და მათი განხორციელების ყველა შემთხვევას. კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს SIM კომისიის გადაწყვეტილებები ფარული ღონისძიებების დამტკიცების, უარის თქმის ან შეჩერების შესახებ.¹⁰⁰ ნებართვის გამცემი ორგანოს ზედამხედველობა უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის დამატებით მექანიზმს.

ასევე საყურადღებოა გერმანიის მიდგომა ფარულ ღონისძიებებზე ნებართვის გაცემის შესახებ. მსგავს ღონისძიებებზე ნებართვა პირველ რიგში მთავრობის მინისტრმა უნდა გასცეს, რომელიც შემდგომ თავის მხრივ G 10 კომისიას მიმართავს ნებართვის მისაღებად (რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა უკუქმედების ძალის მქონე იყოს). ეს ეხება არამარტო მიზნის თვალთვალს, მაგრამ ასევე ზოგადი მეთვალყურეობის გაწევას სელექტორებისა და საკვანძო სიტყვების გამოყენებით, რომლის კანონიერებასაც (პროპორციულობის ჩათვლით) აფასებს G 10 კომისია. გარე თვალთვალთან დაკავ-

⁹⁹ ბელგია 1998: მუხლი 18 (2)(3).

¹⁰⁰ კომიტეტი I მიერ აღნიშნული ღონისძიებების შემოწმების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ: ბელგიის მოქმედი დაზვერვის სააგენტოების განმხილველი კომიტეტი 2012: 143-169; ბელგია 1998: მუხლი 43 (3)(3)(4)(5).

შირებით G 10 კომისია ასევე განიხილავს თვალთვალის მეშვეობით მოპოვებული მონაცემების მინიმუმამდე დაყვანას.¹⁰¹ G 10 კომისია პარლამენტის ზედამხედველობის კომიტეტის მიერ ინიშნება. იგი განიხილება, როგორც კვაზისასამართლო ორგანო, ვინაიდან თავმჯდომარეობას უწევს პირი, რომელსაც მოსამართლის თანამდებობის დაკავება შეუძლია (მაგრამ არ მსახურობს სასამართლო დაწესებულებაში); დანარჩენი 3 წევრი შესაძლოა იყვნენ ან არ იყვნენ ბუნდესტაგის წევრები.¹⁰²

ნებართვის გაცემის მოთხოვნა აღმასრულებელი ხელისუფლების წევრისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღებისგან, მოსამართლეების¹⁰³ ან კვაზისასამართლო ორგანოს ჩათვლით, მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით. ამის საშუალებით ხდება უსაფრთხოების სამსახურის გადაკონტროლება და უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასამართლო ნებართვის გაცემის თავისებურების ჩართვას აღნიშნულ პროცესში.

4.5. აღმასრულებელი ხელისუფლება

მთავრობის მეთაური არის მომხმარებელი, სამუშაოთა ხელმძღვანელი, რევიზორი და უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველი. ის არ შეიძლება ჩაითვალოს გარე ზედამხედველად, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების სამსახურები უსაფრთხოების დაზვერვის სამსახურების პროცესის ნაწილია – ისინი იძლევიან დავალებებს, გასცემენ ნებართვას, ადგენენ პოლიტიკებსა და პრიორიტეტებს უსაფრთხოების სამსახურებისათვის (ვენეციის კომისია 2007: § 129). ევროსაბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში არსებობს ერთი ან ერთზე მეტი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების სამსახურებზე. ზოგა-

¹⁰¹ გერმანია 2001ა: ნაწილი 10 (1). უითი და ქათმანი 2011:221-223; ვენეციის კომისია 2015: §§ 124-125.

¹⁰² გერმანია 2001ა: ნაწილი 15.

¹⁰³ კანადა წარმოადგენს იმ ქვეყნის მაგალითს, რომელიც არ არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა და ასევე იყენებს ნებართვის გაცემისათვის ორმხრივ მიდგომას მინისტრის მოადგილისა და ფედერალური სასამართლოს მოსამართლის მიერ. იხილეთ 1984: § 21(1).

დად უსაფრთხოების სამსახურებს იმგვარი მასშტაბური მინისტრთა პორტფოლიოები მოიცავენ, როგორცაა თავდაცვის, იუსტიციის, ან შინაგან საქმეთა სამინისტროები. თუმცა, შესაძლოა ისინი ასევე შედიოდნენ პრემიერ მინისტრის (მაგ., თურქეთი), პრეზიდენტის (მაგ., რუმინეთი) ან პრეზიდენტისა და პრემიერ მინისტრის ერთიანებული ხელმძღვანელობის დაქვემდებარებაში (მაგ., ხორვატია). აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი და ზედამხედველობა შესაძლებელია განხორციელდეს კოლექტიური ორგანოს მიერ, როგორცაა ეროვნული უშიშროების საბჭო (მაგ., ხორვატია და სერბეთი). ხორვატიაში ეროვნული უშიშროების საბჭოს მხარს უჭერს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ოფისი, რომელიც სხვა საკითხების გარდა პასუხისმგებელია უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობების კანონიერებაზე (ხორვატია 2006: მუხლი 107 (1)), რაც გარე კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოს მიერ განხორციელებულ კანონიერების ზედამხეველობას ემატება (იხილეთ ზემოთ).

აღმასრულებელი ხელისუფლების ვალდებულებებში ასევე შედის უსაფრთხოების სამსახურებისათვის დირექტივების, დამხმარე რეგულაციების, ზოგადი პოლიტიკებისა და პრიორიტეტების ფორმულირება. აღნიშნული ფუნქციები მოიცავს მითითებებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების გათვალისწინება და უზრუნველყოფს პოლიტიკებისა და პრიორიტეტების თავსებადობას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ასპექტებთან. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გამოსცა სახელმძღვანელო უსაფრთხოების და დაზვერვის სამსახურებისათვის სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარების შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელო უცხო ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურების მიერ დაკავებულ ან მათ მიერ დაკითხულ პირებს ეხება (დიდი ბრიტანეთი 2010). აღმასრულებელ ხელისუფლებას უმთავრესი როლი უკავია უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობების ადამიანის უფლებებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად. ამის გათვალისწინებით, გარე ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ შეამოწმონ იყენებენ თუ არ მინისტრები თავიანთ უფლებამოსილებას, მაგალითად უცხოელ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით რეგულაციების ან ეთიკის წესების ფორმულირების მეშვეობით.

და ბოლოს, ევროსაბჭოს ზოგიერთ წევრ ქვეყანაში მინისტრები ასევე პასუხისმგებლები არიან თვალთვალთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ნებართვის გაცემაზე¹⁰⁴ და საკვანძო სიტყვებზე თვალთვალის დაშვებაზე, რასაც უსაფრთხოების სამსახურები ევრეთწოდებული კომუნიკაციების მონაცემების ძიების დროს იყენებენ (ბიგო და სხვები 2013:74). როცა მინისტრებს აღნიშნული ვალდებულებები აკისრიათ, მნიშვნელოვანია, რომ ისინი მიმართავდნენ მრჩეველებს, რომლებსაც შეუძლიათ შეაფასონ ადამიანის უფლებები და გასატარებელი ღონისძიების სამართლებრივი იმპლიკაციები.

4.6. შიდა კონტროლი

წინამდებარე დოკუმენტი ფოკუსირებას ახდენს გარე ზედამხედველობაზე, თუმცა უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერები და მათი თანამშრომლები მთავარ როლს ასრულებენ მათ მიერ შესრულებული საქმიანობის კანონიერებისა და ადამიანის უფლებებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად. სწორედ უსაფრთხოების სამსახურების წევრები და არა გარე ზედამხედველები, არიან იქ სადაც ხდება გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების თვალსაზრისით. ამიტომ, უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის ღირებულებები, ეთიკა და იურიდიული საკითხების ცოდნა უაღრესად მნიშვნელოვანია. ამის გათვალისწინებით მენეჯერებმა უნდა დანერგონ საიმედო კრიტერიუმები სპეციალური შემოწმებისთვის, რათა მხოლოდ ის ხალხი აიყვანონ სამსახურში ვისაც სათანადო ღირებულებები ექნება. მათ ასევე უნდა ჩაატარონ უწყვეტი ტრენინგები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების (ვენეციის კომისია 2007: §132) და გარე ზედამხედველობის ორგანოების როლის შესახებ. აუცილებელია, რომ გარე ზედამხედველობის ორგანოებმა უსაფრთხოების სამსახურების შიდა პოლიტიკები და პრაქტიკები შეამოწმონ.

¹⁰⁴ მაგალითად, დიდი ბრიტანეთი 2000: ნაწილი 7 და 8; ჰოლანდია 2002: მუხლი 19 (ფოსტის გამოკლებით, რომელზეც ნებართვა სასამართლომ უნდა გასცეს, მუხლი 23).

ძირითადად, გარე ზედამხედველობის ეფექტური სისტემები განპირობებულია უსაფრთხოების სამსახურების ერთგული დამოკიდებულებით საქმისადმი, რომლის შესრულების დროსაც პატივისცემას ავლენენ ადამიანის უფლებებისადმი, ხელს უწყობენ ზედამხედველობის განხორციელებას და ანგარიშვალდებულებას (ვენეციის კომისია 2007: §130,134). ასევე, იმისათვის რომ გარე ზედამხედველობა ეფექტური იყოს ადამიანის უფლებებთან თავსებადობის ხელშეწყობის და უსაფრთხოების სამსახურებში ანგარიშვალდებულების გაზრდის კუთხით, საჭიროა ზედამხედველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და რეკომენდაციების გათვალისწინება.

ყველა უსაფრთხოების სამსახურს აქვს შიდა პროცედურები გარკვეული ღონისძიებებისათვის ნებართვის გასაცემად, მათი საქმიანობების გადასახედად, საქმიანობების ასაღრიცხად და პრობლემების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად.¹⁰⁵ ხშირ შემთხვევაში აღნიშნული პროცედურები დადგენილია მართვის მაღალი ეშელონების მიერ, მაგრამ შესაძლოა კანონითაც იყოს მოთხოვნილი. მაგალითად, გერმანიაში უსაფრთხოების სამსახურებს მოეთხოვებათ, რომ სათვალთვალო ღონისძიებები განხორციელდეს მოსამართლის კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლის მეთვალყურეობის ქვეშ.¹⁰⁶ ევროსაბჭოს ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, როგორცაა იტალია, ბოსნია და ჰერცეგოვინა და სერბეთი, დააკანონეს გენერალური ინსპექტორების თანამდებობები უსაფრთხოების სამსახურებში. აღნიშნული შიდა ინსპექტორების ფუნქცია მოიცავს სამსახურის საქმიანობის კანონიერების შეფასებას.¹⁰⁷ აღნიშნული ზედამხედველობის ფუნქცია სასარგებლოა უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერების გაფრთხილების თვალსაზრისით, თუმცა შიდა გენერალური ინსპექტორები ვერ შეცვლიან მტკიცე გარე შემოწმებას.

4.7 მედია და სამოქალაქო საზოგადოება

მედიის როლი უსაფრთხოების საკითხების გაშუქების თვალსაზრისით დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან ევროსაბჭოს წევრ ქვეყ-

¹⁰⁵ მიმოხილვისთვის იხილეთ: ბორნი და ლეიპი 2005: 46-49.

¹⁰⁶ გერმანია 2001 a: ნაწილი 11(1).

¹⁰⁷ ბოსნია და ჰერცეგოვინა 2004: მუხლი 33 (1); პეტროვიჩი 2012: 14-15.

ნებში, რაც სხვა საკითხებთან ერთად დამოკიდებულია იმაზე თუ ვის საკუთრებაშია მედია; კანონებზე, რომლებიც იცავენ ჟურნალისტების წყაროებს და მედია ორგანიზაციების ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზე. ხშირ შემთხვევაში მედია წინ უსწრებს ოფიციალური ზედამხედველობის ფუნქციას, როცა ჟურნალისტები მანამდე იკვლევენ და ნათელს ჰფენენ ისეთ საკითხებს, როგორცაა ფარული დაკავება, სანამ მოქმედი ზედამხედველობის ორგანოები გააკეთებენ რეაგირებას (Priest 2005). ხშირად ჟურნალისტების საქმიანობით ხდება მოქმედი და საგანგებო ზედამხედველობის ორგანოების მიერ გამოძიების დაჩქარება.

ჟურნალისტები განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ უსაფრთხოების სამსახურის უკანონო საქმიანობის გამჟღავნებაში, როცა ზედამხედველობის ოფიციალური სისტემები ვერ ახერხებენ აღმოფხვრან ან მოაგვარონ ის პრაქტიკები, რომლითაც ადამიანის უფლებების დარღვევა ხდება (PACE2011:§ 8). ასევე მათი დახმარებით უსაფრთხოების სამსახურის წევრებს შეუძლიათ გაამჟღავნონ უკანონო ქმედებები, რომელთა მოგვარებას ვერ ახერხებენ დადგენილი საშუალებებით, არ აქვთ ნდობა აღნიშნული საშუალებებისადმი ან არ აქვთ გარე საშუალებებისათვის ინფორმაციის გამხელის უფლება.

ასევე, დიდ როლს თამაშობენ არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) ზედამხედველობის ორგანოების სამუშაოს მონიტორინგის განხორციელებაში და ფართო საზოგადოებისათვის შედეგების შეტყობინებაში. ამ მხრივ განსაკუთრებულად აქტიურები არიან დასავლეთ ბალკანეთში მოქმედი NGO-ები. მთელი რიგი არასამთავრო ორგანიზაციები არსებობს, რომლებიც სპეციალიზირებულები არიან უსაფრთხოების სექტორის სამართლის ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებში. უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობის კანონის მიღების შემდეგ (2010 წ.) მონტენეგროს *ინსტიტუტმა ალტერნატივამ* ჩაატარა ყოველწლიური კვლევა კანონის იმპლიმენტაციის შესახებ, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილდა იმ კომიტეტის მუშაობაზე, რომელსაც ევალება უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა.¹⁰⁸ მნიშვნელო-

¹⁰⁸ იხილეთ: <http://institut-alternativa.org/?lang=en>, მისაწვდომობა 28 მარტი, 2015.

ვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა (და მედიამ) ყურადღება უნდა გამახვილოს არამართო უსაფრთხოების სამსახურებზე, არამედ ასევე იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას.

არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე დიდ როლს თამაშობენ უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებში გადაწყვეტილების გამოტანისა და ჩარევის მხრივ. ორგანიზაციებმა, როგორცაა ღია საზოგადოების სასამართლო ინიციატივა, *Reprieve* (ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია, გააუქმოს სიკვდილით დასჯა), ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდი, გარკვეული როლი შეასრულეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნების წამოყენებაში, რომლებიც წარმოიშვა ევროპის სახელმწიფოების ჩართვით აშშ-ს მიერ საიდუმლო დაკავებისა და გადაცემის ღონისძიებებში. რამოდენიმე NGO-მ, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საერთაშორისო ორგანიზაცია (*Privacy international*), ბიგ ბრაზერ ვოჩი (*Big Brother Watch*) და ლიბერტი (*Liberty*) მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო დონეზე მთავრობების წინააღმდეგ თვალთვალის შესახებ კანონებსა და პრაქტიკებთან დაკავშირებით საქმის აღძვრაში. ლიბერტი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს (რომლის დროსაც სტრასბურგის სასამართლომ დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო კომუნიკაციების მასობრივი თვალთვალისათვის განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩო კონვენციასთან შეუთავსებლად ცნო). ძალიან დიდია არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მასობრივი თვალთვალის ღონისძიებების, საერთაშორისო სადაზვერვო მონაცემების გაცვლის წინაშე არსებული პრობლემების კონტექსტში. არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე, შეუძლიათ დახმარების გაწევა უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე გამოკვლევის ჩასატარებლად კამპანიის წამოწყებით და მსგავს გამოკვლევებში თავიანთი კომპეტენციით წვლილის შეტანით.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის მიერ უსაფრთხოების სამსახურების მარეგულირებელი კანონების შეცვლის ან მიღების დროს მათ შეუძლიათ წვლილის შეტანა მოსაზრებების წარდგენით. აღნიშნულ ორგანიზაციებს ყურადღება გამახვილებული აქვთ ზედამხედველო-

ბისა და ანგარიშვალდებულების პროცესებში არსებულ პრობლემებზე. გასული წლების განმავლობაში მათ უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობების უფრო საიმედო გამოკვლევები აქვთ ჩატარებული (თაუნსენდი 2014).

მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობა, რომ მათ ჩაატარონ უსაფრთხოების სამსახურების არაოფიციალური ზედამხედველობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, არსებობს თუ არა შესაბამისი გარემო, სადაც მათ შეუძლიათ მთავრობების გამოწვევა სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებით, ისე რომ არ ჰქონდეთ შევიწროებისა და დასჯის შიში. ასეთი გარემო უცხოა ევროსაბჭოს მთელ რიგ წევრ ქვეყნებში. ინფორმაციის თავისუფლების კანონიდან გამომდინარე მედიასა და NGO-ებს აქვთ საშუალება აღნიშნულ საკითხებზე შიშის გარეშე იმუშაონ. მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოს ბევრმა ქვეყანამ უსაფრთხოების სამსახურები ამ კანონების მიღმა დატოვა, ზოგიერთი ეროვნული კანონი საშუალებას აძლევს ადამიანებს/ჯგუფებს მოითხოვონ ინფორმაცია უსაფრთხოების სამსახურების მიერ ან მათ შესახებ და ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავის შეკავების შემთხვევაში მოსთხოვონ უსაფრთხოების სამსახურებს პასუხი მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ინფორმაციის თავისუფლების მიმართ ასეთი მიდგომების გამოყენებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და მედიას საშუალება აქვთ მოიპოვონ მათი სამუშაოსთვის საჭირო ინფორმაცია ეროვნული უსაფრთხოებისათვის რიკის შექმნის გარეშე.

თავი 5

ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური გედამხედველობისკენ

ნინამდებარე დოკუმენტში განხილული საერთაშორისო პრინციპებისა და ეროვნული პრაქტიკებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ზედამხედველობის სისტემები შესაძლოა სხვადასხვაგვარად იყოს ორგანიზებული, თუმცა მათ აერთიანებთ მსგავსი ამოცანების მიღწევა. ზედამხედველობის სისტემების სტრუქტურების ჩამოყალიბების და შეფასების დროს უფრო მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება მოხდეს შინაარსზე, ვიდრე ზედამხედველობის სტრუქტურაზე. შედეგად, შესაძლებელი ხდება საერთო მიზნების მიღწევა, მიუხედავად სხვადასხვა საკონსტიტუციო და იურიდიული გარემოებებისა თუ ეროვნული ტრადიციებისა. ამ თავის მიზანია, ყურადღების გამახვილება იმ მნიშვნელოვან პრინციპებსა და მიზნებზე, რომლებიც წინა თავებში მოცემული ანალიზის დროს გამოვლინდა.

ყოვლისმომცველი პრინციპი, რომელიც შესაძლოა გამოვიტანოთ ამ დოკუმენტში განხილული საერთაშორისო პრინციპებიდან და სახელმწიფო პრაქტიკებიდან მდგომარეობს იმაში, რომ უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის, პოლიტიკის, ფინანსების, ადმინისტრაციისა და რეგულაციის ყველა ასპექტი უნდა მოწმდებოდეს მინიმუმ ერთი გარე დაწესებულების მიერ, რომელიც დამოუკიდებელია უსაფრთხოების სამსახურებისგან და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. საერთაშორისო პრინციპებმა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მრავალმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ გარე ზედამხედველობა უნდა მოიცავდეს მოსალოდნელ დეტალურ შესწავლას (*ex ante*), მიმდინარე მონიტორინგს და შემდგომ მიმოხილვას (*ex post facto*).

ზედამხედველობის სისტემების ძირითადი ამოცანაა უსაფრთხოების სამსახურების და (საჭიროების შემთხვევაში) მთავრობის მეთაურის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების ხელშეწყობა:

- უსაფრთხოების სამსახურების ეფექტურობის გაზრდა მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადამიანის უფლებების მიმართ საფრთხეების განჭვრეტის ჩათვლით, რომლებიც განპირობებულია ტერორიზმით, შპიონური საქმიანობით და კიბერდანაშაულით;
- უსაფრთხოების სამსახურების ქმედითუნარიანობის, ხარჯვის მართებულობის და ეფექტური ხარჯვის ხელშეწყობა; და
- ადამიანის უფლებებთან და კანონიერებასთან რეგულაციების, პოლიტიკების და ოპერაციების თავსებადობის უზრუნველყოფა.

მოცემული მიზნების მე-3 პუნქტი ამ დოკუმენტის ძირითადი თემა და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მიზანს, რომელსაც წინამდებარე თავში განხილული სხვა მიზნები ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტში ყურადღება უსაფრთხოების სამსახურების გარე ზედამხედველობაზეა გამახვილებული, აღნიშნული სამსახურების შიდა შემოწმებები და კონტროლი უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად.

დემოკრატიული ზედამხედველობა მნიშვნელოვანია, რადგან უსაფრთხოების სამსახურები (და შესაბამისი აღმასრულებელი უწყებები) საზოგადოებას ემსახურებიან და საზოგადოების სახელით მოქმედებენ. აქედან გამომდინარე, ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები უნდა დარწმუნდნენ, რომ უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობა ხორციელდება ეფექტურად და კანონიერების ჩარჩოებში. შესაბამისად, ზედამხედველობის „დემოკრატიული“ ასპექტი, როგორც წესი პარლამენტის ჩართვით მიიღწევა. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ პარლამენტარებმა წვლილი უნდა შეიტანონ შემდეგი ღონისძიებებით: უსაფრთხოების სამსახურების ამომწურავი ზედამხედველობის განხორციელების

მიზნით ეროვნული კანონების უზრუნველყოფით; არასაპარლამენტო ზედამხედველობის ინსტიტუტებისათვის საჭირო საბიუჯეტო რესურსების გამოყოფით; კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოების მუშაობის ზედამხედველობით; ზედამხედველობის ინსტიტუტების ეფექტურობის განხილვით (საკუთარი კომიტეტების ჩათვლით); და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მიმდინარე შემოწმებისა და საგანგებო კვლევების ჩატარებით.

უსაფრთხოების სამსახურებზე საპარლამენტო ზედამხედველობა აქტუალურ საკითხად რჩება დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგრამ როგორც გვაჩვენა საერთაშორისო პრინციპებმა და სახელმწიფო პრაქტიკამ ადამიანთა უფლებები და სამართლის ნორმა ყველაზე მეტად მაშინაა დაცული, როცა პარლამენტარებს ზურგს კვალიფიციური ზედამხედველობა უმაგრებს. კვალიფიციურ ზედამხედველობის ორგანოებს, როგორც წესი, უკეთესი პოზიცია უკავიათ ხოლმე მიმდინარე, დეტალური და პოლიტიკურად ნეიტრალური შემოწმების განსახორციელებლად, რასაც ადამიანის უფლებათა დაცვა საჭიროებს. ამ ტიპის ზედამხედველობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სამსახურის იმ საქმიანობების შესამოწმებლად, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე, თვითგამოხატვის თავისუფლებაზე, შეკრებისა და გაერთიანების უფლებაზე. მსგავსი საქმიანობები მოიცავს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, გამოყენებას, შენახვას, გადაცემას (შინაგანი ძალოვანი სტრუქტურების სააგენტოების და უცხოური ორგანოების ჩათვლით) და წაშლას. კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაში, ამიტომაც აღნიშნული ინსტიტუტებისათვის გარკვეული დემოკრატიული ლეგიტიმურობის მინიჭებაა საჭირო. შესაბამისად, ევროპის საბჭოს სხვადასხვა წევრ ქვეყანაში არსებობს საპარლამენტო კომიტეტები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ კვალიფიციური ზედამხედველების მუშაობას, ნიშნავენ (ან გადაყავთ) მათი წევრები და იღებენ ანგარიშებს.

5.1 ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისათვის წინასწარი (Ex ante) ნებართვის გაცემა

სადაზვერვო მონაცემების შეგროვებისთვის წინასწარი ნებართვის გაცემის დროს (Ex ante) ადამიანის უფლებები ყველაზე მეტად იმ შემთხვევაშია დაცული, თუკი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გასატარებლად ნებართვას უსაფრთხოების სამსახურებისაგან და მთავრობის მეთაურისგან დამოუკიდებელი ორგანო გასცემს. სულ უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს მოსაზრებას, რომ გარე ორგანოების მხრიდან ნებართვის მიცემა უნდა ვრცელდებოდეს:

- ზოგადი ინფორმაციის მასობრივ შეგროვებაზე;
- სელექტორებისა და საკვანძო სიტყვების გამოყენებაზე მასობრივი თვალთვალის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციიდან გარკვეული მონაცემების მოსაპოვებლად (განსაკუთრებით იდენტიფიცირებულ პიროვნებებთან დაკავშირებით);
- საკომუნიკაციო მონაცემების წვდომაზე და მოპოვებაზე (კერძო სექტორის ჩათვლით);
- კომპიუტერული ქსელის ექსპლოატაციაზე.

როგორც უკვე განვიხილეთ, აღნიშნული საქმიანობების ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ უნდა მოხდეს მათ შესახებ ნებართვის გაცემა, მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ან უარეს შემთხვევაში ავტომატურად დადასტურდეს უსაფრთხოების სამსახურების მიერ. მოცემულ ღონისძიებებზე გარე ნებართვის გაცემა უნდა მოხდეს სასამართლოს ან კვაზისასამართლო ორგანოს მიერ; ან ამ ორგანოებიდან ერთერთისა და აღმასრულებელი სამსახურების კოზინაციის გზით.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისათვის ნებართვის გაცემის პროცესში სხვადასხვა ტიპის ექსპერტიზის ჩართვამ შესაძლოა უფრო მტკიცე დაცვის მექანიზმები უზრუნველყოს, ვიდრე პოლიტიკური ან სასამართლო ორგანოს მიერ მინიჭებულმა უფლებამოსილებამ. ნებართვის გაცემის პროცესმა აუცილებლად უნდა მოიცვას წარმოდგენილი ღონისძიებების სამართლებრივი და ადამიანის უფლე-

ბათა შეფასებები, მაგრამ ასევე სასარგებლოა, თუკი მოხდება წარმოდგენილ ღონისძიებებთან ასოცირებული პოლიტიკური რისკების გათვალისწინება. ამგვარად, ორდონიანი ნებართვის გაცემის პროცესი, რომელიც აერთიანებს (კვაზი-) სასამართლო ორგანოს და მინისტრის მიერ ნებართვის გაცემას შესაძლოა *Ex ante* შემოწმების საუკეთესო მოდელს წარმოადგენდეს.

დაზვერვის მონაცემების შეგროვების პროცესის სეგმენტების მსგავსად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისათვის ნებართვის გაცემის ან ხელახალი ნებართვის გაცემის პროცესიც უნდა წარმოადგენდეს შემოწმების საგანს. ფარული ღონისძიებებისათვის ნებართვის გაცემის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასების მცდელობისას შესაძლოა წამოიჭრას სირთულეები, ამიტომაც სასურველია კვაზისასამართლო მოდელების გათვალისწინება. კვაზისასამართლო უფლებამოსილება, რომლის გამოყენებაც სულ უფრო ხშირად ხდება ევროპის საბჭოს სივრცეში, გულისხმობს სასამართლო ექსპერტიზას უფლებამოსილი ორგანოსთვის იურიდიული სტატუსის გადაცემის გარეშე. სახელმწიფოების პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ მსაგვსი ორგანოების მუშაობა შესაძლებელია შემოწმდეს სხვა ზედამხედველობის ორგანოს მიერ ისე, რომ არ მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილებების შემდგომ (*ex post*) შემოწმებასთან ასოცირებული პრობლემების წამოჭრა.

უფლებამოსილების პროცესების მეშვეობით ადამიანის უფლებათა დაცვა შესაძლებელია გაუმჯობესდეს თვალთვალის და სხვა ფარული ღონისძიებების (მაგ. CNE) მოსალოდნელი მიზნის ინტერესების დასაცავად ადვოკატების ჩართვით. აღნიშნულ მესამე მხარეს შეუძლია უარყოს უსაფრთხოების სამსახურების მიერ თვალთვალის შესახებ წარმოდგენილი წინადადებები. მათი ჩართვა ამცირებს უფლებამოსილების პროცესების შესახებ დასტურის ავტომატურად გაცემის რისკს.

5.2 საჩივრების მართვა

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ, რომ უზრუნველყონ დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა ზედამხედველობის სისტემების ფარგლებში, რომლებსაც უსაფრთხოების სამსახურებთან და-

კავშირებული საჩივრებით მიმართავენ. არა აქვს მნიშვნელობა აღნიშნული ორგანო კვალიფიციური უსაფრთხოების/დაზვერვის ზედამხედველობის ორგანო იქნება თუ უსაფრთხოების კუთხით ნაკლებად გამოცდილი ზედამხედველობის ორგანო, როგორცაა ომბუდსმენი. მთავარია, რომ საჩივრებს უნდა მართავდეს ის ორგანო, რომელსაც აქვს შესაბამისი წვდომა და საგამომძიებლო უფლებამოსილება საგულდაგულო გამოძიების განსახორციელებლად. უმეტესად ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ გასცენ რეკომენდაციები უსაფრთხოების სამსახურების და/ან აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის* თანახმად, იმ პირებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი უფლებები (ან იცინ) უსაფრთხოების სამსახურების მიერ დაირღვა, წვდომა უნდა ჰქონდეთ ორგანოზე, რომელსაც ეფექტური ზომების უზრუნველყოფა შეუძლია. სახელმწიფოებმა ინდივიდუალური პირები ასევე უნდა უზრუნველყონ იმგვარი ორგანოთი, რომელიც აღჭურვილი იქნება იურიდიულად მავალდებულებელი ბრძანებების გაცემის უფლებით. ამ ორგანოს უფლებამოსილებამ უნდა მოიცვას არამარტო კანონდარღვევის მსხვერპლისთვის კომპენსაციის გადახდა, არამედ ასევე შესაბამისი ნებართვის ანუღირება და უკანონოდ შეგროვებული პერსონალური მონაცემების წაშლის ბრძანების გაცემა.

5.3. ზედამხედველების მიერ ინფორმაციაზე წვდომა

ზედამხედველების მიერ ინფორმაციაზე წვდომა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს და განხილულია ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ყველა საერთაშორისო პრინციპში. ზედამხედველებს არ შეუძლიათ ოპერაციების კანონიერების, პროგრამების და პოლიტიკების სანდო და სრული შეფასება, თუკი მათ არ ექნებათ ყველა შესაბამის ინფორმაციაზე წვდომა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ წარმოადგენს თვითმიზანს გამოძიებასთან (მოცემული ზედამხედველობის ორგანოს უფრო ფართო მანდატი) დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომლობა წარმოადგენს ეფექტური შემოწმების წინაპირობას. ზედამხედველობის ორგანოების უფლება ინფორმაციაზე წვდომის შესახებ გამყარებული უნდა იყოს უსაფრთხოების სამსახურების და მათი პერსონალის ვალდე-

ბულებით, რომ იყვნენ გახსნილები და კოლეგიალურები ზედამხედველების მიმართ. ასევე, უნდა არსებობდეს მოთხოვნა ინფორმაციის კონკრეტულ კატეგორიაზე გრიფით საიდუმლოს ავტომატურად მოხსნის შესახებ. საგამომძიებლო უფლებების გამოყენება, როგორცაა სასამართლოში გამოძახება და ჩხრევის ჩატარების უფლება ამყარებს ზედამხედველობის პოზიციებს იმ შემთხვევებში, როცა არ ხდება ინფორმაციის ნებაყოფლობითი უზრუნველყოფა.

ზედამხედველებისთვის ინფორმაციაზე დაშვება არ ნიშნავს იმას, რომ ზედამხედველობის ორგანოებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ულიმიტო წვდომა ინფორმაციაზე. ინფორმაციაზე დაშვების საფუძველს ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს მანდატი და მოცემული ზედამხედველობის ორგანოს მიმდინარე საქმიანობები.

საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის თითოეულ სფეროზე მინიმუმ ერთი გარე ზედამხედველობის ორგანოს აღჭურვა ზედამხედველობის გაწევის უფლებამოსილებით. აქედან გამომდინარე, სულ მცირე ერთ გარე ზედამხედველს შეუზღუდავი წვდომა უნდა ჰქონდეს თითოეულ სფეროსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. ზედამხედველობის სისტემების დაგეგმვისა და გაუმჯობესების დროს უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს ზედამხედველებისათვის ინფორმაციაზე წვდომის კანონიერების უზრუნველყოფა და მსგავსი წვდომის ხელშეწყობა შესაბამისი საგამომძიებლო საშუალებების მიერ. ეფექტური ზედამხედველობის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ზედამხედველობის ორგანოების მიერ მათი სამუშაოსთვის აქტუალური ინფორმაციის განსაზღვრა (და არა უსაფრთხოების სამსახურების ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, რომლებიც შემოწმების ობიექტებს წარმოადგენენ). ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში უნდა არსებობდეს მექანიზმები მათი ოპერატიულად მოგვარების მიზნით.

ზედამხედველებისთვის შესაბამის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საჭირო ზომების მიღება იმისათვის, რომ ზედამხედველების მიერ მიღებული ინფორმაცია იყოს დაცული და მისი გამოყენება მხოლოდ ზედამხედველობის მიზნით ხდებოდეს. რამდენადაც ზედამხედველობის ორგანოებს აქვთ პრო-

ცედურები საიდუმლო ინფორმაციის არამიზნობრივად გამოყენების შესახებ, არ არსებობს ობიექტური/დასაბუთებული მიზეზი იმისა,თუ რატომ უნდა იყვნენ მათი წევრები ნაკლებად სანდოები, ვიდრე უსაფრთხოების სამსახურების ან აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები.

საერთაშორისო დაზვერვის თანამშრომლობასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სპეციალურ განხილვას საჭიროებს. უსაფრთხოების სამსახურებს შორის ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის გათვალისწინებით (და ადამიანის უფლებებზე მსგავსი თანამშრომლობის შესაძლო გავლენის თვალსაზრისით) აუცილებელია, რომ ზედამხედველებს მსგავს თანამშრომლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმების საშუალება ჰქონდეთ, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც მიღებულია ან გაგზავნილია უცხოური ორგანოებისათვის. იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული აქტივობების სათანადოდ შემოწმება, მნიშვნელოვანია შესაბამის კანონსა თუ პრაქტიკაში იმის განსაზღვრა, რომ ზედამხედველები არ წარმოადგენენ „მესამე მხარეს“ და/ან არ ექვემდებარებიან ორიგინატორის (ინფორმაციის წყაროს) მიერ კონტროლის პრინციპს. ძალიან ფერხდება დემოკრატიული ზედამხედველობა, როცა უცხოურ ორგანოებს ვეტოს (რასაც საფუძვლად უდევს ის, რომ უსაფრთხოების სამსახურებმა უნდა მოითხოვონ უცხოელი პარტნიორებისაგან თანხმობა, რათა ზედამხედველებმა შეძლონ ინფორმაციის განხილვა) დადების უფლება აქვთ, იმაზე თუ რისი შემოწმება შეუძლია ზედამხედველობის ორგანოს.

დამატებითი მიზანს წარმოაგენს ზედამხედველებისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მათ ეფექტურობას. უსაფრთხოების ბევრ სამსახურს მზარდი შესაძლებლობები აქვთ (რაც განპირობებულია ტექნოლოგიური ცვლილებებით და გაზრდილი ბიუჯეტებით) ინფორმაციის შესაგროვებლად, გასაზიარებლად და მისაღებად, რისთვისაც სულ უფრო და უფრო რთულ სისტემებს იყენებენ. ბევრ ზედამხედველს არა აქვს იმის საშუალება, რომ აღნიშნული განვითარების შესაბამისად საკუთარი რესურსებიც გაიმჯობესოს. დღესდღეობით ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ დამოუკიდებელი ტექ-

ნიკური ექსპერტის გამოყენება აუცილებელია ეფექტური ზედამხედველობის განსახორციელებლად. დაზვერვის ინფორმაციის შეგროვება და დაარქივების სისტემები უფრო რთული გახდა და მათი გავლენის შეფასება ადამიანის უფლებებზე ძალიან რთული იქნებოდა სპეციალისტის ექსპერტიზის გარეშე. ამიტომაც, კანონებმა საშუალება უნდა მისცეს ზედამხედველებს, რომ მათ დაიქირაონ ტექნიკური ექსპერტები, რისთვისაც გამოყოფილი უნდა იყოს საჭირო რესურსები.

5.4. ზედამხედველობის ორგანოების გამჭვირვალობა

ზედამხედველობის ორგანოები უსაფრთხოების სამსახურებს ხალხის სახელით ამოწმებენ. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების დარწმუნება, რომ უსაფრთხოების სამსახურები თავიანთ ფუნქციებს კანონის თანახმად ახორციელებენ და საჭიროების შემთხვევაში ზედამხედველები ვალდებული არიან შეატყობინონ ხალხს არაკეთილსინდისიერი ქმედებების შესახებ. ზედამხედველობის ორგანოებს ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებათ, თუკი ისინი ანგარიშის ჩაბარების და სხვა სახის ქმედებებით აჩვენებენ, რომ უსაფრთხოების სამსახურებს საიმედო ზედამხედველობის ორგანოები ამოწმებენ, რომლებიც რეაგირებას ახდენენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაზე (ან სხვა ტიპის დანაშაული). ამასთან დაკავშირებით მეორეხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება უსაფრთხოების სამსახურის როლის შესახებ დემოკრატიულ ქვეყნებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საზოგადოებებისათვის, სადაც უსაფრთხოების სამსახურებს ადამიანის უფლებები აქვთ დარღვეული წარსულში და/ან არა აქვთ ხალხის ნდობა. აღნიშნული მიზნების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა და კვალიფიციურმა ზედამხედველობის ორგანომ საერთო ენა გამოიხატონ. მათ ხალხისთვის უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი პერიოდული და სპეციალური ანგარიშების ვერსიები, სადაც ეროვნული უსაფრთხოების და სახელმწიფო საიდუმლოების გათვალისწინებით გარკვეული დეტალები კონფიდენციალურად დარჩება.

5.5 ზედამხედველობის სისტემების შეფასება

მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა იქნა შესაძლებელი ევროპის საბჭოს ქვეყნებში უსაფრთხოების სამსახურების გარე ზედამხედველობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, თუმცა ძალიან ცოტა ქვეყანა შეუდგა ზედამხედველობის ორგანოების ეფექტურობის შემოწმებას და ზედამხედველობის სისტემები ხელშეუხებლები დატოვეს.¹⁰⁹ ხშირ შემთხვევაში 10-20 წლის წინ გამოიცა კანონი ზედამხედველობის სისტემების ჩამოყალიბების შესახებ, ქვეყნების უმეტესობას აღარ გადაუხედავს აღნიშნული შეთანხმებებისთვის, ან მხოლოდ მნიშვნელოვანი სკანდალის ან დაზვერვის წარუმატებლობის შემთხვევაში მიუმართავს. შესაბამისად, ძალიან რთულია, იმის განსაზღვრა, ზედამხედველობის სამსახურები: ამახვილებენ თუ არა ყურადღებას უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ყველაზე რელევანტურ ასპექტებზე; არიან თუ არა ეფექტურები ადამიანის უფლებათა უსაფრთხოების პოლიტიკებთან, ოპერაციებთან და რეგულაციებთან თავსებადობის გაუმჯობესების კუთხით; იყენებენ თუ არა ეფექტურ მეთოდებს და ატარებენ თუ არა გამომიძიებებს კეთილსინდისიერად; აქვთ თუ არა საზოგადოების ნდობა; ან თუკი უზრუნველყოფენ დეტალურ და სასარგებლო ანგარიშებს.

როგორც უკვე აღინიშნა, იმისათვის რომ ზედამხედველობის სისტემებმა ეფექტურად იფუნქციონიროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის და მოგვარების მიზნით, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობით არის გამოწვეული, ამისთვის მათ სჭირდებათ შესაბამისი სამართლებრივი მანდატი და უფლებამოსილება, რესურსები და ექსპერტიზა. მსგავსი მოთხოვნები ვითარდება უსაფრთხოების სამუშაოს განვითარების ხასიათის, მასშტაბის და ტექნოლოგიის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პერიოდულად შემოწმდეს აქვთ, თუ არა ზედამხედველობის სისტემებს საჭირო ატრიბუტი.

¹⁰⁹ გამონაკლისებში შედის ბელგია და ჰოლანდია: Senat et Chambre des Représentants de Belgique, "Evaluation du fonctionnement des Comités permanents de contrôle des services de police et de renseignements", Rapport fait au nom des commissions spéciales chargées du suivi parlementaire des comités permanents de contrôle des services de police de renseignements par MM. Foret and De Crem, 16 février 1996. 437/1 – 95/96 Chambre, 1-258/1 Senat; Fijnaut 2012.

ინტერესის საგანს წარმოადგენს თუ რამდენად ეფექტურად ასრულებენ ზედამხედველობის ორგანოები თავიანთ სამუშაოებს, მიუხედავად მათი ლეგალური მანდატების, უფლებამოსილების და რესურსების მართებულობისა. ამაში შედის იმის გათვალისწინება რამდენად ნაყოფიერად ახერხებენ ისინი უსაფრთხოების სამსახურების პოლიტიკების, ოპერაციებისა და პრაქტიკების თავსებადობის უზრუნველყოფას ადამიანის უფლებებთან, ასევე საჩივრების მართვა და მათზე რეაგირება ხელს უწყობს თუ არა მომჩივანის დაკმაყოფილებას და ინსტიტუციონალურ გაუმჯობესებას. მსგავსი საკითხების შეფასება საჭიროებს ზედამხედველების მეთოდებისა და მიდგომების ძირფესვიან ანალიზს. შესაბამისად, ოფიციალური შეფასებების განხორციელებამდე საჭიროა დაფიქრება, თუ როგორ შეიძლება ზედამხედველობის სისტემის ეფექტურობის შეფასება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ზედამხედველობის სისტემების ქმედუნარიანობის შეფასებას ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.¹¹⁰ აღნიშნული საკითხები წარმოადგენენ ევროპის დონეზე დამატებითი განხილვისა და სამომავლო მუშაობის საგანს.

პარლამენტებსა და მინისტრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის თამაში ამასთან დაკავშირებით. ამისათვის მათ უსაფრთხოების სამსახურებისა და მათი ზედამხედველობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში უნდა შეიტანონ პუნქტები შეფასების შესახებ.¹¹¹ ალტერნატიულად, აღმასრულებელ ხელისუფლებას, პარლამენტს და ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ აღნიშნული შეფასებების ორგანიზება საგანგებო რეჟიმში, როგორც მოხდა ჰოლანდიაში. ალტერნატიული ან დამატებითი მოდელი იქნა მიღებული დიდ ბრიტანეთში, რომლის შესაბამისადაც ჩამოყალიბდა ტერორიზმის კანონმდებლობის დამოუკიდებელი მიმომხილველი.¹¹² აღნიშნული ოფისი ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმის საწინააღმდეგო კანონმდებლობას, თუმცა აგვარებს საკანონმდებლო ნორმის მართებულებას ზედამხედველობასთან დაკავშირებით და აღჭურვილია ამასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემის უფლებამოსილებით.

¹¹⁰ შემდგომი განხილვისთვის იხილეთ: უილლისი 2012 ბ: 471-499.

¹¹¹ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ევროპის საბჭოს მიღმა არსებული ქვეყანა : კანადა 1984: §56; კანადა 1990.

¹¹² იხილეთ: <https://terrorismlegislationreviewer.independent.gov.uk/>, მისაწვდომობა 28 მარტი, 2015.

გამოყენებული მასალები

29-ემუხლის სამუშო ჯგუფი (2014a), მოსაზრება 04/2014 ელექტრონული კომუნიკაციების თვალთვალის შესახებ დაზვერვისა და ეროვნული უსაფრთხოების მიზნით 819/14/EN WP 215, 2014 წლის 10 აპრილი.

29-ე მუხლის სამუშო ჯგუფი (2014 b), 29-ე მუხლის სამუშო ჯგუფის ერობლივი განცხადება, შემუშავებული 2014 წლის 26 ნოემბერს.

ბალკანეთის ანალიზი (2015a), “Serbian ombudsman complains of threats”, 21 იანვარი 2015: www.balkaninsight.com/en/article/serbian-ombudsman-threaten-after-military-secret-service-revelation, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ბალკანეთის ანალიზი (2015 b), “Macedonia PM accused of large-scale wire-tapping”, 2015 წლის 9 თებერვალი: www.balkaninsight.com/en/article/eavesdropping-bombshell-explodes-in-macedonia, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტს.

ბი-ბი-სი-ს ახალი ამბები (2015), “Sim card frm links GCHQ and NSA to hack attacks”, 2015 წლის თებერვალი: www.bbc.co.uk/news/technology-31619907, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ბელგიის მუდმივი დაზვერვის სააგენტოების ზედამხედველობის კომიტეტი (2011), ყოველწლიური ანგარიში 2010-2011, ბრიუსელი. მისაწვდომობა: www.comiteri.be/images/pdf/publicaties/activity_report_2010-2011.pdf, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტიდან.

ბელგია (1991), პოლიციისა და დაზვერვის სამსახურების შემოწმების და საფრთხეების შეფასების საკოორდინაციო ჯგუფის მარეგულირებელი აქტი 1991. ხელმისაწვდომია:

<http://comiteri.be/images/pdf/engels/w.toezicht%20-%20l.control.pdf>, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტიდან.

ბელგია (1998), კანონი დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების შესახებ 1998.

ბელგია (2010), კანონი დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების შესახებ 1998, (ცვლილებები შეტანილ იქნა 2010 წლის 14 თებერვალს დაზვერ-

ვისა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ მონაცემების შეგროვები შესახებ კანონის გათვალისწინებით).

დ. ბიგო და სხვები (2013), “National programmes for mass surveillance of personal data in EU Member States and their compatibility with EU law”, ევროპის პარლამენტი, ბრიუსელი.

დ. ბიგო და სხვები (2013), “France’s surveillance: justice, freedom and security in the EU”, openDemocracy.net, 2014 წლის 14 მაისი.

ჯ. ბორჯერ (2013), “NSA fles: why the Guardian in London destroyed hard drives of leaked fles”, გარდიანი, 2013 წლის 20 აგვისტო.

ჯ. ბორჯერ (2014), “Ministers should assess UK surveillance warrants, says Philip Hammond”, გარდიანი, 2014 წლის 23 აგვისტო.

ჰ. ბორნი და ლ. ლეიჰი (2005), დაზვერვის ანგარიშვალდებულების საჭიროება, ნორვეგიის პარლამენტი, ოსლო.

ჰ. ბორნი და ლ. ლეიჰი და ა. უილლისი, საერთაშორისო დაზვერვის თანამშრომლობის ანგარიშვალდებულების საჭიროება. ნორვეგიის პარლამენტი, ოსლო.

ბოსნია და ჰერცეგოვინა (2004), ბოსნია და ჰერცეგოვინას კანონი დაზვერვისა და უსაფრთხოების სააგენტოს შესახებ 2004.

ი. კამერონი (2000), ადამიანის უფლებათა ეროვნული კონვენცია და ეროვნული უსაფრთხოება, Martinus Nijhof Publishers, ჰააგა.

ი. კამერონი (2008), “National Security and the European Convention on Human Rights – Trends and Patterns”, სტოკჰოლმის საერთაშორისო სიმპოზიუმზე გაკეთებული მოხსენება ადამიანის უფლებათა ეროვნული კონვენციისა და ეროვნული უსაფრთხოების შესახებ, 2008 წლის 4-5 დეკემბერი.

ი. კამერონი (2011), “Parliamentary and specialised oversight of security and intelligence agencies in Sweden”, ა.უილისსი და მ. ვერმეულენი (2011), “Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union”, ევროპის პარლამენტი, ბრიუსელი.

ი. კამერონი (2013) “Foreseeability and safeguards in the area of security: some comments on ECHR case law”, in Regards sur le contrôle, ვ. ლაეთემი და ჯ. ვანდერბოთი, ანტვერპენი

კანადა (1984), კანადის უსაფრთხოების სამსახურის დაზვერვის სამსახურის აქტი 1984.კანადა(1990), “In flux but not in crisis”, კანადის სპეციალური კომიტეტი CSIS აქტისა და უსაფრთხოების აქტის შემოწმების შესახებ (NCJ 131163), ოტტავა, კანადა.

ი.კობეინი (2013), სასტიკი ბრიტანია: წამების საიდუმლო ისტორია, პორტობელლოს წიგნები, ლონდონი.

ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროპის საბჭო (2013a), “Human rights and the security sector: report of the round-table with human rights defenders, organised by the Ofce of the Council of Europe Commissioner for Human Rights, Kyiv, 30-31 May (2013)”, CommDH(2013)17.

ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროპის საბჭო (2013b), “Human rights at risk when secret surveillance spreads”, შენიშვნები ადამიანის უფლებათა შესახებ, 2013 წლის 24 ოქტომბერი.

ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროპის საბჭო (2014a), *სამართლებრივი ნორმები ინტერნეტთან და ციფრულ სამყაროსთან დაკავშირებით*, კვლევითი ანგარიში, ევროპის საბჭო, სტრასბურგი.

ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროპის საბჭო (2014 b), 2014 წლის 12 დეკემბრის განცხადება:
www.facebook.com/permalink.php?story_fbid=377981239044459&id=118705514972034, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროპის საბჭო (2014 c), “Report by Nils Muižnieks, Council of Europe Commissioner for Human Rights, following his visit to the Netherlands, from 20 to 22 May 2014”, CommDH(2014)18, 2014 წლის 14 დეკემბერი.

ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროპის საბჭო (2015), “4th quarterly activity report 2014”, CommDH(2015)3.

კ. ქონოლოლი (2014), “Romanian ex-spy chief acknowledges CIA had ‘black prisons’ in country”, გარდიანი, 2014 წლის 14 დეკემბერი.

ევროპის საბჭო (2006 a), “Secretary General’s report under Article 52 ECHR on the question of secret detention and transport of detainees suspected of terrorist

acts, notably by or at the instigation of foreign agencies”, SG/Inf (2006)5, 2006 წლის 28 თებერვალი.

ევროპის საბჭო (2006 b), “Secretary General’s supplementary report”, SG/Inf (2006)13, 2006 წლის 14 ივნისი.

ხორვატია (2006), ხორვატიის რესპუბლიკის აქტი უსაფრთხოების დაზვერვის სისტემის შესახებ, 2006 წლის 30 ივნისი.

CTIVD (2014), “Review report on the processing of telecommunications data by GISS and DISS” No. 38, 2014 წლის 5 თებერვალი.

Cvrtila V. (2012), “Intelligence governance in Croatia”, DCAF. ხელმისაწვდომია: www.dcaf.ch/content/download/104961/1617969/version/2/file/croatia_eng1.pdf, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ჩეხეთის რესპუბლიკა (1994), უსაფრთხოების საინფორმაციო სამსახურის აქტი, აქტი N. 154 1994 წლის 7 ივლისი.

ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ორგანო, ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ორგანოს ერთობლივი განცხადება 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის შეკრებაზე, მიღებული 2014 წლის 26 ნოემბერს, 2014, 14/EN WP227.

ევროპის პარლამენტი (2001), “Report on the existence of a global system for the inter-ception of private and commercial communications (ECHELON interception system)”,

ევროპის პარლამენტი (2001), “Report on the existence of a global system for the inter-ception of private and commercial communications (ECHELON interception system)”, დროებითი კომიტეტი ECHELON ფარული მიყურადების სისტემის შესახებ, 2001 წლის 11 ივლისი A5-0264/2001.

ევროპის პარლამენტი (2007), “Resolution on the alleged use of European countries by the CIA for the transportation and illegal detention of prisoners”, 2007 წლის 14 თებერვალი 2007, P6_TA(2007)0032.

ევროპის პარლამენტი (2013), “Resolution of 10 October 2013 on alleged transportation and illegal detention of prisoners in European countries by the CIA”, P7_TA(2013)0418.

ევროპის პარლამენტი (2014), “Report on the US NSA surveillance programme, surveillance bodies in various Member States and their impact on EU citizens’ fundamental rights and on transatlantic cooperation in Justice and Home Affairs”, A7-0139/2014, 2014 წლის 21 თებერვალი.

ს. ფარსონი (2012), “Establishing effective intelligence oversight systems” ჰ. ბორნისა და ა. უილსის ნაშრომში (2012) - დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება: სახელმძღვანელო, DCAF, ქენევა.

ქ. ფიჯნაუტი. (2012), “Het toezicht op de inlichtingen- en veiligheidsdiensten: de noodzaak van krachtiger samenspel, De vertrekpunten en uitkomsten van een gespreksronde”, ჰააგა.

გ. ფოლდვარი (2011), “Parliamentary and specialised oversight of security and intelligence agencies in Hungary”, დანართი A ა. უილსისა და მ. ვერმეულის ნაშრომში (2011), ევროკავშირში ძალოვანი სტრუქტურების ზედამხედველობა, ევროპის პარლამენტი, ბრიუსელი.

ჯ. ფოლოროუ (2014), “Espionnage: comment Orange et les services secrets cooperent”, 2014 წლის 20 მარტი.

ჯ. ფოლოროუ და ფ. იოჰანესი (2013), “Revelations sur le Big Brother francais”, Le Monde, 2013 წლის 4 ივლისი.

ქ. ფორსეზი (2012), “Handling complaints about intelligence services”, ჰ. ბორნისა და ა. უილსის ნაშრომში (2012) - დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება: სახელმძღვანელო, DCAF, ქენევა.

საფრანგეთი (2007), Loi n° 2007-1443 du 9 octobre 2007 portant creation d’une delegation parlementaire au renseignement.

რ. გალაგერი და გ. გრინვოლდი (2014), “How the NSA plans to infect ‘millions’ of computers with malware”, ფარული მიყურადება, 2014 წლის 3 დეკემბერი

<https://frstlook.org/theintercept/2014/03/12/nsa-plans-infect-millions-computers-malware/>, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

გერმანია (2001 a), მიმოწერის, ფოსტის და ტელეკომუნიკაციების საიდუმლოების შემზღვეველი აქტი (G10 Act), ფედერალური კანონების მაცნე, გვ. 1254, შესწორებული 2298, საბოლოო შესწორება 2013 წლის 6 ივნისის აქტის მე-2 მუხლის შესაბამისად, ფედერალური კანონების მაცნე, გვ. 1482.

გერმანია (1990b), კონსტიტუციის დაცვის აქტი (BVerfSchG), ფედერალური კანონების მაცნე, გვ. 2954, საბოლოო შესწორება 2013 წლის 6 ივნისის აქტის მე-6 მუხლის შესაბამისად, ფედერალური კანონების მაცნე, გვ. 1602.

გერმანია (1978), საპარლამენტო კონტროლის აქტი (PKGrG), ფედერალური კანონების მაცნე, გვ. 453, საბოლოო შესწორება 2009 წლის 29 ივლისის აქტის შესაბამისად, ფედერალური კანონების მაცნე, გვ. 2346.

მ. გოუმაზი (2014), "Statut special voulu par les espions", Le Temps, 2014 წლის ივლისი.

ჰ. ჰერნესი (2008), "Effective Remedy with Regard to Secret Surveillance and Security Files", მოხსენება სტოკჰოლმის საერთაშორისო სიმპოზიუმზე ეროვნული უსაფრთხოების და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის შესახებ, 2008 წლის 4-5 დეკემბერი.

ა. ჰიგინსი (2013), "Luxembourg's prime minister resigns", ნიუ იორკი, 2013 წლის 12 ივლისი.

"ჰუმან რაიტს ვოჩის" (Human Rights Watch) (2009), სასტიკი ბრიტანეთი, ბრიტანეთის მონაწილეობა ტერორიზმში ექვმიტანილთა წამებაში და ცუდ მოპყრობაში პაკისტანში, 2009 წლის ნოემბერი.

"ჰუმან რაიტს ვოჩის" (Human Rights Watch) (2014 a), Human Rights Watch (2014a), უფლებები უკან დახვევის დრო: ცუდად მოპყრობის ფაქტები ყირიმში, "ჰუმან რაიტს ვოჩის" ნიუ იორკი.

"ჰუმან რაიტს ვოჩის" (Human Rights Watch) (2014 b), "Turkey: spy agency law opens door to abuse", 2014 წლის აპრილი 2014: www.hrw.org/news/2014/04/29/turkey-spy-agency-law-opens-door-abuse, მისაწვდომობა 2014 წლი 28 მარტი.

უნგრეთი (1995), 1995 წლის აქტი CXXV ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების მიმართ, ნაწილი 16(2).

იურისტების საერთაშორისო კომისია (2009), *ზარალის შეფასება, ქმედების მოთხოვნა: ცნობილი იურისტების ჯგუფის მოხსენება ტერორიზმის, ტერორიზმის საწინააღმდეგო და ადამიანის უფლებათა შესახებ*, ICJ, უენევა.

იტალია (2007), კანონი 127/2007 (ცვლილებები შეიტანეს 2012 წლის 1 აგვისტოს).

ა. ჯაკობსენი (2012), “Regional consultation on national security and the right to information”,

www.right2info.org/resources/publications/national-security-page/european-questionnaires/slovenia-rosana-lemut-strle, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ა. ჯაკობსენი (2013), “National security and the right to information in Europe”, 2013 წლის აპრილი:

www.right2info.org/resources/publications/national-security-expert-papers/jacobsen_nat-sec-and-rti-in-europe, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

სამართლიანობა (2011), *განთავისუფლება ეჭვისგან: ფარული თვალთვალის რეფორმა ციფრულ ეპოქაში, სამართლიანობა*, ლონდონი.

უ. ლაეთემი (2011), “Parliamentary and specialised oversight of security and intelligence agencies in Belgium”, ა. უილისა და მ. ვერმეულის ნაშრომში (2011), “Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union ევროპის პარლამენტი, ბრიუსელი.

LAHRC (2015), რეზოლუციის პროექტი მიიღეს 2015 წლის 26 იანვარს.

Le Monde(2013), “La DCRI accusée d’avoir illégalement forcé la suppression d’un article de Wikipédia”, 2013 წლის 6 აპრილი.

ო. ლეიჰი (2012), “A view from across the Channel: intelligence oversight in the UK”, ვ. ლაეთემისა და ჯ. ვანდერბოთის ნაშრომში (2012), *Regards sur le contrôle*, ანტვერპენი .

ლიტვა (2002), კანონი ოპერატიული ქმედებების შესახებ 2002 (შეტანილი ცვლილებებით).

დ. მარტი (2011), “Abuse of state secrecy and national security: obstacles to parliamentary and judicial scrutiny of human rights violations”, მოხსენება იურიდიულ საკითხებისა და ადამიანის უფლებების კომიტეტისათვის, დოკ 12714, 2011 წლის 16 სექტემბერი.

ა. ნემცოვა (2012)), “Putin’s secret war,” საერთაშორისო პოლიტიკა, 2012 წლის ივნისი.

ნიდერლანდები (2002), დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსაურების აქტი 2002. ხელმისაწვდომი
www.ctivd.nl/?download=WIV%202002%20Engels.pdf,
მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

რ. ნორტონ-ტილორი(2015), “Britain needs independent scrutiny of intelligence, says former head of MI6”, გარდიანი, 2015 წლის 17 მარტი.

ნორვეგია (1981), სისხლის სამართლის პროცესის აქტი, 1981 წლის 22 მაისის აქტი No. 25 (შეტანილი ცვლილებებით).

ნორვეგია (1995), დაზვერვის, ფარული თვალთვალის და უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობასთან დაკავშირებული აქტი აქტის N7 1995 წლის 3 თებერვალი. ხელმისაწვდომია: http://eos-utvalget.no/english_1/legal_framework/content_3/text_1401199215164/1401199215664/lovensgsk.pdf,
მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ნორვეგია (2012), EOS-Utvalget კომიტეტი, ყოველწლიური მოხსენება 2011.

ნორვეგია (2013), EOS-Utvalget კომიტეტი, ყოველწლიური მოხსენება 2012.

ნორვეგია (2014), EOS-Utvalget კომიტეტი, ყოველწლიური მოხსენება 2013.

პ. ომციგტი (2015), “Mass surveillance”, PACE კომიტეტი იურიდიულ საკითხებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, 2015 წლის 26 იანვარი, [AS/Jur (2015) 01].

ღია საზოგადოების ფონდი (2013), გლობალური პრინციპები ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციაზე დაშვების უფლების შესახებ (Tshwane Principles), დამტკიცებული 2013 წლის 12 ივნისს სამხრეთ აფრიკა: www.opensocietyfoundations.org/sites/default/files/global-principles-national-security-10232013.pdf, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ღია საზოგადოება ინიციატივა სამართლიანობის შესახებ (2013), წამების გლობალიზაცია: CIA საიდუმლო დაკავება და ექსტრადაცია OSF, ნიუ იორკი.

ლ. ოსბორნი (2013), “Germany denies phone data sent to NSA used in drone attacks”, გარდიანი, 2013 წლის 12 აგვისტო.

ოტავის პრინციპები ანტი-ტერორიზმის და ადამიანთა უფლებების შესახებ, დამტკიცებული 2006 წელს ოტტავაში, კანადა: <http://aix1.uottawa.ca/~cforce/hrat/principles.pdf>, accessed 28 March 2015.

PACE (2005), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასსამბლეა რეკომენდაცია 1713 (2005), 2005 წლის 23 ივნისი.

PACE (2011), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასსამბლეა რეზოლუცია 1838 (2011), 2011 წლის 6 ოქტომბერი.

PACE (2013), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასსამბლეა რეზოლუცია 1954 (2011), 2013 წლის 2 ოქტომბერი.

პ. პეტროვიჩი (2012), “Serbia”, დაზვერვის ზედამხედველობის გაძლიერება დასავლეთ ბალკანეთში, ჟენევა, ხელმისაწვდომია: www.dcaf.ch/content/download/104944/1617879/version/2/file/serbia_eng1.pdf, მისაწვდომობა 28 მარტი 2015.

პოლონეთი (2002), 2002 წლის 24 მაისის აქტი. შიდა უსაფრთხოების სააგენტო და უცხო ქვეყნის დაზვერვის სააგენტო.

ე. ფონდი (2013), “What the NSA can learn from Sweden”, მსოფლიო პოლიტიკის ბლოგი, 2013 წლის 9 აგვისტო, www.worldpolicy.org/blog/2013/08/09/what-nsa-can-learn-sweden, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტიდან.

პორტუგალია (2004), პორტუგალიის რესპუბლიკის დაზვერვის სისტემა, ძირითადი კანონი 4/2004.

დ. ფრისტი (2005), “CIA holds suspects in secret prisons”, უოშინგტონ პოსტი, 2005 წლის 2 ნოემბერი.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საერთაშორისო ორგანიზაცია: (2014), საგამომიებო ორგანოების ტრიბუნალის წინაშე დასაბუთეთის შესახებ განცხადების წარდგენა, 2014 წლის 8 მაისი
www.privacyinternational.org/sites/default/files/PI%20Hacking%20Case%20Grounds.pdf, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

სერბეთის რესპუბლიკის მოქალაქელთა დამცველის (2010) “Report on a preventive control visit by the Protector of Citizens to the Security-Information Agency”, (ბელგრადი, 2010). ხელმისაწვდომია:
www.ombudsman.org.rs/attachments/088_Report%20on%20the%20Preventive%20Control%20Visit.pdf, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

სერბეთის რესპუბლიკის მოქალაქელთა დამცველის (2014), 2013 წლის ყოველწლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია:
www.ombudsman.rs/attachments/2013%20Annual%20Report%20of%20the%20Protector%20of%20Citizens.pdf, მისაწვდომობა 2015 28 მარტი.

დაზვერვისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპერტთა ჯგუფი (2013), „თვისუფლება და უსაფრთხოება ცვალებად მსოფლიოში“, 2013 წლის 13 დეკემბერი:
www.whitehouse.gov/sites/default/files/docs/2013-12-12_rg_fnal_report.pdf, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

რუმინეთი (1991), რუმინეთის ეროვნული უსაფრთხოების კანონი No. 51 1991 29 ივლისი.

ს. სანჩეს ფერო (2011), „უსაფრთხოებისა და დაზვერვის სააგენტოების საპარლამენტო და სპეციალური ზედამხედველობა ესპანეთში“, დანართი ა. ა. უილისსისა და მ. ვერმეულენის პუბლიკაციაში (2011), „უსაფრთხოებისა და დაზვერვის სააგენტოების საპარლამენტო და სპეციალური ზედამხედველობა ევროპის საბჭოში“, ევროპის პარლამენტი, ბრიუსელი.

სერბეთი (2014), კანონი უსაფრთხოების უწყების შესახებ, სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალური მაცნე (შესწორებული 2014 წელს), ოფიციალური მაცნე. 42/2002, 111/2009, 65/2014 – US, 66/2014.

ა. სინჰი და ჯ. შულსი (2014), “Denmark, the CIA, and the killing of Anwar al-Awlaki”, 2014 წლის 30 აპრილი:
www.opensocietyfoundations.org/voices/denmark-cia-and-killinganwar-al-awlaki, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ჰ. სტარკი (2011), “Germany limits information exchange with US intelligence”, Der Spiegel, 2011 წლის 17 მაისი.

მ. სტოლი (2014), “Des documents du SRC peuvent aussi être publics”, Oefentlichkeitsgesetz.ch, 2014 წლის 15 დეკემბერი:
www.oefentlichkeitsgesetz.ch/francais/2014/12/des-documents-du-src-peuvent-aussi-etre-publics/#more-3569, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

მ. თაუნსენდი (2014), “UK rights groups reject ofcial inquiry into post-September 11 rendition”, ოზბერვერი, 2014 წლის 8 ნოემბერი.

ა. ტრავისი და ო. ბოუქოტი (2015), “UK admits unlawfully monitoring legally privileged communications”, გარდიანი 2015 18 თებერვალი.

თურქეთი (2014), შესწორებული კანონი სახელმწიფო დაზვერვის სამსახურებისა და ეროვნული დაზვერვის სააგენტოს შესახებ No. 6532, 2014 წლის აპრილი.

დიდი ბრიტანეთი (2000), საგამოძიებო ორგანოების აქტის რეგულაცია (RIPA) 2000.

დიდი ბრიტანეთი (2010), “Consolidated guidance to intelligence ofcers and service personnel on the detention and interviewing of detainees overseas, and on the passing and receipt of intelligence relating to detainees”, მინისტრთა კაბინეტის სამდივნო, ლონდონი, 2010 წლის ივლისი.

გაერო (1987), გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ 1984 წლის 10 დეკემბერი (ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს).

გაერო (2010a), “Compilation of good practices on legal and institutional frameworks and measures that ensure respect for human rights by intelligence agencies while countering terrorism, including on their oversight”, სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებების და ფუნდამენტურ უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, 2010 წლის 17 მაისი, A/HRC/14/46.

გაერო (2010b), “Joint study on global practices in relation to secret detention in the context of countering terrorism”, სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებების და ფუნდამენტურ უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, A/HRC/13/42, 2010 წლის 19 თებერვალი.

გაერო (2013), “Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression, Frank La Rue”, 2013 წლის 17 აპრილი, A/HRC/23/40.

გაერო (2014), “Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism”, 2014 წლის 23 სექტემბერი, A/69/397.

გაეროს გენერალური ასსამბლეა (2013), რეზოლუცია 68/167, 2013 წლის 18 დეკემბერი, A/RES/68/167.

გაეროს გენერალური ასსამბლეა (2013), რეზოლუცია 68/167, 2013 წლის 18 დეკემბერი, A/RES/68/167.

გაეროს გენერალური ასსამბლეა (2014), რეზოლუცია 69/166, A/RES/69/166, 2014 წლის 18 დეკემბერი, A/RES/68/167.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (2004), “General Comment Number 31”, UN Doc. CCPR/C/21/Rev.1/Add.13 (2004).

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო (2009), რეზოლუცია 10/15, მე-10 სესია, 2009 წლის 26 მარტი.

UNHCHR (2014), “The right to privacy in the digital age”, 2014 წლის 30 ივნისი, A/HRC/27/37, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი. ხელმისაწვდომია: www.ohchr.org/EN/

HRBodies/HRC/RegularSessions/Session27/Documents/A.HRC.27.37_en.pdf, მისაწვდომობა 2015 წლის 28 მარტი.

ვენეციის კომისია (1998), “Internal security services in Europe”, 1998 წლის 7 მარტი, CDL-INF (98) 6.

ვენეციის კომისია (2007), “Report on the democratic oversight of the security services”, 2007 წლის 11 ივნისი, CDL-AD(2007)016.

ვენეციის კომისია (2012), “Revised draft opinion on the federal law on the Federal Security Service (FSB) of the Russian Federation”, მოსაზრება no. 661/2011.

ვენეციის კომისია (2015), “Update of the 2007 Report on the democratic oversight of the security services and report on the democratic oversight of signals intelligence agencies”, მიღებული 102-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2015 წლის 20-21 მარტი, CDL-AD(2015) 006.

ნ. ვერჰოვენნი (2011), “Parliamentary and specialised oversight of security and intelligence agencies in Germany”, ა.უილისისა და მ. ვერმეულენის პუბლიკაციაში (2011), “Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union”, ევროპის პარლამენტი, ბრუსელი.

ა. უილისი (2012a), “Financial oversight of intelligence services,” ჰ. ბორნისა და ა. უილისის პუბლიკაციაში (2012), *დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება: სახელმძღვანელო*, DCAF, ვენეცია.

ა. უილისი (2012 b), “Who’s watching the overseers? Ad hoc evaluations of intelligence oversight and control bodies” ვ. ლაეთემის და ჯ. ვანდერბოთის პუბლიკაციაში, Regards sur le contrôle, ანტვერპენი.

ა. უილისი და მ. ვერმეულენი (2011), “Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union”, ევროპის პარლამენტი, ბრიუსელი.

ჰ. უითი და ე. კათმანი (2011), “Parliamentary and specialised oversight of security and intelligence agencies in Germany”, ა.უილისისა და მ. ვერმეულენის პუბლიკაციაში (2011), “Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union”, ევროპის პარლამენტი, ბრუსელი.

სასამართლო საქმეები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

აბუ ზუბაიდა ლიტვის წინააღმდეგ, განცხადება No. 46454/11, საქმის წარდგენა 2012 წლის 14 დეკემბერი.

ალ ნაშირი პოლონეთის წინააღმდეგ, განცხადება No. 28761/11, 2014 წლის 24 ივლისი.

ალ ნაშირი რუმინეთის წინააღმდეგ, განცხადება No. 33234/12, საქმის წარდგენა 2012 წლის 18 სექტემბერი.

ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ. განცხადება No. 90/1997/874/1086, 1998 წლის 28 ოქტომბერი.

ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია და ეხმიძევი ბულგარეთის წინააღმდეგ, განცხადება No. 62540/00, 2007 წლის 28 ივნისი.

Big Brother Watch (ბიგ ბრაზა ვოჩი) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განცხადება No. 58170/13, განცხადება გაკეთდა 2013 წლის 24 სექტემბერს (challenging PRISM and TEMPORA).

დუმიტრუ პოპესკუ რუმინეთის წინააღმდეგ, განცხადება No. 71525/01, 2007 წლის 26 აპრილი.

ელ მასრი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ, განცხადება No. 39630/09, 2012 წლის 13 დეკემბერი.

ჰუსეინ (აბუ ზუბაიდა) პოლონეთის წინააღმდეგ. განცხადება No. 7511/13, 2014 წლის 24 ივლისი.

იორდაკი და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ, განცხადება No. 25198/02, 2009 წლის 10 თებერვალი.

კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განცხადება No. 26839/05, 2010 წლის 18 მაისი.

კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, განცხადება No. 5029/71, 1978 წლის 6 სექტემბერი.

ლენდერი შვედეთის წინააღმდეგ, განცხადება No. 9248/81, 1987 წლის 26 მარტი.

ლიბერტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განცხადება No. 58243/00, 2008 წლის 1 ივლისი.

მალონე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განცხადება No. 8691/79, 1984 წლის 2 აგვისტო.

ნასრი და გალი იტალიის წინააღმდეგ, განცხადება No. 44883/09, საქმის წარდგენა 2011 წლის 22 ნოემბერი.

სეგერშტედი-ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, განცხადება No. 62332/00, 2006 წლის 6 ივნისი.

Sunday Times (სანდი ტაიმსი) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (No. 2), განცხადება No. 13166/87, 1991 წლის 26 ნოემბერი.

ვეტერი საფრანგეთის წინააღმდეგ, განცხადება No 59842/00, 2005 წლის 31 მაისი.

ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ, განცხადება No. 54934/00, გადაწყვეტილება დაშვებულობაზე 2006 წლის 29 ივნისი.

ეროვნული სასამართლოები

შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ციფრული (საკატორო) უფლებები ირლანდია კომუნიკაციების, საზღვაო და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სხვების წინააღმდეგ, ერთობლივი საქმეები C-293/12 და C-594/12, 2014 წლის 14 აპრილი.

ლიბერტი და სხვები უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ, *SIS*, *GCHQ*, *IPT/13/77/H*, 2015 წლის 6 თებერვალი.

აშშ-ს დაზვერვის კონტრაქტორის ედუარდ სნოუდენის მიერ ინფორმაციის გამჟღავნებამ ელექტრონული კომუნიკაციების მასობრივი თვალთვალის შესახებ დიდი შემოფთობება გამოიწვია პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის, გამოხატვის თავისუფლების და გაერთიანების თავისუფლების უფლებების დარღვევის შესახებ. ამგვარი ქმედებები კვალში მისდევს ათეულობით სხვა შემთხვევას, როცა გარკვეული უსაფრთხოების სამსახურების ჩარევით უხეშად ირღვეოდა ადამიანის უფლებები. დღეს ევროპის საბჭოს სივრცეში უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის უფლებრივი რეგულირების და ზედამხედველობის საკითხები აქტიურად განიხილება.

მოცემული კვლევითი ანგარიში ყურადღებას ამახვილებს ეროვნული ინსტიტუტების როლზე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ნებართვის გაცემაზე, მონიტორინგის ჩატარებაზე, შემოწმებასა და მიმოხილვაზე. ასევე განხილულია უსაფრთხოების სამსახურებზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ხელისუფლების როლი. ანგარიშში აღწერილია ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს ზედამხედველობის ინსტიტუტები: საპარლამენტო კომიტეტები, სასამართლო და კვაზისასამართლო ორგანოები, კვალიფიციური უსაფრთხოებისა და დაზვერვის ორგანოები, მონაცემთა და საინფორმაციო კომისიები, ომბუდსმენის ინსტიტუტები და ადმინისტრაციული ხელისუფლება, უსაფრთხოების სამსახურებში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები.

მოცემული დოკუმენტი ზედამხედველობის ეროვნულ პრაქტიკასთან ერთად განიხილავს საერთაშორისო სამართლის მკაცრ და რბილ ნორმებს, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურების მეთვალყურეობასთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და აღნიშნულ სფეროში პრევენციულ სამართალთან მის შესაბამისობას. პუბლიკაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საზედამხედველო საქმიანობის პრობლემურობას. მათ შორის, უცხო ქვეყნების უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებთან თანამშრომლობა; ზოგადი მეთვალყურეობის, ელექტრონული კომუნიკაციების მასობრივი თვალთვალი და კომპიუტერული ქსელის ექსპლუატაცია (ჰაკერობა).

კვლევით ანგარიშში წარმოდგენილია მთელი რიგი რეკომენდაციები თუ, როგორ უნდა გაუმჯობესდეს უსაფრთხოების სამსახურის მეთვალყურეობა ადამიანის უფლებების დაცვის გასამდიერებლად. რადგან არ არსებობს ზედამხედველობის ერთიანი „საუკეთესო“ მოდელი ან სისტემა, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაციები წარმოადგენს პრინციპებს, რომელთა დანერგვა შესაძლებელია ნებისმიერ პოლიტიკურ თუ კონსტიტუციურ სტრუქტურაში.



www.commissioner.coe.int

GEO

www.coe.int

ევროპის საბჭო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა წამყვან ორგანიზაციას ევროპის კონტინენტზე. მასში გაერთიანებულია 47 წევრ სახელმწიფო. რომელთაგანაც 28 არის ევროკავშირის წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობას უწევს კონვენციის იმპლიმენტაციას წევრ სახელმწიფოებში.



COMMISSIONER
FOR HUMAN RIGHTS

COMMISSAIRE AUX
DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE